საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 მაისი **სამშაბათი** 2012 **№125 (13 731)** ფასი 80 თეთრი

# კაკა კალაძე რისკის ზონაში

## ქართველი ფეისბუქით პასუხობს

მასმედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ იტალიის პოლიციამ ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებით დაკითხა რამდენიმე ფეხბურთელი. პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სულ მალე შესაძლოა დასაკითხ პიროვნებათა შორის მეც ვიყო.

თუ საქმე მოითხოვს, მზად ვარ ნებისმიერ დროს ჩავფრინდე იტალიაში და ჩვენება მივცე მოწმის სტატუსით. მთელი ცხოვრება ღირსეულად ვიბრძოდი და ჩაწყობილი თამაშების წინაალმდეგ გამოვდიოდი.

მასმედიის საშუალებებს მოვუწოდებ ნუ გააკეთებენ წინასწარ მცდარ დასკვნებს და ხელოვნურად ნუ მოახდენენ სიტუაციის დრამატიზირებას.




↳2

# კალჩომ ისევ აურია...

## პირველი მსხვერპლი მაურია

### ისევ იტალია, ისევ ჩაწყობა, ისევ სკანდალი



დაპატიმრებული სტეფანო მაური

# კრიშიტო ევრო 2012-ს ჩამოაცილეს

## ბონიჩისაც იგივე ელოდება

↳5

# შენგელიას თამამი ნაბიჯი ჩემპიონობისკენ



ბელგიის პირველობის ფინალური სერია გასვლითი გამარჯვებით გახსნა თორნიკე შენგელიას „შარლერუამ“ - „ოოსტენდე“ 80:69 დაამარცხა. მოგებაში ქართველმა თავდამსხმელმა ლომის წილი დაიდო. თორნიკეს სრული სტატისტიკა ასეთი იყო: 23 ქულა, 18 ქულა (5/4 ორქულიანი, 2/3 სამიანი, 6/4 საჯარიმო), 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

გუშინვე იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალი ითამაშა ნიკა მეტრეველმა, რომლის „დინამო სასარი“ სტუმრად „მონტეპასკისთან“ დამარცხდა. მეტრეველმა 4 წუთი ითამაშა და ერთხელ მოხსნა.

ვაჟა სიმონიშვილი



↳13

# ქართველებში ბარბაროსი გამოერია

## მამუკა გორგოძე შავ-თეთრ მაისურს მოირგებს

# ჩელსიში გადავდივარ!

## ედენ აზარმა ტრანსფერი დაადასტურა



↳9

ქართული ფეხბურთი

● იტალიური სკანდალის გამოხმაურება



კახა კალაძე — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ოთარ ჩრდილელი:
# კახი კალაძეს იტალიის საფეხბურთო სკანდალთან საერთო არაფერი აქვს

**იტალიაში** გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებულ სკანდალთან კახი კალაძეს საერთო არაფერი აქვს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კახი კალაძის პრესმდივანმა ოთარ ჩრდილელმა განუცხადა. მისი თქმით, რაიმე ბრალდებაზე საუბარი არასერიოზულია. „ჯენოას“ ყოფილი მცველის პრესმდივნის თქმით, დაკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა, კალაძემ მხოლოდ მოწმის სტატუსით მისცეს ჩვენება.

ამასთან, ჩრდილელი არ გამორიცხავს, რომ გავრცელებული ინფორმაციაც იმ შავი პიარის შემადგენელი იყოს, რომელიც კალაძის წინააღმდეგ წლების მანძილზე მიმდინარეობს.

27 მაისს იტალიურმა პოლიციამ 19 ადამიანი დააკავა, რომლებიც ჩაწყობილი მატჩების საქმეში არიან ეჭვმიტანილნი. მათ შორისაა რომის „ლაციოს“ კაპიტანი სტეფანო მაური.

სამართალდამცველების აზრით, „ჯენოასა“ და რომის „ლაციოს“ შორის მატჩი უცნაური იყო, რადგან შეხვედრა მოსალოდნელი ანგარიშით დასრულდა, ხოლო გარკვეული ადამიანების რიცხვმა ამაზე დიდი ფულიც გააკეთა. La Gazzetta dello Sport-ის ცნობით, „ჯენოას“ აწ უკვე ყოფილ ფეხბურთელებს დომენიკო კრიშიტოსა და კახა კალაძეს ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებით ახლო მომავალში დაკითხავენ.

ინტერპრესნიუსი

● ინტერვიუ

## რევაზ არველაძე:
# სამწუხაროა, რაც მოხდა
### ფედერაცია მწვრთნელისა და ფეხბურთელის არასასიამოვნო დავაში ვერ ჩაერევა

**ქართულ ფეხბურთში ვითარება ძალიან დაიძაბა, სკანდალს სკანდალი ემატება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიტუაცია ხელიდანაა გაშვებული. ეროვნული ჩემპიონატი, თასის ფინალი, არასასიამოვნო ფონი ნაკრებში...**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რევაზ არველაძეს ამ ყველაფერთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ, საუბარი კი ჯერ ფიფას კონგრესით დავიწყეთ, რომელსაც არველაძეც ესწრებოდა...**

- ამ კონგრესის პარალელურად ფიფას ალმასკომის სხდომაც გაიმართა, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კოსოვოს საერთაშორისო ამხანაგური მატჩების თამაშის ნება დართეს. ამ გადაწყვეტილებას რეაქცია მოჰყვა სერბეთის მხრიდან, კოსოვოსთან დაკავშირებით კონსულტაციები ჩვენთან უნდა გამართულიყოო. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი დაზღვევის საკითხი იყო –ამიერიდან ფიფა იმ ფეხბურთელებსაც დააზღვევს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში რომ ითამაშებენ.

**- ჩაწყობილი თამაშები – ეს თუ იყო აქტუალური საკითხი ფიფას კონგრესზე?**

- ეთიკის კომიტეტის რეორგანიზაცია მოხდა, კომიტეტი ორად გაიყო, ერთს საგამომძიებლო ფუნქცია დაეკისრა, მეორე კი გადაწყვეტილებას გამოიტანს.

**- ფაქტია, ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს ცუდი ამბები მომრავლდა, ჩემპიონის გამოსავლენად ალმასკომის სხდომა გახდა საჭირო, თასის ფინალს კი დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა...**

- რა თქმა უნდა, გახარებული არ ვარ ამ ყველაფრით. სამწუხაროა, რომ ჩემპიონის გამოსავლენად საქმე ალმასკომამდე მივიდა. არის ხარვეზები, რომლებიც უნდა გამოვასწოროთ.



რევაზ არველაძე

**- ისე ჩანს, რომ თვალს ხუჭავთ ყველაფერზე...**

- არა, თვალს ვერ დავხუჭავთ, გვექნება შეხვედრა კლუბების ხელმძღვანელებთან, ყველამ უნდა თქვას სათქმელი, ფედერაციის სურვილია, რომ ეს ღია სატელევიზიო ეთერითაც მოხდეს.

**- კონკრეტულ ფაქტზეც გკითხავთ. "ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ განაცხადა, "მერანი" -"მეტალურგი" გარიგებული იყოო. ფედერაციის ხელმძღვანელობამ კი კოკაიას ამ ბრალდების დასაბუთება ერთ კვირაში მოსთხოვა...**

- არის ბრალდება და საჭიროა რეაგირება, რეაგირებას კი ფაქტები სჭირდება. რაზეც მკითხეთ, ყოველივე ეს ბოლო ალმასკომის ოქმშია დაფიქსირებული. 5 ივნისს გასამართავი ფედერაციის ყრილობამდე ალმასკომი ერთხელაც შეიკრიბება...

**- ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავთ. ბოლო პერიოდში გახშირდა ფეხბურთელების საჯარო დაპირისპირება მთავარ მწვრთნელთან...**

- ასეთი საჯარო დაპირისპირებები სასიამოვნო არ არის. ისე არ მსურს გამოვიდეს, რომ ამაზე საუბარს თავს ვარიდებ, მაგრამ ფედერაცია ნაკრების მწვრთნელისა და ფეხბურთელების ურთიერთობაში ვერ ჩაერევა, ასეთ საკითხებში მონაწილეობა შეზღუდული აქვს.

დავით თავართქილაძე

● სიტუაცია

# მოხსენით გუდას პირი
### ფედერაციამ ოჯახი ტელევიზიაში დაპატიჟა

**ფეხბურთის ფედერაცია კლუბებს ღია დისკუსიას სთავაზობს. წინადადება საინტერესოა, ოღონდაც პირდაპირი ტელეეთერი არ არის ის ადგილი, სადაც გადაწყვეტილებებს იღებენ ან რაღაცაზე თანხმდებიან. ტელეეთერის მთავარი დანიშნულება შოუს გაკეთებაა.**

შოუ სანახაობას ნიშნავს და და მართლაც საინტერესო სანახაობა უნდა იყოს ქართული კლუბების მესვეურთა დისკუსია. ეს არის საშუალება, რომ ღიად ითქვას სათქმელი. თუ მანამდე რომელიმე კლუბის მესვეურს ამის სურვილი ჰქონდა, ალბათ მიზანსაც მიაღწევდა, ყოველ შემთხვევაში მედიასაშუალებებს მგონი არც ერთი კლუბის პრეზიდენტი არ შეუზღუდავს. ახლა კი გამოწვევა ფეხბურთის ფედერაციიდან მოდის – რამე გაქვს სათქმელი? კი ბატონო, გისმენთ!

ფედერაციის ინიციატივა გასაგებია, რადგან ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ჩემპიონის საკითხი, თასის ფინალი... კლუბებთან საუბარი მანამდეც რომ იყო აუცილებელი, ამას მგონი ახლა ყველა ხვდება. საფეხბურთო ოჯახი, კარგია ის თუ ცუდი, არსებობს და არსებობს ისეთი რაღაცეებიც, რაც ოჯახს იქით არ უნდა გავიდეს.

ბევრი რამ სწორედ კლუბების ბრალია, მათ თვითონ ჩააყენეს საკუთარი თავი წამგებიან პოზიციაში. ალმასკომში რატომ არ არიან კლუბების წარმომადგენლები? იმიტომ, რომ კლუბები ყველაფერზე თავს აქნევდნენ და მერე მათ აღარ გაუწიეს ანგარიში. კლუბებს პროფლიგა აღარ აქვთ და არც სხვა ალტერნატიული გაერთიანება. ეს ყველაფერი ლოგიკურია, მაგრამ სინამდვილე კიდევ სხვა არის – შიში, რომლის დაძლევაც ძალიან ძნელია.

უმაღლესი ლიგის შვიდი კლუბი კერძოა, არის კიდევ ხუთი საბიუჯეტო კლუბი. ბალანსი სახეზეა, მაგრამ რადგან ჩვენთან ესა თუ ის კერძო კლუბი ერთი შეძლებული ადამიანის საკუთრება გახლავთ, ყველაფერზე პასუხისმგებელიც ის არის, მათ შორის მწვავე განცხადებებზეც.

ვფიქრობ, დემოკრატიის ხარისხი საქართველოში იმისთვის საკმარისი ნამდვილად არის, რომ საფეხბურთო პრობლემებზე ყველას შეეძლოს ღიად საუბარი და თუ ასე არ არის, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა საქმე.

არა მგონია, დისიდენტობა იყოს საჭირო იმისთვის, რომ კლუბის პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში ღიად ისაუბროს ფეხბურთზე და კონკრეტულად იმაზე, რაც ახლახან ჩამთავრებულ სეზონში მოხდა. ყველაფერი ნებაზეა დამოკიდებული. კლუბების მთავარი შეცდომა თუ ნაკლი კი ალბათ ის არის, რომ მათ სოლიდარობა არ სურთ, ყველას მარტო უნდა რაღაც გზების მოძებნა, ეს კი მოძველებული ვარიანტია, ამას მხოლოდ სკანდალები მოჰყვება, მერე კი, ხელმოცარვა ევროტურნირებზე.

სხვა რა გითხრათ, ეს ოდენ ჩემი აზრია, თუმცა მასში ისეთიც ურევია, საკამათო რომ არ უნდა იყოს: სოლიდარობაზე დიდი ძალა არსებობს?..

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის პრეზიდენტს ერთიანი წერილით მიმართა. გთავაზობთ წერილის სრულ ტექსტს:**

**„ბატონებო,**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ჩემპიონატის ხვალინდელი დღე, მისი სრულყოფა როგორც ორგანიზაციული, ისე სისტემური კუთხით.

სწორედ ამიტომ, სფფ-ის ინიციატივით, **2012 წლის 3 ივნისს, 23:00 საათზე,** საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში შედგება ღია დისკუსია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის ხელმძღვანელების მონაწილეობით.

აღნიშნულ შეხვედრაზე ვიწვევთ უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს, ადამიანებს, რომლებიც პირადად განსაზღვრავენ მათი კლუბის შიდა პოლიტიკას და დაინტერესებულნი არიან ეროვნული ჩემპიონატის განვითარების საქმეში.

სწორედ ამიტომ მოგმართავთ ინიციატივით, დაესწროთ აღნიშნულ შეხვედრას, ჩაერთოთ დისკუსიაში და საზოგადოებას გააცნოთ თქვენი პოზიცია, თუ როგორ ხედავთ ეროვნული ჩემპიონატის ხვალინდელ დღეს, როგორი უნდა იყოს სათამაშო სისტემა, რა ცვლილებებია საჭირო დებულებაში და ა.შ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბების პირველი პირების აზრი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით".

სფფ-ის პრესსამსახური

დავით თავართქილაძე

● ლეგიონერები

# კაშია ტვენტეში, ქინქლაძე სიტიში
### მოსალოდნელი ქართული ტრანსფერები

**საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა გოგა გახოკიძემ სამი წელია, სამენეჯერო კომპანია ჩამოაყალიბა და ფიფას ლიცენზირებული აგენტის სტატუსიც აქვს. გახოკიძე რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო საკითხებს კურირებს და მისგან საინტერესო სიახლეები შევიტყვეთ.**

უპირველესად, **გურამ კაშიას** საკითხს შევეხოთ. როგორც იცით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი არნემის "ვიტესში" წარმატებით დამკვიდრდა და გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს. როგორც გახოკიძემ გვითხრა, მისი შეძენის სურვილი "ტვენტემ" გამოთქვა, რომელიც ბოლო წლებში "ვიტესზე" გაცილებით წარმატებული კლუბია.

ცოტა ხნის წინ კაშიამ "ვიტესთან" კონტრაქტი გააახანგრძლივა, მაგრამ ეს ფაქტი მისი "ტვენტეში" გადასვლის შესაძლებლობას სულაც არ გამორიცხავს. თუმცა ამ ტრანსფერის განხორციელების შანსი ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას უფრო გაიზრდება, მანამდე კი კაშია "ვიტესთან" ერთად ევროპის ლიგაზე იასპარეზებს.

როგორც იცით, კაშიას გარდა, "ვიტესის" ღირსებას კიდევ ორი ქართველი - **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი** იცავს. უახლოეს მომავალში გახოკიძე "ვიტესში" მეოთხე ჩვენებურის გამოჩენას გამორიცხავს. "ამჟამად ეს გამორიცხულია, სამაგიეროდ, შესაძლოა, ახლო მომავალში "ვიტესში" რომელიმე ქართველი ფეხბურთელის გადასვლა კიდევ დადგეს დღის წესრიგში", - გვითხრა გახოკიძემ.

რაც შეეხება "იაგელონიაში" მოთამაშე **მერაბ გიგაურს**, იგი ქუთაისის "ტორპედოს" საკუთრებად რჩება, თუმცა ფეხბურთელს პოლონეთში დარჩენა სურს და ამ საკითხსაც უახლოეს პერიოდში მოეფინება ნათელი.

ჯერჯერობით, კონკრეტული სიახლე არ არის **გიორგი აბურჯანიას** თაობაზე. ალბათ გახსოვთ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერით დაინტერესებას შვეიცარიული "ბაზელი" და ბელგიური "გენკი" გამოთქვამდნენ, თუმცა ამ ეტაპზე გიორგი კვლავაც "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის ფეხბურთელად რჩება. როგორც გახოკიძემ გვითხრა, აბურჯანიას უცხოურ ტრანსფერს ხელს მისი ასაკი უშლის – გახოკიძე ვარაუდობს, რომ როცა გიორგის 18 წელი შეუსრულდება, რომელიმე საზღვარგარეთულ კლუბთან კონტრაქტს აუცილებლად გააფორმებს.

გახოკიძესთან საუბარში ისიც შევიტყვეთ, რომ მისი მეგობარი და საქმიანი პარტნიორი **გიორგი ქინქლაძე** მალე, შესაძლოა, "მანჩესტერ სიტიში" რომელიმე თანამდებობაზე ვიხილოთ. ზედმეტია იმის შეხსენება, თუ რამხელა ავტორიტეტი აქვს ქინქლაძეს "სიტიში" ასე რომ, ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ახლო მომავალში იგი ძველ კლუბს ახალი სტატუსით დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, ქინქლაძე ამჟამად კვიპროსული "ანორთოსისის" სპორტული დირექტორია, მაგრამ კლუბში გამეფებული ფინანსური კრიზისის გამო იქიდან წასვლა სურს.

ლევან ჯანეზაშვილი



გურამ კაშია



გიორგი ქინქლაძე

რეგიონი

## ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ფანკლუბის
# ღია წერილი
## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ დომენტი სიჭინავას!

**ბატონო დომენტი,**

მოგმართავთ საფეხბურთო კლუბ „გურიას“ მრავალრიცხოვანი ქომაგის სახელით.

უპირველესად, მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ, თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციასა და საქართველოს სპორტის სამინისტროს იმ საქმიანობისთვის, რასაც ეწევით ბოლო წლებში ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. ასევე ვემადლიერებით მთავრობას იმ მხარდაჭერისთვის, რასაც რეგიონებში სპორტისა და ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობისთვის აკეთებს. მხედველობაში გვაქვს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ლანჩხუთის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციასაც ითვალისწინებს.

ჩვენ, „გურიის“ ქომაგები დიდი იმედებით შევხვდით ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებას, როცა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ლანჩხუთში ფეხბურთის განვითარებაზე ისაუბრა და კონტროლი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ბატონ რამაზ ნიკოლაიშვილს დაავალა.

ამის პარალელურად საფეხბურთო კლუბი „გურია“ იბრძოდა უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. მთელი პირველობის მანძილზე კლუბს არ აკლდა ადგილობრივი ხელისუფლების, განსაკუთრებით რაიონის გამგებლის, ბატონ გიორგი გოგუაძისა და გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის, ბატონ კახაბერ ებრალიძის მხარდაჭერა. „გურიას“ მთელი სეზონის მანძილზე არ მოკლებია გულშემატკივრის აქტიური ქომაგობა - 20-წლიანი პაუზის შემდეგ ამდენი გულშემატკივარი „ევგრაფი შევარდნაძეზე“ პირველად მოვიდა. ლანჩხუთში მატჩებს მინიმუმ 3 ათასი ქომაგი ესწრებოდა და იყო შეხვედრები, როცა სტადიონზე 7 ათასამდე გულშემატკივარი მოვიდა. გუნდი არც გასვლით შეხვედრებზე დაგვიტოვებია ქომაგობის გარეშე და უმეტეს შეხვედრაში, უმრავლესობასაც ვქმნიდით მასპინძელ ქომაგებთან შედარებით.

ბოლო შეხვედრაში უნიათო გამოსვლის შემდეგ, ჩვენთვის ძალიან ძნელია ვისაუბროთ დებულებაზე, მაგრამ ისევ „გურიის“ მომავლისა და ლანჩხუთში ფეხბურთის გადარჩენისთვის, ვბედავთ ვისაუბროთ იმ თემაზე, რომლითაც, დარწმუნებული ვართ, უმაღლესი ლიგის საგზური „გურიას“ ეკუთვნის.

ჩვენ არ გვსურს სიტუაციის გამწვავება, არც 23-ე ჩემპიონატის დებულებაში დაშვებულ შეცდომაზე გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა ანალოგიურ შემთხვევაში, სხვა გუნდისთვის („ზესტაფონი“) ჩემპიონობის (სამართლიანად) მინიჭება. მართალია, „ზესტაფონი“ თავიდანვე უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა და „ვიტ ჯორჯიასთან“ შედარებით „გურიას“ პირველ ეტაპზე პირველ ლიგაში გამოსვლით გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ როგორც „ზესტაფონის“ შემთხვევაში ითქვა, რომ არსად იყო ნახსენები „პლეი ოფი“, ასევე არ ყოფილა ნახსენები „პლეი აუტი“ და „განულებული ქულები“. ეს უკანასკნელი საერთოდ უსაფუძვლო არგუმენტია — „ზესტაფონს“ არ ჩაეთვალა თუნდაც იმავე „ვიტ ჯორჯიასთან“ ქულები (ანუ მასაც გაუნულდა), თუმცა ამას არ მოუხდენია გავლენა, მასთან განულებული ქულების პირობებში მოპოვებული გამარჯვებები საბოლოო საჩემპიონო დათვლაში ჩასთვლოდა. დებულება, მოგეხსენებათ, ჩვენი პირველობის მთავარი კანონია და საერთოდაც, საქმის სამართლიანი გადაწყვეტა არ ითვალისწინებს "გულისხმობის" პრინციპებს — კანონი ერთნაირად მოქმედებს ყველა კლუბზე და რადგან რაიმე მინიშნება არ არის, არანაირი მიზეზი საკითხის განსხვავებულად გადაწყვეტისა არ არსებობს.

საერთოდაც, ათამდე იურისტთან გავიარეთ კონსულტაცია და ყველა მათგანი აცხადებს, რომ რადგან უპირატესობა დებულების მიხედვით ენიჭება „ჩემპიონატში მოგებათა მეტ რაოდენობას“ და არსად არის ნახსენები პირველი და მეორე ეტაპი, უმაღლესი და პირველი ლიგა და ა. შ., ამასთან 23-ე ჩემპიონატი დაიწყო აგვისტოში და დამთავრდა 21 მაისს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ ჩემპიონატის მანძილზე მოგებათა მეტ რაოდენობას, რაც „გურიას“ მეტი აქვს, ვიდრე — „ვიტ ჯორჯიას“. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დებულებაში დაზუსტების არსებობის შემთხვევაში, „ვიტ ჯორჯიას“ მიენიჭებოდა უპირატესობა, ამიტომაც არ ვითხოვთ, რომ „გურიამ“ უმაღლეს ლიგაში იასპარეზოს და „ვიტ ჯორჯია“ დაქვეითდეს. ამ სიტუაციიდან გამოსავალი, ვფიქრობთ, ლიგაში გუნდების დამატება იქნება.

დასასრულ, მოგმართავთ თხოვნით: გაითვალისწინოთ ლანჩხუთში ფეხბურთისადმი სიყვარული, „გურიის“ ტრადიციები, ქალაქში საფეხბურთო კუთხით მოსალოდნელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის საშუალება მოგვცეთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, უმაღლესი ლიგის საგზური ჩვენ დებულების მიხედვითაც გვეკუთვნის, თუმცა თქვენი უწყების მიერ მოძებნილ რაიმე სახის სხვა გამოსავალზეც არ ვიტყვით უარს.

ჩვენ აღნიშნულთან დაკავშირებით კლუბის ადმინისტრაცია საქმის კურსში ჩავაყენეთ და მივიღეთ პირობა, რომ თქვენთან კონსულტაციის შემდეგ კლუბი საკითხს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე დააყენებს.

პატივისცემით, „გურიას“ ფან-კლუბი

*რედაქციისაგან: დედნის სტილი დაცულია.*

საავარაუდო ტრანსფერი

# ხუციძე მეიჯორ ლიგაში?
## გაგრა დასაბრუნებლად იბრძოლებს

**"გაგრამ" საქართველოს თასის მფლობელის სტატუსი გორის "დილას" ოფიციალურად გადააბარა. სამწუხაროდ, ეს სიმპათიური გუნდი უმაღლეს ლიგასაც დაემშვიდობა. თუმცა, გაგრელებს შეუძლიათ თავი ასწიონ – ამ გუნდის სახელი გარიგებულ მატჩებთან არც წელს გაიგივებულა და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებს მოთამაშეებს უზრდის. საერთოდაც, კაცმა რომ თქვას, გუნდის ყველაზე მთავარი დანიშნულება სწორედ ეს არის —ქართულ ფეხბურთს წესიერებითა და საქმით უნდა ემსახუროს.**

მიუხედავად დაქვეითებისა, "გაგრას" მეპატრონე **ბესიკ ჩიხრაძე** გუნდის მიტოვებას არ აპირებს და საკადრო პოლიტიკას არ ცვლის. მაგრამ მომავალ სეზონში "გაგრას" შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოსალოდნელია.

ადრეც ვწერდით, რომ "გაგრას" მარჯვენა მცველის **ირაკლი ხუციძისა** და კაპიტნის, ცენტრალური მცველის **გიორგი ტყეშელაშვილის** წაყვანა უკრაინის პრემიერლიგის ლუცკის "ვოლინს" სურდა, სადაც გაგრელთა გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** მუშაობს. პისკოვეცი და ლუცკელთა სელექციონერი **ვიქტორ მოროზი** საქართველოს თასის ნახევარფინალურ შეხვედრას ("გაგრა"- "დილა)" საგანგებოდ მათზე დასაკვირვებლად დაესწრნენ.

სამწუხაროდ, ტყეშელაშვილი დაშავდა, მერე ოპერაცია გაიკეთა და მოედანზე დაბრუნებამდე მის ტრანსფერზე ლაპარაკი უადგილოა. სავარაუდოდ, უკრაინაში არც ხუციძე ითამაშებს. ჩვენი ინფორმაციით, ირაკლი ამერიკის მეიჯორ ლიგის "კოლამბუს ქრიუში" მიინვიეს, ამერიკის ვიზა უკვე მიიღო, 30 მაისს ამერიკაში უნდა გაემგზავროს და კონტარქტი გააფორმოს. მეიჯორ ლიგაში ჩატარებული 13 ტურის შემდეგ, "კოლამბუს ქრიუ" 18 ქულით აღმოსავლეთ კონფერეცნიაში მეხუთე ადგილზეა და ლიდერ "ნიუ იორკ რედ ბულს" 8 ქულით ჩამორჩება, მაგრამ მასზე ორი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული.



ირაკლი ხუციძე

კომენტარისთვის "გაგრას" მთავარ მწვრთნელს **ზვიად ჯელაძეს** დავუკავშირდით: *"ირაკლის წასვლა სურს და მისით ამერიკელები დაინტერესდნენ, მაგრამ მეტი კონკრეტული ინფორმაცია არ გამაჩნია. ისიც არ ვიცი, ეს გადაწყვეტილი ამბავია თუ ჯერ მხოლოდ მოლაპარაკება მიმდინარეობს".*

ჯელაძე ამბობს, რომ პირველ ლიგაში დაქვეითების მიუხედავად, "გაგრაში" ოპტიმისტური განწყობაა: *"ჩვენ ყურები არ ჩამოგვიყრია და შრომას ჩვეული რეჟიმით ვაგრძელებთ. ბოლოს და ბოლოს, უმაღლესიდან გავარდნა იმას არ ნიშნავს, რომ "გაგრაში" არაფერი კეთდება. გადახედეთ ასაკობრივი ნაკრებების შემადგენლობებს, ჩვენგან რამდენი ფეხბურთელია გამოძახებული ეროვნულ და 19-წლამდელთა გუნდებში. ასეთი პერსპექტიული ბავშვების შემხედვარეებმა იმედი როგორ უნდა გადავიწუროთ? ასე რომ, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ვიბრძოლებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

გორის დილა

# ვინ დარჩება, ვინ გაემგზავრება?

**დარჩებიან თუ არა გორის "დილაში" ამ გუნდის ლიდერები ? ამ კითხვით იმ ფეხბურთელებს მივმართეთ, რომლებიც გუნდში ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე ჩაირიცხნენ და გადამწყვეტი როლი ითამაშეს "დილას" წარმატებაში.**



ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი მალე დაიწყება, ერთი კვირაც და ევროსაგზურის მქონე კლუბები მომზადებას შეუდგებიან.

გორელთა კაპიტანმა, **ლაშა სალუქვაძემ** ლაკონურად მოჭრა: "ჯერ ხელმძღვანელობასთან არ მილაპარაკია. სეზონი დასრულდა, დავჯდებით და დავილაპარაკებთ".

**გოჩა ხოჯავა:** - ჯერ წინასწარ ვერაფერს ვერ გეტყვით, "დილასთან" კონტრაქტი ერთ თვეში მიმთავრდება.

**- თავად ამბობდი, რომ სეზონის შემდეგ კარიერას ვლადიკავკაზის "ალანიაში" გააგრძელებდი.**

- მალე ნახავთ, "დილაში" დავრჩები თუ სხვა კლუბში ვითამაშებ.

**მათე ვაწაძემ** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" პრეზიდენტი **ალექსეი გოიხმანი** რუსეთში აალაპარაკა, ვაწაძის გაშვება დიდ შეცდომა იყო, საქართველოში გოლი გოლზე გააქვსო. მართლაც, მათე "დილაში" მშვენიერი შედეგიანობით გამოირჩეოდა – საქართველოს ჩემპიონატში ჩატარებულ 11 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა, თასზე გამართულ 3 მატჩში კი - 3 გოლი და მნიშვნელოვნად განაპირობა ის ფაქტი, რომ გუნდი თასს დაეუფლა და ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა.

**- მართალია, რომ თბილისის "დინამოში" გადასვლაზე უარი თქვი?**

- არა, რატომ, "დინამოში" დაბრუნება მიუღებელი არაა, ევროთასებზე თამაში მინდა, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ახალი სეზონიდან სად ამოვჩნდები.

**- შევიტყვეთ, რომ გოიხმანს ქართველების "ვოლგაში" დაბრუნება სურს.**

- ვნახოთ, ლაპარაკი არის, მაგრამ არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "დილასთან" კონტრაქტი მიმთავრდება. ისე, სიმართლე გითხრათ, ევროპაში უფრო სიამოვნებით წავიდოდი.

**გია ცეცაძე,** "დილას" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: *"რაც მთავარია, გუნდი ერთი სეზონისა და თასის მოსაპოვებლად არ შექმნილა. ჩვენი სურვილი შემადგენლობის შენარჩუნება და გაძლიერებაა. მაგრამ ვინ დარჩება და ვინ წავა, ეს უახლოეს პერიოდში გადაწყდება. იმედი გვაქვს, რომ ევროთასებზე ასპარეზობისას ძირითადი შემადგენლობის ბირთვი შენარჩუნებული გვეყოლება".*

და ბოლოს, **გიორგი ონიანმა** დაგვიდასტურა, რომ "ზესტაფონთან" კონტრაქტი აღარ გააგრძელა და მომავალ სეზონში "დილაში" ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# სუხიაშვილი მეტალურგში

საქართველოს ჩემპიონატის ერთერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **ანზორ სუხიაშვილმა**, რომელსაც მარტვილის „მერანთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, გუნდი დატოვა და რუსთავის „მეტალურგში“ გადაბარგდა. 24 წლის მარცხენა მცველით რუსთაველთა დამრიგებელი **კობა ჟორჟიკაშვილი** ჯერ კიდევ ზამთრის შესვენების პერიოდში დაინტერესდა, თუმცა მაშინ ეს ტრანსფერი არ განხორციელდა—ფეხბურთელმა მარტვილში დარჩენა არჩია.



ანზორ სუხიაშვილი

ან უკვე დასრულებულ ჩემპიონატში სუხიაშვილმა 35 მატჩი ჩაატარა. ის, რომ „მერანი“ ზედა რვიანში უპრობლემოდ მოხვდა, დიდწილად მისმა თამაშმაც განაპირობა.

**ანზორ სუხიაშვილი:** „მერანში“ ორი ნაყოფიერი წელი დავყავი და როგორც ფეხბურთელი, რასაკვირველია, გავიზარდე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ადგილობრივ გულშემატკივრებს, ხელმძღვანელობას, მათგან ყოველთვის სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობდი. „მერანი“ კარგი გუნდია და წარმატებებს ვუსურვებ. „მეტალურგთან“ 2-წლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, უახლოეს დღეებში გუნდს შევუერთდები და მჯერა, რომ ევროპაზე თავს ღირსეულად წარმოვაჩენთ.“

გამორიცხული არ არის „მერანიდან“ „მეტალურგში“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდეს. რუსთაველები გამოცდილი **გიორგი მანწკავათი** არიან დაინტერესებული და უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა გამოვა ამ საქმიდან. შეგახსენებთ, რომ მანწკავას გადაბირება სომხურ „ულისესაც“ სურდა.

აქვე გეტყვით, რომ „მეტალურგი“ 9 ივნისს რუსთავში შეიკრიბება, სადაც ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ევროპის ლიგისათვის მოემზადებიან.

**ბესიკ გვაზავა**

# დღეს საქართველოს სუპერთასია

ზესტაფონი-გაგრა

30.05.
თბილისი.
მ. მესხი
19:00

ქართული ფეხბურთი

სპორტი და პოლიტიკა

# რუსების პოზიცია: საეჭვოა, აფხაზებს დავეხმაროთ

**ცნობილია, რომ 22 მაისს ბუდაპეშტში ფიფას აღმასკომმა კოსოვოს ნაკრებს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩაატარების უფლება დართო. მოსალოდნელი მოხდა, ბალკანელთა აღიარებას სხვა სეპარატისტული რეგიონების რეაქცია მოჰყვა - ახლა იმავე უფლებას სეპარატისტული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ითხოვს.**

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, თბილისის "დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა **ჯემალ გუბაზმა** იმედი გამოთქვა, რომ უფლების მოპოვების რეალური შანსი გააჩნიათ.

თუმცა, საგულისხმოა რუსეთის საფეხბურთო კავშირის საინფორმაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, **ნიკოლაი კომაროვის** პოზიცია: *"მეეჭვება, აფხაზებს ამ საკითხის მოგვარებაში დავეხმაროთ. ჩვენ არ ვიცით, კოსოვოელებმა რეალურად რა ნაბიჯები გადადგეს, ფიფასგან ეს უფლება რომ მიეღოთ. შესაძლოა, მათი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ფიფას შტაბ-ბინაში იმყოფებოდნენ და რალაცნაირად მოელაპარაკნენ. ვფიქრობ, აფხაზებმაც იგივე უნდა გააკეთონ".*

*"აშკარაა, კოსოვომ ეს უფლება მხოლოდ სურვილის გამო არ მოიპოვა. ეს არასაკმარისი იქნებოდა. მაგალითად, დიდი ხანია, დამოუკიდებელი სტატუსის მოპოვება სურს გიბრალტარსაც. მიუხედავად იმისა, რომ მათ მხარს ფიფაში უდიდესი გავლენის მქონე ინგლისი უჭერს, ესპანელთა კატეგორიული წინააღმდეგობის გამო, დღემდე არაფერი გამოსდის. როგორც ჩანს, კოსოვომ რომელიღაც ავტორიტეტული ნაციონალური ფედერაციის მხარდაჭერა მოიპოვა. თეორიულად ამხანაგური მატჩების ჩატარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრებებსაც შეუძლიათ, თუ ფიფა იტყვის, რომ მათთან თამაშის გამო არავის დასჯის"* – განუცხადა რუსულ გამოცემა "იზვესტიას" უეფას პრესოფიცერმა **სერგეი ბორისოვმა**.

"იზვესტიათან" პოზიცია დააფიქსირა თბილისისა და კიევის "დინამოს", ყოფილმა მცველმა, საბჭოთა კავშირის, დსთ-სა და რუსეთის ნაკრებების ყოფილმა წევრმა **ახრიკ ცვეიბამაც**, რომელიც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ამ რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების ერთ-ერთი ინიციატორია: *"გასულ წელს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეონიდ ძიაპშპამ ფიფაში განაცხადი უკვე შეიტანა. ამჟამად საკითხზე ახალი პრეზიდენტი ჯემალ გუბაზი მუშაობს და განაცხადი მომზადებულია. მიმაჩნია, რომ კოსოვოსავით, ჩვენც ყველაფერი გამოგვივა. ფიფაში განაცხადის შესატანად საკმარისია რესპუბლიკისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტების გადაწყვეტილებები. ერთიც და მეორეც, უეჭველია, რომ რესპუბლიკაში სპორტის განვითარებით დაინტერესებულები არიან".*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** კი ფიფას მოუწოდებს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კოსოვოს რანგში არ გაიყვანოს და მატჩების ჩატარების უფლება არ დართოს.

საინტერესოა წერილის ის ნაწილი, სადაც სიჭინავა მზადყოფნას გამოთქვამს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქმედი ნებისმიერი საფეხბურთო სუბიექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წევრის სტატუსით გააწევრიანოს, რაც მათ, ფიფას და უეფას ერთიან სამართლებრივ სივრცეში შესვლას განაპირობებს.

ეს სურვილი სეპარატისტებისგან არასოდეს წამოვა, ამ კუთხით თავად ფეხბურთის ფედერაციამ უნდა იმუშაოს. საჭიროა ინტეგრაცია, გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება, აფხაზებისთვის საქართველო ტრამპლინად რომ იქცეს. ასეა მოლდოვაში, სადაც სეპარატისტული დნესტრისპირეთის გუნდი, ტირასპოლის "შერიფი" მოლდოვას ჩემპიონატიდან გასვლაზე არც ფიქრობს და ევროთასებზე მისი სახელით გამოდის.

აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიან და ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ომმა, სხვათა საქმეში ცუდად ჩარევამ და ჩვენივე დაუკვირვებლობამ ერთმანეთი გადაგვკიდა. მათ რეალური ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ.

ბევრი ფიქრობს, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ გამოსავალი არსებობს. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთი ქართული კლუბი აფხაზეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშესთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ასეთი მაგალითები ჩვენ ერთმანეთს კვლავ დაგვაახლოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# ქართველი მეკარე სერბეთის თასის მფლობელია

**3 აპრილს თურქეთში უეფას კონგრესზე გადაწყდა, რომ ფუტსალში ევროპის 2016 წლის ჩემპიონატს სერბეთი უმასპინძლებს. ეს ქვეყანა ფუტსალში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა – ბოლო ევროპის ჩემპიონატზე ბალკანელები ფინალურ ეტაპზე გავიდნენ და მეოთხედფინალში ვიცე-ჩემპიონ რუსეთთან დამარცხდნენ.**



დავით კეფაშვილი

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების მეკარე **დავით კეფაშვილი** ბელგრადის "მარბო ინტერმეცოში" თამაშობს და ახლახან სერბეთის თასის მფლობელი და ჩემპიონატის მეორეადგილოსანი გახდა. 21 წლის მეკარე ამ შედეგით მაინც უკმაყოფილოა: *" შარშანაც იგივე შედეგი გვქონდა, ამიტომ წლეულს ჩვენი პროგრამა მინიმუმი ჩემპიონობა იყო. გულშემატკივარიც იგივეს მოითხოვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. ზედიზედ მესამე წელია, პირველ ადგილზე ერთი და იგივე გუნდი, კრაგუევაცის "ეკონომაცი" გადის. მართალია, თასის ფინალში ამ გუნდს მოვუგეთ, მაგრამ ბელგრადელ ფანებს ჩემპიონობის დაკარგვა ძალიან ალიზიანებთ და თასის მოპოვება არ აკმაყოფილებთ".*

ნაკრების მეკარე საკუთარ ამბებზეც გველაპარაკა: *"მეორე წელია, "მარბო ინტერმეცოში" ვთამაშობ. ბელგრადის კლუბია და მრავალი გულშემატკივარი ჰყავს. მე ჯერ ძირითადი შემადგენლობის წევრი არ ვარ, ჩემი კონკურენტი სერბეთის ნაკრების მეორე მეკარე ნიკოლა იოსიმოვიჩია. თუმცა, მწვრთნელი მენდობა და სათამაშო პრაქტიკა მაინც მაქვს. ეს კი ჩემთვის მთავარია. საქართველოს ნაკრებშიც არ მაქვს გარანტირებული ადგილი, მაგრამ ბოლო ორ შესარჩევ ციკლში მიწვევდნენ. ვნახოთ, თავს თუ გამოვიჩენ, ალბათ, დამიფასდება".*

**მერაბ მამულაშვილი**



შოთა არველაძე

# ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან „გუშინ..."

ლელოს ბიბლიოთეკა

## იმ საქართველოს გაუმარჯოს...

გაგრძელება. დასაწყისი:
**ლელო № 110 (13716)**

**მსოფლიო** ფეხბურთის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა და მართალი გითხრათ არც გამიგია, რომ რომელიმე ქვეყნის ღირსებას სამი ძმა ერთდროულად იცავდეს. ჩვენთვის და ჩვენი ოჯახისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო და, ამავე დროს, საამაყოა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თამაში ჩვენი მშობლებისათვის მორალურად და ფსიქოლოგიურად, ურთულესი გადასატანი იყო ყოველთვის. ხშირად დედაჩემს თამაშის დასაწყისშივე გამოურთავს ტელევიზორი, რადგან სამი შვილის ერთდროულად ყურება და მათზე არანორმალური ნერვიულობა, დამეთანხმებით, ადვილი არ არის.

ნაკრების თემა საქართველოში ყველას განსაკუთრებულად აინტერესებს, — რა ხდებოდა 16 წლის განმავლობაში? რატომ წაგვივიდა ცუდად კარგად დაწყებული საქმე და რატომ გაუარესდა ჩვენი პირვანდელი მიღწევები, რომელიც საკმაოდ მკაფიო იყო? რატომ მიდიოდა ნაკრების საქმე სულ დაღმა და დაღმა?!..

ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ მე ჩემი შეხედულებები მაქვს.

წარუმატებლობის პირველი მიზეზია ის, რომ საქართველოში კარგი ფეხბურთელების რიცხვი თანდათან იკლებდა... თუ პირველ-ორ შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული გუნდის შედეგებს, რა თქმა უნდა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაც განაპირობებდა. საქართველოს ნაკრებს 1992-2007 წლებში კარგი ფეხბურთელები ჰყავდა, მაგრამ ეროვნული ნაკრები ისევე დაულაგებელი იყო, როგორც ჩვენი ქვეყანა და ამაში დამნაშავე არავინაა.

90-იანი წლების საქართველოს ნაკრებში ყველაზე ნიჭიერნი **აჩი არველაძე** და **გიო ქინქლაძე** იყვნენ.

იმიტომ კი არა, რომ აჩი ჩემი ტყუპის ცალია, მინდა სრულიად გულახდილად ვთქვა, — საქართველოში არსებულ ფეხბურთელთა შორის არავის ჰგავს თამაშის მანერით, არაორდინარული გადაწყვეტილებებით, დრიბლინგით, ხასიათით. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი ურთულესი ოპერაცია აქვს გაკეთებული, არასდროს ნებდებოდა და ვფიქრობ, გულშემატკივართა თვალში წარუშლელი კვალი დატოვა... გულს მიხეთქავს იმის წარმოდგენა, — რომ არა მისი ტრავმები, რამხელა წარმატება ელოდა!.. სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს და არც შემიძლია...

აი, გიოზე ლაპარაკს კი, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავასრულებ. არ ვიცი, უპირველეს ყოვლისა, მან აპატია თუ არა თავის თავს, აპატია თუ არა მას ქართველმა თუ ევროპელმა გულშემატკივარმა, მისი ასე, ქარს გატანებული ნიჭი, მაგრამ ჩემგან ის პატიებას ვერასოდეს ეღირსება!.. ვფიქრობ, გიო ქინქლაძე 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა, რაც ბუნდესლიგის „აინტრახტში" მოსახვედრად დაეხმარა, — ასეთი გამოცდილებით მივიდა ის საქართველოს ნაკრებში. კახა ცხადაძე ნაკრების პირველი კაპიტანი გახდა! ერთი შეხედვით მაღალი, თხელი, თითქოს ჰაეროვანი, მაგრამ ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი მცველი იყო. სამწუხაროდ, უიღბლობამ ძალიან შეუშალა ხელი, — თორმეტი ოპერაცია გაიკეთა, ფეხები დასახიჩრებული აქვს... კარიერის ბოლოს ძალიან გაწვალდა და ალბათ, რომ არა ტრავმები, ბევრად მეტს მიაღწევდა.

უაღრესად საინტერესო, შემოქმედი ფეხბურთელი იყო **გოჩა ჯამარაული.** ყველასგან გამორჩეული თავისი ტექნიკით და აზროვნებით. მასთან თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. გიო ქინქლაძე ხომ ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტი იყო, მაგრამ „ჯამარას" თავისი გამორჩეული სტილი ჰქონდა და მისგან საკმაოდ ბევრს ველოდი... სამწუხაროდ, გოჩა ჯამარაულს არ გაუმართლა და ნიჭი ბოლომდე ვერ გამოავლინა, არადა, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა!..

მოედნის შუაში კონკურენციის გამო, **რეზის** ძალიან ბევრ პოზიციაზე ათამაშებდნენ. ნაკრებში მასაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა, — მოედნის არაჩვეულებრივი ხედვა, საოცარი პასი,



მარცხნიდან: შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, არჩილ არველაძე

ფოტო წიგნიდან „გუშინ..."

ლოს ორმოცდაათამდე კარგად მომზადებული ფეხბურთელი ეგულებოდა, — რამდენიმე მაღალი დონისაც, ამ რიცხვმა მერე და მერე კლება დაიწყო, რაც ლოგიკური იყო, რადგან ყველა საბჭოთა პირველობას ჩამოვცილდით. იმ გუნდებმა, რომლებიც ფეხბურთელებს ამზადებდნენ („დინამოს" გარდა), თავისი პოზიციები დაკარგეს, ისინი აღარ იყვნენ ისეთი პოპულარულები, როგორიც სსრკ-ს დროს. ამიტომ მხოლოდ თბილისის „დინამოს" ამარა დარჩენილი ქართული ფეხბურთი დროულ და შესაფერის შევსებას ველარ იღებდა.

გამოგვაკლდა აფხაზეთი, გამოგვაკლდა სამაჩაბლო... საქართველოსთვის და ქართული ფეხბურთისთვის ურთულესი პერიოდი დადგა... ერთ პოზიციაზე 2-3, ასე თუ ისე თანაბარი ძალის ფეხბურთელი აღარ მოდიოდა.

მეორე მიზეზი მწვრთნელთა ხშირი ცვლაა. მიმაჩნია, რომ არც ერთ ქართველ მწვრთნელს საკმარისი დრო არ მიეცა ნაკრებში მუშაობისათვის. მათთვის დრო იყო საჭირო. ვფიქრობ, **ალექსანდრე ჩივაძისთვის, დავით ყიფიანისთვის** თუ **რევაზ ძოძუაშვილისთვის** დრო რომ მიეცათ, მათ ხელში ნაკრები გაცილებით მეტს მიაღწევდა. მეტი დრო უნდა მიეცათ უცხოელი მწვრთნელებისთვისაც, — **იოჰან ბოსკამპს და ალენ ჟირესს,** მართლაც შეეძლოთ ჩვენი ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა.

საქართველოს ყველა დროის, ყველაზე დიდი ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელი იყო, რომელმაც თავისი შესაძლებლობის ნახევარიც კი ვერ გამოავლინა და ჩვენ, ყველას, მისი თამაშის ყურების უდიდესი სიამოვნება მოგვაკლო...

**თემურ ქეცბაია**, უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, რომელსაც თავიდანვე ეტყობოდა, რომ დიდ წარმატებას მიაღწევდა, — ნიჭს სპორტსმენის უდრეკი ხასიათიც უმაგრებდა ზურგს. თემურ ქეცბაია ყოველ ჯერზე ისეთი თავდადებით იბრძოდა მოედანზე, გეგონებოდათ კარიერის ბოლო თამაშს ატარებსო. ორივე ფეხითაც ერთნაირად, ხარისხიანად თამაშობდა. თამაშის საკუთარ თავზე აღება შეეძლო და არასდროს უთქვამს, ამ პოზიციაზე არ მსურს, ან იმ დავალებას ვერ შევასრულებო!.. როცა ნაკრებში მასთან ერთად პირველად ვითამაშე, დავრწმუნდი, — თემურს ყველაფერი შეეძლო. მოედანზე ის ჩვენი ლიდერი იყო!

ასევე ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო **კახა ცხადაძე**. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, გაბედა და ესენგეს ნაკრებში ითამაშა. „ხალხის მტერი"! „ერის მოღალატე!" — რას არ ეძახდნენ ამის გამო საქართველოში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველა მიხვდა, რომ ცხადაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და რომ მას არავისზე ნაკლებად არ უყვარდა საქართველო!.. ცხადაძემ,

ორივე ფეხით ერთნაირი თამაში და ჯარიმების საუკეთესო შემსრულებელი. პრინციპში, მისთვის ადგილი რომ არ შეეცვალათ და ფლანგზე არ გადაენიათ, მისგან ბევრად მეტ სარგებელს მივიღებდით. ისე, მისი მონაცემების პატრონს ბევრად მეტისთვის უნდა მიეღწია, ვიდრე შეძლო, ამაში ნაწილობრივ დამნაშავე მე და აჩიც ვართ. რეზი „კიოლნიდან" არ უნდა წამოსულიყო, კარიერა გერმანიაში უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ საქართველოში ჩვენი დაბრუნება ჩვენს დიდ ოცნებასთან იყო დაკავშირებული, რასაც „დინამო" ერქვა და ამ გადაწყვეტილებას არ ვნანობთ.

როცა **კახი კალაძე** კიევში წავიდა, ბევრმა მისი ეს გადაწყვეტილება შეცდომად მიიჩნია, მაგრამ საქართველომ მისი სახით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი მიიღო! ქართული ფეხბურთის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი და ტიტულოვანი ფეხბურთელი! მიუხედავად უდიდესი წარმატებებისა, არასდროს უღალატია მთავარი პრინციპისთვის, — აკეთოს ის, რაშიც საუკეთესოა, ყოველთვის იყოს სამაგალითო ყველასთვის, და აკეთოს ის, რაშიც ყველაზე მაგარია, — ეს არის ის, რასაც მსოფლიო კლასი ჰქვია!

გაგრძელება იქნება

ევრო 2012 იტალიის ნაკრები

# პრანდელიმ 25 დატოვა

## დღეს, აძურა ლუქსემბურგს შეხვდება

**იტალიურ** ფეხბურთში აგორებული მორიგი სკანდალის ფონზე, "სკუადრა აძურა" ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ, ჩეზარე პრანდელიმ იმ 7 ფეხბურთელის გვარი გაამხილა, რომლებიც ევროფორუმზე ვერ გაემგზავრებიან – ჩამოვთვალოთ ისინი და შემდეგ, განვავრცოთ თემა – მეკარე: ემილიანო ვივიანო (პალერმო); მცველები: სალვატორე ბოკეტი (რუბინი), დავიდე ასტორი (კალიარი), დომენიკო კრიშიტო (ზენიტი); ნახევარმცველები: ლუკა ჩიგარინი (ატალანტა), ესეკილ სკელოტო (ატალანტა), მარკო ვერატი (პესკარა).

### ერთი იძულებით

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შვიდიდან ერთი მოთამაშე **ჩეზარე პრანდელიმ** მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ამოაგდო – ლაპარაკია **დომენიკო კრიშიტოზე**, რომელიც გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია და საწვრთნელი ბაზიდან პირდაპირ სამართალდამცავთა ხელში გადაინაცვლა. მართალია, კრიშიტო არ დაუკავებიათ, მაგრამ უახლოეს დღეებში მისი სახლის გაჩხრეკვა იგეგმება და ასეთ დროს, წვრთნებსა და თამაშებზე კონცენტრაციის მოხდენა ნამდვილად წარმოუდგენელია. ამ საკითხზე სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ჟურნალისტების წინაშე ფედერკალჩოს ვიცე-პრეზიდენტი **დემეტრიო ალბერტინი** წარდგა – მოვუსმინოთ მას:

*"დასამალი არაა, რომ კრიშიტოს პრანდელი ძირითადი შემადგენლობის წევრად მიიჩნევდა. ამიტომ, დომენიკოს ამბავი არა მარტო ადამიანური, სპორტული თვალსაზრისითაც დიდი დარტყმაა ჩვენთვის. სამწუხაროდ, მას საწვრთნელი პროცესის დატოვება მოუხდა და შესაბამისად, ვერც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. ვიცი, როგორ უჭირს ამ წუთებში კრიშიტოს, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ იყო... თვითონაც განაცხადა, რომ ამ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება მისი საწვრთნელი პროცესიდან გათავისუფლება გახლდათ".*

### დარჩა 25

ჩეზარე პრანდელიმ გაფართოებულ შემადგენლობაში 32 ფეხბურთელი შეიყვანა, გუშინ 7 გამოაკლო და დღეს, კიდევ 2-ს შეელევა. იქამდე კი სახეზე 25 კანდიდატია, რომელთაგან 23 უნდა დარჩეს; კიდევ უფრო თუ დავკონკრეტდებით, 22 მოთამაშიდან 20 უნდა შეირჩეს, რადგან ცვლილებები მეკარეებს აღარ შეეხებათ. დღევანდელი მდგომარეობით, დაცვასა და ნახევარდაცვაში რვა-რვა მოთამაშეა, შეტევის ხაზში კი ექვსი. წინასწარი პროგნოზით, ნაკრებს ერთი ფორვარდი აუცილებლად გამოაკლდება, მეორე დაწუნებული კი ან მცველი იქნება, ან ნახევარმცველი. კულუარული ინფორმაციით, სახლში **მატია დესტრო** და **ანჯელო ოგბონა** გაემგზავრებიან – პირველი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მას გაფართოებულ შემადგენლობაშიც არავინ ელოდა; მეორე კი წლებია სერია B-ში თამაშობს და მაღალი რანგის ტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილება აკლია; თუ ამ ლოგიკას მივყვებით, სავსებით რეალურია, რომ ნაკრებს სწორედ დესტრო და ოგბონა გამოაკლდნენ. ვნახოთ, დღეს ამ კითხვებსაც გაეცემა პასუხი.

### დღეს: იტალია VS ლუქსემბურგი

იტალიის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგური შეხვედრის დროც დაუდგა – პარმაში, "ენიო ტარდინიზე" "სკუადრა აძურა" ლუქსემბურგის უმთავრეს გუნდს უმასპინძლებს და სწორედ ამ მატჩის შემდეგ, ჩეზარე პრანდელი ევროფორუმზე გასამგზავრებელ საბოლოო შემადგენლობას დაასახელებს. აპენინებზე ბევრს უკვირს, თუ რატომ შეარჩია პრანდელიმ მეტოქედ ჯუჯა-სახელმწიფო და რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს ასეთ სუსტ მეტოქესთან პაექრობას? – სწორედ ამ საკითხზე ესაუბრა "კორიერე დელო სპორტი" იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს და უმჯობესია, პირდაპირ მას გადავცეთ სიტყვა:

*"ლუქსემბურგის ნაკრები გრანდთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნება, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა რომ ნებისმიერი რანგის მეტოქისთვის შეუძლია, ეს არაერთხელ დაუმტკიცებია. ამასთან, ჩვენი უმთავრესი მიზანი გუნდის შეთამაშებაა და ასეთ დროს, გრანდთან პაექრობა სულაც არ არის სასურველი. შევეცდები ყველა ფეხბურთელი გამოვცადო, რათა თითოეული მათგანის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ დავინახო. ევროპის ჩემპიონატამდე დიდი დრო არაა დარჩენილი და თითოეული თამაში თუ ვარჯიში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ".*

პრესას იტალიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, **ანდრეა პირლოც** გაესაუბრა და ლუქსემბურგთან თამაშზე იმდენი არ ულაპარაკია, რამდენიც, ევროპის ჩემპიონატზე: *"ამხანაგური მატჩები ხარვეზების აღმოსაფხვრელად უნდა გამოვიყენოთ და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც მოხდება. წინ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის, რომელშიც კონტინენტის უძლიერესი გუნდები ასპარეზობენ. ყველაზე ძლიერთან, ანუ პირველობის უდავო ფავორიტ ესპანეთთან სულაც პირველ შეხვედრას გავმართავთ და ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ. ფავორიტთა შორის დავასახელებ გერმანიას, ჰოლანდიას და საფრანგეთს; ლორან ბლანის გუნდს ბევრ არ აფასებს, ჩემი აზრით კი მამლები უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ".*

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მორგან დე სანკტისი (ნაპოლი), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები:** ინაციო აბატე (მილანი), ფედერიკო ბალცარეტი (პალერმო), ანდრეა ბარცალი, ლეონარდო ბონუჩი, ჯორჯო კიელინი (ყველა იუვენტუსი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), ანჯელო ოგბონა (ტორინო), ანდრეა რანოკია (ინტერი).

**ნახევარმცველები:** დანიელე დე როსი (რომა), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია), ემანუელე ჯაკერინი, კლაუდიო მარკიზიო, ანდრეა პირლო (ყველა იუვენტუსი), ტიაგო მოტა (პსჟ, საფრანგეთი), რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა), ანტონიო ნოჩერინო (მილანი).

**თავდამსხმელები:** მარიო ბალოტელი (მან. სიტი, ინგლისი), ფაბიო ბორინი (რომა), ანტონიო კასანო (მილანი), მატია დესტრო (სიენა), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).



იტალიის ნაკრები "კოვერჩიანოზე"

სკანდალი

# არა შეჯდა მწყერი ხესა...

## მაური დააკავეს, კალაძეს ალბათ დაკითხავენ

"რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს", იტალიურ ფეხბურთში მორიგმა სკანდალმა იფეთქა და საქმე ისევ ჩაწყობილ თამაშებს ეხება... მოკლედ, 2006 წელს დაწყებული "კალჩოპოლი" მხოლოდ დასაწყისი ყოფილა და ეს პროცესები დღემდე გრძელდება; გრძელდება და ისეთი პირი უჩანს, რომ გადამწყვეტ ფაზაში შედის, რადგან გუშინ იტალიის სამართალდამცავმა ორგანოებმა 19 ეჭვმიტანილი ფეხბურთელი დააპატიმრეს. დაკავებულთა შორის ცნობილი მოთამაშეებიც არიან, მათ შორის ერთ-ერთი კი რომის "ლაციოს" კაპიტანი **სტეფანო მაური** გახლავთ. დიახ, მაური, ფეხბურთელი, რომელიც იტალიის ეროვნული ნაკრების კანდიდატია და საყოველთა მოლოდინით, ევროპის ჩემპიონატზეც უნდა ეთამაშა – თუმცა, **ჩეზარე პრანდელიმ** განაცხადს მიღმა დატოვა და როგორც გამოჩნდა, აბსოლუტურად სწორად მოიქცა.

როგორც აღვნიშნეთ, მაურის გარდა, კიდევ არაერთი ფეხბურთელია დაკავებული და შეგვიძლია რამდენიმე მათგანი ვახსენოთ კუდეც – მაგალითად, **ომარ მილანეტო**, რომელიც დღეს "პადოვაში" ასპარეზობს, თავის დროზე კი "ჯენოაში" თამაშით გაითქვა სახელი. ასევე, დაკავებულები არიან **კრისტიან ბერტანი** "სამპდორიადან", **პაოლო აჩერბისი** "ვიჩენცადან", **მარკო ტურატი** "მოდენადან" და ქვედა ლიგის გუნდების ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები. საქმეში ფიგურირებს **კახა კალაძის** გვარიც, თუმცა საბედნიეროდ, ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი ეჭვმიტანილი არ არის და იმედია, ამ სტატუსს არც არასდროს მიიღებს. კახას ალბათ იტალიაში დაიბარებენ, რათა დაკითხონ და გარკვეული ინფორმაცია მიიღონ – საქმე იმაშია, სამართალდამცავ ორგანოებს "ლაციო"-"ჯენოას" მატჩზე აქვთ ეჭვები, არადა, ამ შეხვედრაში ქართველ მცველს მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. კალაძესთან ერთად, **ჯუზეპე სკულიც** ახსენეს, რომელიც ალბათ უახლოეს დღეებში დაიკითხება. ეჭვებია აღძრული **დომენიკო კრიშიტოსთან** დაკავშირებით, რომელიც "ზენიტის" ღირებას იცავს და ამჟამად, იტალიის ნაკრებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ ემზადება. გაიჟღერა **ანტონიო კონტეს** გვარმაც, თუმცა მისთვის ბრალდება ჯერ არ წაუყენებიათ – კონტეს შემთხვევაში, საუბარია მის ჯერ კიდევ "ბარის" მთავარ მწვრთნელად მუშაობის პერიოდზე და ამ მხრივ, "იუვენტუსის" გულშემატკივრებს მშვიდად შეუძლიათ ყოფნა. დაახლოებით ასე აგორდა 2006 წლის გაზაფხულზე სკანდალური პროცესები, რომელსაც შემდეგ "კალჩოპოლი" ეწოდა – ისე, იმ ზაფხულს იტა;ლიის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და ვინ იცის, იქნებ...

ბოლოს, სიტყვა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, **ჯანკარლო აბეტეს** გადავცეთ: *"ნამდვილად არ მსიამოვნებს, რომ კიდევ ერთხელ მიწევს გარიგებულ მატჩებზე საუბარი, მაგრამ სირაქლემას პოზაში ვერ ჩავდგებით... საფეხბურთო კორუფცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოვფხვრათ, ამისთვის კი გაათმაგებული ენერგიით ბრძოლაა საჭირო. ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ სამართალდამცავ ორგანოებთან, გამოძიება გრძელდება და ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი".*



სტეფანო მაურის ბორკილები დადეს

ბრიფინგი სკანდალური პროცესების შესახებ

ლაციო

## ერნანესი: ფულით ვერ მომხიბლავთ

**იტალიურ** სპორტულ პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია **ერნანესის** "ლაციოდან" შესაძლო აბარგების შესახებ. იყო საუბრები, რომ ბრაზილიელი შემტევის გადაბირებით "ინტერია" დაინტერესებული, სულ ბოლო ცნობით კი მისი ყიდვა "მანჩესტერ სიტის" მესვეურებმა მოისურვეს. ამ საკითხებზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა და განაცხადა, რომ "ლაციოდან" აბარგების სურვილი არ აქვს:

*"ჩემს აგენტთან არავის დაურეკავს და შესაბამისად, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. ერთი, რაც შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, არის ის, რომ "ლაციოში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და რომიდან წასვლის არავითარი სურვილი არ მაქვს. შესაბამისად, "ბიანკოჩელესტეს" დატოვებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიფიქრებ, თუ საოცნებო წინადადებას მივიღებ... როდესაც ოცნებებზე ვსაუბრობ, აქ ფული ნამდვილად არ იგულისხმება. ასე რომ, ჩემი ფინანსებით მოხიბვლა ნამდვილად წარმოუდგენელია".*

რომა

# პისარო ახალი მწვრთნელის იმედად



დავიდ პისარო

**დავიდ პისარომ** ნახევარი სეზონი "მანჩესტერ სიტიში" გაატარა და სეზონის დასრულებისთანავე "რომას" დაუბრუნდა. თავის დროზე, ბევრს გაუკვირდა, როდესაც სამხრეთამერიკელი **ლუის ენრიკემ** ინგლისში გაუშვა, რადგან დავიდე სწორედ ის მოთამაშეა, რომელსაც ბურთის დაჭერა შესანიშნავად შეუძლია, არც პასი ეშლება და **ხავი-ინიასტასაც** რაღაცით წააგავს... მოკლედ, პისარო თითქოს უნდა ჩამჯდარიყო ბარსელონიზაციის პროცესში მყოფ "რომაში", მაგრამ ესპანელმა სპეციალისტმა რატომღაც მასთან განშორება გადაწყვიტა. პისარო დაუბრუნდა იტალიის დედაქალაქს და "გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში შემდეგი განაცხადა:

*"ინგლისში ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი, ბევრი ახალი მეგობარი შევიძინე, მაგრამ იქ დაბრუნების სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ძირითადად, სათადარიგო სკამზე მიწევდა ჯდომა და სიმართლე გითხრათ, ვერც პრემიერლიგას გავუგე ვერაფერი – იქ ბურთი მუდმივად ჰაერშია, რაც ჩემს გემოვნებაში ნამდვილად არ ჯდება. რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მინდა, რომ კარიერა სწორედ "ჯალოროსიში" დავასრულო. იმედი მაქვს, ახალ მთავარ მწვრთნელთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ევრო 2012 გერმანიის ნაკრები



იოახიმ ლიოვმა კაკაუზე უარი თქვა

# ლიოვმა კაკაუ ნაშალა!

## იოგის ევროპის ჩემპიონატზე არც ტერ შტეგენი, არც დრაქსლერი და არც დორტმუნდელი ბენდერი არ მიჰყავს

**გერმანიის** ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობა დღეს უნდა დაესახელებინა, მაგრამ ეს, ყველასათვის მოულოდნელად, გუშინვე გააკეთა. ბუნდესგუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში 27 ფეხბურთელი გახლდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ იოგის სახლში 4 ფეხბურთელი უნდა გაეშვა. გუშინ საღამოს, ბუნდესმწვრთნელმა სწორედ ეს ოთხი ფეხბურთელი ჩამოთვალა.

მაშ ასე, ლიოვმა ევრო 2012-ის განაცხადს მიღმა შემდეგი ფეხბურთელები დატოვა: მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მეკარე **მარკ-ანდრე ტერ შტეგენი**, „შალკეს" ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **იულიან დრაქსლერი**, დორტმუნდის „ბორუსიას" საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** და „შტუტგარტის" წარმოშობით ბრაზილიელი თავდამსხმელი **კაკაუ**.

გერმანული საფეხბურთო საზოგადოებისთვის ყველაზე მოულოდნელი, ცხადია, კაკაუს განაცხადს მიღმა დატოვება აღმოჩნდა. მართალია, ამ უკანასკნელს ბუნდესლიგაში კარგი სეზონი არ ჩაუტარებია, მაგრამ რაკი ლიოვს გაფართოებულ შემადგენლობაში მხოლოდ სამი ტიპური ცენტრფორვარდი ჰყავდა და მათ შორის ერთ-ერთი კაკაუც იყო, გერმანელი ექსპერტები ამ უკანასკნელზე უარის თქმას ფაქტობრივად გამორიცხავდნენ და ამას იმით ხსნიდნენ, რომ იოგი ორი ცენტრფორვარდის (**კლოზე, გომესი**) იმედად არ დარჩებოდა.

### რისკი? რისკი ხომ არსებობს!

აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეებში იოგი ხშირად იმეორებდა, ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციების შესრულება **მარკო როისსაც** შეუძლია და მე იგი გომესისა და კლოზეს პოტენციურ შემცვლელადაც მიმაჩნიაო, რაც პირველი ნიშანი გახლდათ იმისა, რომ კაკაუს ევროპის ჩემპიონატზე თამაში განაღდებული არ ჰქონდა. თანაც, გერმანიის ნაკრები უმეტესად ერთი ცენტრფორვარდით თამაშობს და თუ როისის ფენომენსაც გავითვალისწინებთ, ევრო 2012-ზე მხოლოდ ორი ტიპური ცენტრალური თავდამსხმელის წაყვანა არც ისე სარისკო გადაწყვეტილებაა.

იმედგაცრუებულები არიან ტერ შტეგენი, სვენ ბენდერი და დრაქსლერიც. „გლადბახის" კიპერზე და „შალკეს" ახალგაზრდა შემტევზე უარის თქმა მოსალოდნელი იყო, ბენდერისა კი – ნაკლებად სავარაუდო. სამაგიეროდ, იოგიმ განაცხადში დატოვა სვენის ტყუპისცალი, „ლევერკუზენის" ნახევარმცველი **ლარს ბენდერი**. ექსპერტები უფრო ამ უკანასკნელის განაცხადს მიღმა დატოვებას ვარაუდობდნენ.

უიღბლო ოთხეულს გუშინ საღამოს გერმანიის ნაკრებთან ერთად აღარ უვარჯიშია – ტერ შტეგენი, ბენდერი, დრაქსლერი და კაკაუ სახლებში დაბრუნდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ლიოვი ოთხივეს პირადად ესაუბრა და აუხსნა, რატომ არ მიჰყავს ისინი კონტინენტის პირველობაზე. ბუნდესმწვრთნელი ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს დღეს გააკეთებს, გუშინ კი თავად უიღბლოებმა ისაუბრეს.

### იმედგაცრუებულთა რეაქციები

კაკაუ: *„ევროპის ჩემპიონატზე თამაში ძალიან მინდოდა და ცხადია, გულდაწყვეტილი ვარ. გერმანიის ნაკრებში უდიდესი კონკურენციაა და მწვრთნელის გადაწყვეტილება ჩემთვის მისაღებია. ფაქტია, რომ ვარჯიშებზე თავი არ დავზოგე. მიუხედავად განაცხადს მიღმა დარჩენისა, თავს მაინც გერმანიის ნაკრების წევრად ვგრძნობ და ბიჭებს ევროპის ჩემპიონატზე მაგრად ვუქომაგებ."*

ტერ შტეგენი: *„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ამ მოვლენას პოზიტიურად ვუყურებ – ამ დღეებში უდიდესი გამოცდილება მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიასთან დავმარცხდით, ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებში ჩემი დებიუტი შედგა. დარწმუნებული ვარ, იოახიმ ლიოვი მომავალში არაერთ შანსს მომცემს."*

**სვენ ბენდერი:** *„ძალიან დამწუხრებული ვარ, რადგან ევროპის ჩემპიონატზე თამაშზე ვოცნებობდი, მაგრამ მთელი კარიერა წინ მაქვს და მჯერა, ბუნდესგუნდთან ერთად არაერთ დიდ ტურნირზე ვითამაშებ. მიხარია, რომ ჩემი ძმა ლარსი განაცხადშია და ევრო 2012-ის ერთ-ერთი მონაწილე იქნება. იმედი მაქვს, ბიჭები ევროპის თასით დაგვიბრუნდებიან."*

**დრაქსლერი:** *„ჩემთვის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვედრაც უდიდესი წარმატება იყო. ეროვნულ გუნდთან ერთად ვარჯიშით უდიდესი სიამოვნება მივიღე. ცხადია, კარგი იქნებოდა, საბოლოო განაცხადში რომ მოვხვედრილიყავი, მაგრამ არა უშავს – ჯერ ძალიან პატარა ვარ და მომავალი წინ მაქვს."*

### გერმანიის ნაკრების საბოლოო განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), ტიმ ვიზე (ვერდერი), რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი).

**მცველები:** ჰოლგერ ბადშტუბერი, ჟერომ ბოატენგი, ფილიპ ლამი (სამივე ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (არსენალი), მარსელ შმელცერი, მატს ჰუმელსი (ორივე ბორუსია /დ/), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე).

**ნახევარმცველები:** ანდრე შიურლე, ლარს ბენდერი (ორივე ლევერკუზენი), მარიო გიოტცე, ილქაი გიუნდოგანი (ორივე ბორუსია /დ/), სამი ხედირა, მესუთ იოზილი (ორივე რეალი), ტონი კროოსი, თომას მიულერი, ბასტიან შვაინშტაიგერი (სამივე ბაიერნი), ლუკას პოდოლსკი (არსენალი), მარკო როისი (ბორუსია /დ/).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (ლაციო).

ევრო 2012 ჰოლანდიის ნაკრები

# რობენს გულზე [illegible]

## არიენი ამსტერდამის მადლობელია

ჰოლანდიის ნაკრები ამსტერდამში ბულგარეთთან რომ დამარცხდა (1:2), ამაზე გუშინდელ ნომერში დაწვრილებით ვწერდით. ტესტ-მატჩში წაგებამ საფეხბურთო ჰოლანდია საგონებელში ჩააგდო და ამ მატჩის შემდეგ სახეზე კმაყოფილება მხოლოდ **არიენ რობენს** ეწერა. გუშინ „ნარინჯისფრების" ერთ-ერთმა ლიდერმა გულშემატკივრებს მადლობა გადაუხადა – როგორც იცით, მოედანზე შესვლისას მას მთელი „ამსტერდამ არენა" ფეხზე წამოუდგა.

*„ასეთ მხარდაჭერას არ ველოდი და ქომაგებს უდიდეს მადლობას ვუხდი. წინა კვირა ჩემთვის საოცრად მძიმე იყო და ამსტერდამის პუბლიკის ამ ჟესტმა წნეხი შემიმსუბუქა"* - უთხრა რობენმა ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებს. როგორც იცით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაცუდებული თერთმეტმეტრიანის გამო მას „ბაიერნისა" და ჰოლანდიის ნაკრების ტესტ-მატჩში მიუნხენურმა პუბლიკამ სტვენა აუტეხა, რის გამოც 28 წლის გარემარბი ნაწყენი იყო.

### არიენი მხოლოდ ევრო 2012-ზე ფიქრობს

ბულგარეთთან მატჩში „ამსტერდამ არენამ" რობენის გვარის სკანდირება 62-ე წუთიდან დაიწყო – შეგახსენებთ, რომ არიენი ძირითად შემადგენლობაში არ გახლდათ გამწესებული და **ბერტ ვან მარვიიკმა** მოედანზე მხოლოდ 77-ე წუთზე შეიყვანა. არიენის ბურთთან თითოეულ კონტაქტს ჰოლანდიის ნაკრების ქომაგები ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდნენ.

*„ბაიერნის" ფანებმა რომ მისტვინეს, საგონებელში ჩავვარდი, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა! ახლა მხოლოდ ჰოლანდიის ნაკრებსა და ევროპის ჩემპიონატზე ვარ კონცენტრირებული"*, - თქვა რობენმა გუშინ.

რობენისგან განსხვავებით, უკმაყოფილოა მწვრთნელი ვან მარვიიკი, რომელმაც თქვა, მას მერე, რაც ჰოლანდიის ნაკრებს ვავარჯიშებ, გუნდს ასე ცუდად არასდროს უთამაშიაო – მან მეორე ტაიმი იგულისხმა, რომელშიც „ნარინჯისფრებმა" 2 გოლი გაუშვეს.

### რამდენად სერიოზულია მატიისენის ტრავმა?

გუშინაც ვიუწყებოდით, რომ ბულგარეთთან მატჩში ჰოლანდიას დაცვის ბურჯი **იორის მატიისენი** დაუშავდა და ვან მარვიიკმა ის უკვე მე-16 წუთზე შეცვალა. უახლესი ინფორმაციით, მატიისენი ევროპის ჩემპიონატზე თამაშს მოახერხებს, ბოლო ორ ტესტ-მატჩში კი (ოთხშაბათს, სლოვაკეთთან და შაბათს, ჩრდილოეთ ირლანდიასთან) ვერ იასპარეზებს.



არიენ რობენმა ამსტერდამის პუბლიკას მადლობა გადაუხადა

ევრო 2012 ჩეხეთის ნაკრები

# დარიდა ევროპის ჩემპიონატზე მიდის!

## ბილეკმა განაცხადი შეცვალა და პუდილი თამაშგარეში დატოვა

**ჩეხეთის** ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მიხალ ბილეკს**, რომელმაც გასული კვირის ბოლოს ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააგრძელა, ევროპის ჩემპიონატისთვის საბოლოო სია გამოქვეყნებული ჰქონდა, მაგრამ გუშინ ერთი ფეხბურთელი შეცვალა: 23-კაციანი სიიდან მან **დანიელ პუდილი** ამოაგდო და მის ნაცვლად პოლონეთსა და უკრაინაში **ვლადიმირ დარიდა** მიჰყავს.

ეს უკანასკნელი, რომელიც პლზენის „ვიქტორიას" ღირსებას იცავს, ნაკრებთან ერთად მხოლოდ იმიტომ იყო, რომ თუ **ტომაშ როსიცკი** ევროპის ჩემპიონატამდე ვერ გამოჯანმრთელდებოდა, გამცოდილი გამთამაშებელი სწორედ დარიდას უნდა ჩაენაცვლებინა. მაგრამ 21 წლის ნახევარმცველმა ბილეკს თავი იმდენად მოაწონა, რომ ჩეხეთის ნაკრების თავკაცმა მის სასარგებლოდ სიიდან პუდილი ამოაგდო. ბილეკმა ეს გადაწყვეტილება ისრაელთან ამხანაგური მატჩის შემდეგ მიიღო, რომელიც ჩეხებმა 2:1 მოიგეს და რომელშიც დარიდამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

*„მივხვდი, რომ ეს ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატზე მჭირდება, პუდილის გამო კი გული ძალიან მწყდება"*, - განაცხადა ბილეკმა. აღსანიშნავია, რომ პუდილს ხელის ტრავმა აწუხებს და ევრო 2012-ზე მისი ასპარეზობა ისედაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჩეხები ამხანაგურ მატჩებს რუსეთსა და უნგრეთთან გამართავენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ვლადიმირ დარიდა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 საფრანგეთის ნაკრები

# დაუმარცხებლობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა

## იოლი გამარჯვება არ არსებობს, ისლანდიასთანაც კი

**საფრანგეთი-ისლანდია 3:2**

**საფრანგეთი:** მანდანდა, დებიუში, ევრა, რამი, მექსესი, კაბაი (ჟირუ 59), გურკუფი (რიბერი 75), ნასრი (მალუდა 60), მენეზი (ვალბუენა 75), ბენ არფა (ა. დიარა 59), ბენზემა (მარტენი 60)

**ისლანდია:** ჰალდორსონი, ვალგარდსონი (სკულასონი 57), რ. სიგურდსონი, იონსონი (დანიელსონი 66), ბიარნასონი, გ. სიგურდსონი, გისლასონი (გუდმუნდსონი 75), არნასონი, იონასონი, გუნარსონი, სიგტორსონი (ჰედინსონი 46)

**გოლები:** 0:1 ბიარნასონი (28), 0:2 სიგტორსონი (34), 1:2 დებიუში (52), 2:2 რიბერი (85), 3:2 რამი (87)



ფრანკ რიბერიმ ისლანდიელებს ეფექტური გოლი გაუტანა

საფრანგეთის ნაკრებმა ვალანსიენის "სტად დიუ ენოზე" ამხანაგურ შეხვედრაში ისლანდიას უმასპინძლა და 0:2-ის ჩამორჩენის მიუხედავად, საბოლოოდ კუნძულელები მაინც დაამარცხა. **ლორან ბლანის** გუნდმა ეს "სამი ქულა" წარმოუდგენელი თავდადებისა წყალობით მოიპოვა და ძალიან დიდი ენერგია შეალია, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შედეგმა ყველანაირი დაღლა გადაწონა.

თამაში მასპინძელთა გააფთრებული შეტევებით დაიწყო, მაგრამ ცივსისხლიანი ისლანდიელები ფავორიტების შეტევებს იოლად უმკლავდებოდნენ. პირველად **ჰანეს ტორ ჰალდორსონის** კარის ბადე შეირხა. ეს **კარიმ ბენზემამ** მოახერხა, მაგრამ ბელგიელმა არბიტრმა **სებასტიან დელფერიემ** თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. 28-ე წუთზე **რიურიკ გისლასონმა** აკრობატული მოძრაობით ბურთი თავზე აიგდო და **ბირკირ ბიარნასონი** მეკარესთან პირისპირ დატოვა. **სტივ მანდანდა** უძლური აღმოჩნდა რაიმე ელონა. მასპინძლებმა გონებაზე მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ **გულფი სიგურდსონმა** მარჯვენა ფლანგიდან მოედნის ცენტრში ჩააწოდა, სადაც ბურთს **კოლბეინ სიგტორსონი** დახვდა და ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა მეტოქის კარში. შესვენებამდე ფრანგებმა რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს.

### შემობრუნების ტაიმი

მეორე ნახევარი ისევ ფრანგების შეტევებით დაიწყო. 52-ე წუთზე **კარიმ ბენზემამ მატიე დებიუში** დიდებული პასით დატოვა მეკარესთან პირისპირ. "ლილის" მცველს 3 მეტრიდან გატანა აღარ გასჭირვებია. ეფექტური თამაშით დაგვახსომა თავი შეცვლაზე შესულმა **ფრანკ რიბერიმ**, ვინც **ოლივიე ჟირუსთან** გათამაშებული კომბინაციის შემდეგ 85-ე წუთზე მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. ზუსტად 2 წუთში "მონპელიეს" თავდამსხმელმა კიდევ ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. ამჯერად დასარტყმელ პოზიციაზე მან ვალენსიელი **ადილ რამი** გაიყვანა, ვისაც ახლო მანძილიდან გატანა აღარ გასჭირვებია.

თამაშის დასრულების შემდეგ ფრანკ რიბერიმ შემდეგი რამ განაცხადა: *"ეს გოლი უმნიშვნელოვანესია ჩემთვის, რადგან ბენზემა, ნასრი და ბენ არფა ბევრს მეხუმრებოდნენ თამაშის დაწყებამდე. მოხარული ვარ არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთლიანად გუნდის გამოც. ძალიან გვინდოდა მოგება და გულშემატკივრების გახარება. პირველ ტაიმში ძალიან რთულად წაგვივიდა საქმე, მაგრამ იოლი გამარჯვებები არც არსებობს ისეთ პატივსაცემ გუნდებთან, როგორიც ისლანდიაა. როგორ ბლანმა გვითხრა, ჩვენ უბრალოდ ასეთივე სტილში უნდა გავაგრძელოთ თამაში".*

ევრო 2012 ინგლისის ნაკრები

# ჰოჯსონს ბერის იმედი აქვს

## მორიგი სერიოზული დანაკლისი ლომებისთვის



ინგლისს სკოტ პარკერი ეყოლება, სამაგიეროდ გარეთ ბერი დააკლდება

ინგლისის ნაკრების თავკაცი **როი ჰოჯსონი გარეთ ბერის** ტრავმამ მეტად შეაფიქრიანა. გუშინდელ ნომერშივე ვწერდით, რომ ნორვეგიის ნაკრებთან მიღებული ტრავმის გამო "მანჩესტერ სიტის" შუახაზელი შეიძლება უკრაინა-პოლონეთში გასამგზავრებელი გუნდის მიღმა დარჩეს. *"იმედია, გარეთ ბერი ჩემთან მაქსიმალურად გულწრფელი იქნება და საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მაქსიმალურ ინფორმაციას მომაწვდის. ჩვენ სულ რამდენიმე საათი გვრჩება უეფასთვის საბოლოო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე, ასე რომ, რისკის უფლება არ გვაქვს. თუკი სამედიცინო შემოწმება ამომწურავ პასუხს ვერ მოგვცემს, მასთან სერიოზულად დალაპარაკება მომიწევს. ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენად მძიმეა ეს ტრავმა, მაგრამ თუკი ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალო დაზიანება, მის შესაცვლელად ძალიან ცოტა დრო დაგვრჩება. თუკი გარეთი ჩემპიონატზე თამაშს ვერ შეძლებს, სულაც არ იქნება აუცილებელი, რომ მის მაგივრად სხვა ნახევარმცველი მოვიყვანოთ, რადგან ამ რგოლში კარგი ფეხბურთელები გუნდში ისედაც არ გვაკლია. ჩემს სამომავლო სანაკრებო კარიერას რაც შეეხება, მე გუნდთან მუშაობას ჩემპიონატის შემდეგაც ვაპირებ, რადგან მასთან დაკავშირებით დიდი და ხანგრძლივი გეგმები მაქვს. იმისთვის, რომ პოლონეთსა და უკრაინაში წარმატებით გამოვიდე, ძალასა და ღონეს არ დავიშურებ, მაგრამ მხოლოდ ეს ტურნირი ვერ გახდება ჩემი მომავლის განმსაზღვრელი"*, – აცხადებს ჰოჯსონი "ტელეგრაფთან" ინტერვიუში.

აქვე კიდევ ერთი ფეხბურთელის ტრავმაზე შეიძლება ორიოდე სიტყვის თქმა. "ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების 30 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** შეძლებს ევროპის ჩემპიონატზე თამაშს. *"რა თქმა უნდა, მეშინოდა, რომ ევროპის ჩემპიონატს გამოვტოვებდი, რადგან ძალიან მინდოდა ტურნირზე თამაში. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ წარიმართა"*, – განაცხადა **სკოტ პარკერმა**.

### ეშლი ყველას მოსწონს

კაპიტანი **სტივ ჯერარდი** ნორვეგიელებთან **ეშლი იანგის** თამაშით და როი ჰოჯსონის მიერ მისთვის გამოძებნილი პოზიციით აღფრთოვანებული დარჩა. *"ეშლი კარგი ფეხბურთელია. როცა ის უკანდახეული თავდამსხმელის პოზიციას იკავებს და მეტოქის რგოლებს შორის მოძრაობს, ამით მას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მეტოქის დაცვამ, როგორც წესი, არ იცის, რა მოუხერხოს იანგს, რადგან მას იოლად ეხერხება თავისუფალი სივრცის დანახვა და მერე გამოყენება. ნაკრებში ის ძალიან კარგად თამაშობს და გოლებიც გააქვს. ეს ყველაფერი დროულია ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ. მისით მთელი გუნდი კმაყოფილია. ვფიქრობ, ეშლი იანგსა და ენდი კეროლს საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებათ"*, – განუცხადა "მანჩესტერ ივნინგ ნიუსს" ჯერარდმა.

საკუთარი და ნაკრების თამაშით კმაყოფილი ჩანს **უეინ რუნის** შემცვლელი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში **ენდი კეროლი**. აი, რას ამბობს ის: "თავის გამოჩენის მშვენიერი შანსი მეძლევა და ვაპირებ, რომ ის ბოლომდე გამოვიყენო. არაფერიც არ მაწუხებს, არც ჯანმრთელობა და არც საკუთარი ძალების რწმენა, რაც ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ კარგი გუნდი გვყავს ძალიან ძლიერი შემსრულებლებით. ვნახოთ, რას მივაღწევთ უშუალოდ ტურნირზე. ჰოჯსონმა 4-4-2 სქემით გვათამაშა. ვცდილობდით, ყურადღებით ვყოფილიყავით მაშინ, როცა ბურთს მეტოქე აკონტროლებდა და ბურთის ხელში ჩაგდების შემდეგ მაქსიმალურად სწრაფად შეგვეტია", – განუცხადა ფეხბურთელმა Goal.com-ს.

### ინგლისმა შოტლანდია არჩია

ინგლისის ნაკრებზე წერას იმით დავასრულებთ, რომ 2013 წლის აგვისტოში საფეხბურთო ასოციაციამ დაარსებიდან 150-ე წლისთვისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს შორის საფეხბურთო მატჩიც დანიშნა. სიმბოლურია, რომ ინგლისი მისთვის უძველეს და უპრინციპულეს მეტოქე შოტლანდიას შეერკინება. ამ გუნდებისთვის ეს რიგით 111-ე შეხვედრა იქნება.

*P.S გუშინ სალამოს "სქაი სპორტსის" ცნობით, საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბერი ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს და განაცხადში მის ნაცვლად "ევერტონის" ცენტრალური მცველი* **ფილ იაგიელკა** *მოხვდება. სამაგიეროდ მნვრთნელს შეიძლება შედარებით მსუბუქად ტრავმირებული* **დენი უელბეკისა** *და* **გლენ ჯონსონის** *იმედი ჰქონდეს.*

მოსაზრება



სოლ კემპბელს უკრაინელი ნეონაცისტების ეშინია

# კემპბელი პანიკაშია

## ჩემპიონატის მასპინძლებს საერთო აღმოსავლეთევროპული სენი სჭირთ

**სოლ კემპბელმა** ინგლისელი საფეხბურთო გულშემატკივრები გააფრთხილა, რომ თუკი ისინი პოლონეთსა და უკრაინაში გაემგზავრებიან, შესაძლოა, შინ ცოცხლები ველარც დაბრუნდნენ. *"რასიზმი და ძალადობა ამ ორ ქვეყანაში ძალიან გავრცელებულია. დარჩით სახლებში და ჩემპიონატს ტელევიზორში უყურეთ. რისკზე არც კი იფიქროთ, რადგან თქვენს სიცოცხლეს ყოველდღიური საფრთხე შეიძლება დაემუქროს"*, – აცხადებს "ტოტენჰემისა" და "არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი.

სამწუხაროდ, ეს არ არის შავკანიანი ინგლისელების მხრიდან პირველი მსგავსი განცხადება. ანალოგიური შიში აწუხებთ **ტეო უოლკოტის** ძმასა და მამას და მათ შინ დარჩენა გადაწყვიტეს. "არსენალის" ვარსკვლავის ოჯახის წევრებს ყველაზე მეტად რასისტული თავდასხმების ეშინიათ. უკრაინაში წასვლისგან თავს იკავებს **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენის** ოჯახიც. რა გახდა ამ საყოველთაო ისტერიის მიზეზი? ალბათ ტელეკომპანია BBC-ის გადაცემის ანონსი, რომელიც ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებში (უფრო მეტად უკრაინაში) ძალადობისა და რასისტული სკანდალების შესახებ მოუთხრობს მაყურებელს. ეს გადაცემა ეთერში გუშინ სალამოს უნდა გასულიყო. ყოველივედან გამომდინარე კემპბელი აცხადებს, რომ უეფას თავის დროზე არ უნდა მიეცა ამ ორი ქვეყნისთვის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება. მის მოსაზრებას იზიარებენ პოლიტიკოსებიც, რომლებიც შეშფოთებულები არიან ქვეყანაში აფრო-კარიბული და აზიური წარმოშობის ადამიანებისა და რელიგიური უმცირესობების უფლებების შელახვით. ანალოგიურ განცხადებას აქვეყნებს ინგლისის ფეხბურთის გულშემატკივართა ფედერაცია: *"რასიზმს ფეხბურთთან არაფერი ესაქმება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პრობლემა უკრაინაში რეალურად დგას დღის წესრიგში. ჩვენ ვურჩევთ ფანებს, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმის წინ კარგად დაფიქრდნენ. სერიოზულად გვეშინია, რომ იქ ისინი რასისტული, ფაშისტური და ანტისემიტური განწყობის ხალხს გადაეყრებიან".*

უეფა იძულებული გახდა, ინგლისელთა განცხადებებისთვის ეპასუხა: *"ევრო 2012 მასპინძელ ქვეყნებს აძლევს შანსს, რომ ხსენებულ პრობლემებს წინ აღუდგნენ. მსგავსი გამოვლინებების მიმართ ჩვენ ნულოვანი ტოლერანტობის მომხრენი ვართ. საბოლოოდ ჯამში თუკი მსგავსი რამ დაფიქსირდა, მსაჯს უფლება აქვს, უარი თქვას თამაშის ჩატარებაზე ან შეწყვიტოს ის".* რასიზმი ზოგადად აღმოსავლეთევროპული ქვეყნების სენია. ალბათ გახსოვთ, რომ 2011 წელს უეფამ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაცია 43 ათასი ევროთი დააჯარიმა გულშემატკივრების მიერ **ეშლი იანგის** წინააღმდეგ რასისტული შინაარსის ბანერის გადმოფენის გამო. 4 წლით ადრე კანის ფერის გამო, სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა ხორვატიაში **ემილ ჰესკიც**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

სეზონი ევროპულ ფეხბურთში

# მანჩესტერ სიტიდან სანტა კოლომამდე

## ევროპის საკლუბო ტიტულები და მათი მფლობელები




სიტიმ უეფას კოეფიციენტით ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი მოიგო

მაშ ასე, ესპანეთის სამეფო თასის ფინალი და დანიის ჩემპიონატის ბოლო ტური ევროპული საკლუბო ტურნირების ბოლო ორი აკორდი იყო. ახლა ყველას ევრო 2012-ზე „გადართვა" გვმართებს. თუმცა ამ ერთხელაც შევიცადოთ და უკან მოვიხედოთ - თქვენ წინაშეა გასული საკლუბო სეზონის ყველა ჩემპიონი, თასის მფლობელი თუ თავისი ქვეყნის მეორე დივიზიონის გამარჯვებული. ყველა კი ვთქვით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპის 53 საფეხბურთო ქვეყნიდან (რომელიც უეფას მიერ არის აღიარებული) 12 განსხვავებული სისტემით (გაზაფხული-შემოდგომა) იმართება და იქ ბატალიები ახლა ხურდება. ამ ქვეყნების უმეტესობა ჩრდილოურია (გამონაკლისი მხოლოდ სომხეთია, რომელიც გაისად შემოგდომა-გაზაფხულის სისტემაზე გადადის) და ზაფხულში თამაში უპრიანია.

დანარჩენი ქვეყნებიდან 16-ში შეძლეს „ოქროს დუბლის" შესრულება. მათ შორის ყველაზე წონიანი გერმანული დუბლია, რომლის ავტორიც დორტმუნდის „ბორუსიაა". აი, სხვა ქვეყნებიც სადაც ასევე ერთმა კლუბმა შეძლო დუბლის გახერხება: უკრაინა, საბერძნეთი, შვეიცარია, ავსტრია, ხორვატია, სლოვაკეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ბოსნია, სლოვენია, ალბანეთი, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ლუქსემბურგი და ჩერნოგორია. ყველაზე უცნაური სწორედ ჩერნოგორიული დუბლია. იქ ქვეყნის თასი „ჩელიკმა" მოიგო, რომელმაც მეორე დივიზიონში იჩემპიონა.

წლეულს, ძალზე სოლიდური გახადა ტიტულების რიცხვი ჩრდილოირლანდიურმა „ლინფილდმა", რომელმაც ქვეყნის ჩემპიონობა 51-ედ იზეიმა! თქვენ წინაშეა წლევანდელი ტიტულებისა და მფლობელთა სია, რომელიც ქვეყნების უეფასეული საკლუბო კოეფიციენტებით არის დალაგებული. გეტყვით, რომ ქართული ლიგა კოეფიციენტით 31-ეა ევროპაში და ეს შარშანდელთან შედარებით 5 ადგილით უკეთესია (საუკეთესო ნახტომი მთელ ევროპაში).

### ინგლისი (კოეფიციენტი 84.410)

**პრემიერლიგა**

მანჩესტერ სიტი (1-ელი ტიტული)

**ჩემპიონშიპი**

რედინგი (3)

**ასოციაციის თასი**

ჩელსი (7)

**ლიგის თასი**

ლივერპული (8)

### ესპანეთი (84.186)

**ლა ლიგა**

ჩემპიონი: რეალი (32)

**სეგუნდა დივიზიონი**

ჩემპიონი: დეპორტივო (6)

*შენიშვნა*: სეგუნდა დივიზიონი ჯერ არ დასრულებულა (დარჩა 1 ტური)

**კოპა დელ რეი**

ბარსელონა (26)

### გერმანია (75.186)

**ბუნდესლიგა**

დორტმუნდი (5)

**II ბუნდესლიგა**

ფიურტი (1)

**DFB-პოკალი**

დორტმუნდი (3)

### იტალია (59.981)

**სერია A**

იუვენტუსი (28)

**სერია B**

პესკარა (2)

**კოპა იტალია**

ნაპოლი (4)

### პორტუგალია (55.346)

**ლიგა საგრეში**

პორტუ (26)

**ლიგა დე ორნა**

ესტორილი (2)

**ტაშა დე პორტუგალი**

აკადემიკა (2)

### საფრანგეთი (54.178)

**ლიგა 1**

მონპელიე (1)

**ლიგა 2**

ბასტია (2)

**საფრანგეთის თასი**

ლიონი (5)

**ლიგის თასი**

მარსელი (3)

### რუსეთი (47.832)

**პრემიერლიგა**

ზენიტი (3)

**I დივიზიონი**

მორდოვია (1)

**რუსეთის თასი**

რუბინი (1)

### ჰოლანდია (45.515)

**ერედივიზიე**

აიაქსი (31)

**ეერსტე დივიზიე**

ზვოლე (3)

**KNVB-ს თასი**

ეინდჰოვენი (9)

### უკრაინა (45.133)

**პრემიერლიგა**

შახტარი (7)

**პერშა ლიგა**

ზაკარპატია (3)

*შენიშვნა*: პერშა ლიგა ჯერ არ დასრულებულა (დარჩა 1 ტური)

**უკრაინის თასი**

შახტარი (7)

### საბერძნეთი (37.100)

**სუპერ ლიგა**

ოლიმპიაკოსი (39)

**ბეტა ეთნიკი**

პანტრაკიკოსი (1)

**საბერძნეთის თასი**

ოლიმპიაკოსი (25)

### თურქეთი (35.575)

**სუპერ ლიგა**

გალათასარაი (18)

**პირველი ლიგა**

ახისარი (1)

**თურქეთის თასი**

ფენერბაჰჩე (5)

### ბელგია (32.400)

**ჟუპილერლიგა**

ანდერლეხტი (31)

**ექსკი ლიგა**

შარლეროა (2)

**ბელგიის თასი**

ლოკერენი (1)

### დანია (27.525)

**სუპერლიგა**

ნორდსიელანდი (1)

**I დივიზიონი**

ესბიერგი (1)

*შენიშვნა*: I დივიზიონი ჯერ არ დასრულებულა (დარჩა 1 ტური)

**დანიის თასი**

კოპენჰაგენი (5)

### შვეიცარია (26.800)

**აქსპო სუპერლიგა**

ბაზელი (15)

**ჩელენჯლიგა**

სენტ გალენი (2)

**შვეიცარიის თასი**

ბაზელი (11)

### ავსტრია (26.325)

**ბუნდესლიგა**

ზალცბურგი (7)

**ერსტე ლიგა**

სტ. ანდრა (1)

**ავსტრიის თასი**

ზალცბურგი (1)

### კვიპროსი (25.499)

**პირველი ლიგა**

აელ (6)

**II ლიგა**

აია ნაპა

**კვიპროსის თასი**

ომონია (14)

### ისრაელი (22.00)

**ლიგატ ჰაალი**

ირონი (1)

**ლიგა ლეუმით**

რამათ-განის ჰაპოელი (1)

**ისრაელის სახელმწიფო თასი**

თელ-ავივის ჰაპოელი (15)

**ტოტოს თასი**

ირონი (2)

### შოტლანდია (21.141)

**პრემიერლიგა**

სელტიკი (43)

**I დივიზიონი**

როს ქაუნთი (1)

**შოტლანდიის თასი**

ჰართსი (8)

**შოტლანდიის ლიგის თასი**

კილმარნოკი (1)

### ჩეხეთი (20.350)

**გამბრინუს ლიგა**

ლიბერეცი (3)

**II ლიგა**

უსტი ნად ლაბემ (1)

**ჩეხეთის რესპუბლიკის თასი**

სიგმა (1)

### პოლონეთი (19.916)

**ეკსტრაკლასა**

შლიოსკი (2)

**I ლიგა**

პიასტი (1)

**პოლონეთის თასი**

ლეგია (15)

### ხორვატია (18.874)

**პრვა HNL**

დინამო (14)

**დრუგა HNL**

დუგოპოლიე

**ხორვატიის თასი**

დინამო (12)

### რუმინეთი (18.824)

**ლიგა 1**

კლუჟი (3)

**ლიგა 2**

*ორი ჩემპიონია - ვიტორული (სერია 1-დან) და პოლიტექნიკა (სერია 2-დან)*

**კუპა რუმანიეი**

დინამო (13)

### ბელარუსი (18.208)

**პრემიერლიგა**

გაზაფხული-შემოდგომა

**პირველი ლიგა**

გაზაფხული-შემოდგომა

**ბელარუსის თასი**

ნაფტანი (2)

### შვედეთი (15.900)

**ალსვენსკანი**

გაზაფხული-შემოდგომა

**სუპერეტანი**

გაზაფხული-შემოდგომა

**სვენსკა კუპენი**

ჰელსინგბორგი (6)

### სლოვაკეთი (14.874)

**კორგონლიგა**

ჟილინა (6)

**I ლიგა**

მიჯავა

**სლოვაკეთის თასი**

ჟილინა (1)

### ნორვეგია (14.675)

**პრემიერლიგა**

გაზაფხული-შემოდგომა

**ადეკოლიგაენი**

გაზაფხული-შემოდგომა

**ნორვეგიის თასი**

გაზაფხული-შემოდგომა

### სერბეთი (14.250)

**სუპერლიგა**

პარტიზანი (24)

**პირველი ლიგა**

*შენიშვნა*: დარჩა 2 ტური, ჩემპიონი ჯერ არ გარკვეულა

**სერბეთის თასი**

*ცრვენა ზვეზდა (ვ. იუგოსლავიის ჩათვლით - 24)*

### ბულგარეთი (14.250)

**A ჯგუფი**

ლუდოგორეცი (1)

**B ჯგუფი**

*პირინი (დასავლეთი), ეტარი (აღმოსავლეთი)*

**ბულგარეთის თასი**

ლუდო გორეცი (1)

### უნგრეთი (9.750)

**ნბ 1**

დებრეცენი (6)

● სეზონი ევროპულ ფეხბურთში

# მანჩესტერ სიტიდან სანტა კოლომამდე
## ევროპის საკლუბო ტიტულები და მათი მფლობელები

**ნბ 2**
ეგრი

*შენიშვნა:* ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩა 1 ტური

**მადიარ კუპა**
დებრეცენი (6)

**ლიგაკუპა**
ვიდეოტონი (3)

### ფინეთი (9.133)
**ვეიკაუსლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**უკონენლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ფინეთის თასი**
გაზაფხული-შემოდგომა
**ფინეთის ლიგის თასი**
ტპს (1)

### საქართველო (8.666)
**უმაღლესი ლიგა**
ზესტაფონი (2)
**პირველი ლიგა**
ბათუმის დინამო (ა) და ჩიხურა (ბ)
**საქართველოს თასი**
დილა (1)

### ბოსნია (8.416)
**პრემიერლიგა**
ჟელეზნიჩარი
(2. იუგოსლავიის ჩათვლით - 3)
**პრვა ლიგა**
გრადინა
**ბოსნიის თასი**
ჟელეზნიჩარი (5)

### ირლანდია (7.375)
**პრემიერლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**პირველი ლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ფაი-ს თასი**
გაზაფხული-შემოდგომა
**ირლანდიის ლიგის თასი**
გაზაფხული-შემოდგომა

### სლოვენია (7.124)
**SNL 1**
მარიბორი (10)
**SNL 2**
ალუმინიი
**პერვის პოკალი**
მარიბორი (7)

### ლიტვა (6.875)
**A ლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**1 ლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ლიტვის თასი**
ჟალგირისი (6)

### მოლდოვა (6.749)
**დივიზია ნაციონალა**
შერიფი (11)
**A დივიზიონი**
სპერანცა
**მოლდოვის თასი**
მისლამი (1)

### აზერბაიჯანი (6.207)
**პრემიერლიგა**
ნეფთჩი (7)
**I დივიზიონი**
ლოკბატანის ყარაბახი

**აზერბაიჯანის თასი**
ბაქი (3)

### ლატვია (5.874)
**ვირსლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**პირველი ლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ლატვიის თასი**
სკონტო (8)

### მაკედონია (5.666)
**პრვა ლიგა**
ვარდარი (6)
**ვტორა ლიგა**
პელისტერი (2)
**მაკედონიის თასი**
რენოვა (1)

### ყაზახეთი (5.333)
**პრემიერლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**პირველი ლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ყაზახეთის თასი**
გაზაფხული-შემოდგომა

### ისლანდია (5.332)
**ურვალსდეილდი**
გაზაფხული-შემოდგომა
**1 დეილდი**
გაზაფხული-შემოდგომა
**ისლანდიის თასი**
გაზაფხული-შემოდგომა

### ჩერნოგორია (4.375)
**პირველი ლიგა**
პოდგორიცა (2)
**მეორე ლიგა**
ჩელიკი
**ჩერნოგორიის თასი**
ჩელიკი (1)

### ლიხტენშტეინი (4.000)
**ლიხტენშტეინის თასი**
ეშენი (5)

### ალბანეთი (3.916)
**სუპერლიგა**
შკიონდერბეუ (3)
**I ლიგა**
ლუფტიოტარი
**ალბანეთის თასი**
შკიონდერბეუ (4)

### მალტა (3.083)
**პრემიერლიგა**
ვალეტა (21)
**1 ლიგა**
მელიტა
**მალტის ფა ტროფეი**
ჰიბერნიანსი (9)

### უელსი (2.749)
**პრემიერლიგა**
ნიუ სენტსი (2)
**კიმრუ ალიანსი**
გაპ კონია
**უელსის თასი**
ნიუ სენტსი (3)
**უელსის ლიგის თასი**
აფან ლიდო (3)

### ესტონეთი (2.666)
**მეისტრილიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ესიილიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**ესტონეთის თასი**
ლევადია (7)

### ჩრდ. ირლანდია (2.583)
**პრემიერშიპი**
ლინფილდი (51)
**ჩემპიონშიპი**
ბალინამალარდი (2)
**ირლანდიის თასი**
ლინფილდი (42)
**ლიგის თასი**
კრუსეიდერსი (2)

### ლუქსემბურგი (2.333)
**ნაციონალური დივიზიონი**
დუდელანჟი (10)
**დივიზიონ ოფ ჰონორი**
კანაში
**ლუქსემბურგის თასი**
დუდელანჟი (5)

### სომხეთი (2.208)
**პრემიერლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**პირველი ლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**დამოუკიდებლობის თასი**
შირაკი (1)

### ფარერები (1.416)
**პრემიერლიგა**
გაზაფხული-შემოდგომა
**1 დეილდი**
გაზაფხული-შემოდგომა
**ფარერების თასი**
გაზაფხული-შემოდგომა

### ანდორა (1.000)
**პრიმერა დივისიო**
ლუსიტანოსი (1)
**კოპა კონსტიტუსიო**
სანტა კოლომა (9)

### სან მარინო (0.916)
**კამპიონატო დი კალჩო**
*ფინალი (ლიბერტასი-ტრე პენე) დღეს გაიმართება*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


სანტა კოლომა ანდორის თასის მოპოვებას ზეიმობს

● სკანდალი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ამ მომენტში გაძევებას ჯოი ბარტონიც იმსახურებდა და კარლოს ტევესიც

# წითელი ტევესსაც ეკუთვნოდა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა პრემიერლიგის 38-ე ტურის "მანჩესტერ სიტი"-"ქუინზ პარკის" შეხვედრის ვიდეოჩანაწერი დაწვრილებით შეისწავლა და დაასკვნა, რომ **ჯოი ბარტონის** უხეშობა **კარლოს ტევესის** წინააღმდეგ არგენტინელის პროვოცირებული გახლდათ. ორგანიზაციამ აღიარა, რომ მსაჯმა **მაიკ დინმა** ამ შემთხვევაში სერიოზული შეცდომა დაუშვა. დასკვნას დაეთანხმა თავად მსაჯიც. ასოციაციის განცხადებას "ტაიმსი" აქვეყნებს: *"კომიტეტმა მაიკ დინს ტევესის ეპიზოდთან დაკავშირებით შეკითხვები დაუსვა. დადგინდა, რომ არც მთავარ და არც გვერდითა მსაჯებს არგენტინელის მხრიდან წესის დარღვევა არ შეუნიშნავთ, რაზეც მათ ბარტონი თავად მიუთითებდა. ვიდეოზე კარგად ისმის, როგორ უხსნის ფეხბურთელი არბიტრს, თუ რა მოხდა ამ ეპიზოდში. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ ბარტონი გაბრაზებული გახლდათ ტევესის საქციელის გამო და დინმაც დაადასტურა, რომ ფეხბურთელის მიერ წარმოდგენილ ვიდეოზე დანახული რეალობა თავის დროზე რომ შეემჩნია, ტევესს წითელ ბარათს უჩვენებდა, მაგრამ ამის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ეს არ შეიძლება იქცეს ბარტონის შემდგომი მოქმედებების გამართლებად"*. "შემდგომ მოქმედებებში" ის იგულისხმება, რომ ტევესის მერე "ქუინზ პარკის" ფეხბურთელმა ჯერ **სერხიო აგუეროს** ჩაარტყა ფეხი, მერე კი **ვენსან კომპანისა** და **მარიო ბალოტელისთან** საჩხუბრად იწევდა. ინგლისური ფეხბურთის მამებმა ბარტონი 12 თამაშით მოკვეთეს ფეხბურთიდან, კლუბი კი მისი შემადგენლობიდან გაშვების გზებს ეძებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ჩელსი

# წითელი, ლურჯი, ცისფერი
## ედენ აზარის მზერა ლურჯზე შეჩერდა

დღეს ევროპის მასშტაბით თუკი ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ გრანდების სასურველი სატრანსფერო სამიზნეაო, ეს ყველაზე მეტად "ლილის" 21 წლის ბელგიელი ვარსკვლავის **ედენ აზარის** შესახებ ითქმის. მან ჯერ კიდევ სეზონის დასრულებამდე დაადასტურა, რომ ლიგა 1-დან სათამაშოდ მხოლოდ პრემიერლიგას მიაშურებდა. ცოტა ხნის შემდეგ წამოსცდა, საცხოვრებლად მანჩესტერში გადავდივარო, მაგრამ მალევე უარყო და სიას ლონდონიც დაამატა: *"ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი მომავალი კლუბი მანჩესტერულ გრანდთაგან ერთ-ერთი ან "ჩელსი" იქნება. გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მივიღებ, სადაც მეტი სათამაშო პრაქტიკის გარანტიას მომცემენ. ამაყი ვარ, რადგან არჩევანს სამ ტოპკლუბს შორის ვაკეთებ. ამით ალბათ ბევრი ვერ დაიკვეხნის"*.

რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტოები იმასაც კი წერდნენ, რომ აზარს სამივე ხსენებულ გრანდთან პირადი კონტრაქტის დეტალები შეთანხმებული ჰქონდა. გუშინდელი Goal.com-ის მტკიცებით, ფეხბურთელმა საბოლოოდ არჩევანი "ჩელსიზე" შეაჩერა. ამ შემთხვევაში ვებგვერდი **ლუის საას** სიტყვებს ეყრდნობა. იმავეს წერს ფრანგული გამოცემა "ეკიპიც", ვინც სატრანსფერო დეტალებზეც ავრცელებს ინფორმაციას. "ჩელსის" ფეხბურთელის გადაბირება 40 მილიონი ევრო დაუჯდება, ხელფასის სახით კი მას კვირაში 126 900 ევროს გადაუხდის.

აზარი ამჟამად ბელგიის ნაკრების შეკრებაზე იმყოფება და საკლუბო კარიერის შესახებ კომენტარზე უარს აცხადებს. ის მხოლოდ სოციალური ქსელის საშუალებით აძლიერებს ინტრიგას. გუშინდელ "ტვიტერში" მან შემდეგი რამ დაწერა: *"კარგი დღეა, ბიჭებო, მე გადაწყვეტილება უკვე მივიღე. მადლობა..."*

"ჩელსიზე" აქვე კიდევ ერთ ინფორმაციას გაგაცნობთ. **პეტრ ჩეხმა** ლონდონურ კლუბთან ახალი 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. აი, რას ამბობს ამ ღირსშესანიშნავ ფაქტზე კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **რონი გურლეი**: *"ჩელსიმ" სათანადოდ დააფასა პეტრ ჩეხის წვლილი კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდ და ხმაურიან გამარჯვებაში. იმისთვის, რომ მას ჩვენთან მუშაობა ძველებურად მოენდომებინა, მას ხელშეკრულების 2016 წლამდე გაგრძელება შევთავაზეთ. ჩეხმა ეს ნამდვილად დაიმსახურა, რადგან დაამტკიცა, რომ არც ერთ საფეხბურთო კომპონენტში მსოფლიოში არც ერთ მეკარეს არ ჩამორჩება"*. მშვენიერ ხასიათზეა თავად ფეხბურთელიც: *"მოხარული ვარ, რომ ამ დიდ კლუბში კიდევ 4 წლით დავრჩები. იმედი მაქვს, რომ არანაკლებ წარმატებული პერიოდი მექნება, ვიდრე ის 8 წელიწადი, რომელიც მე აქ გავატარე"*.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## ბილიჩმა გამოცხადება გადადო

**სლავენ ბილიჩს** ესტონეთთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ავსტრიულ შეკრებაზე გამგზავრებამდე ხორვატიის ნაკრების საევროპისჩემპიონატო შემადგენლობა უნდა დაესახელებინა, მაგრამ მან ეს ნაბიჯი არ გადადგა. რა გახდა ამის მიზეზი? თავად მას მოვუსმინოთ: *"ეჭვი მეპარებოდა, რომ ორშაბათს შემადგენლობის გამოცხადებას მოვახერხებდი. იოსიპ შიმუნიჩი რამდენიმე დღე ისვენებდა და ფორმაში ჩასადგომად დრო კიდევ სჭირდება, დეიან ლოვრენთან დაკავშირებული სიტუაცია კი კიდევ უფრო რთულია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამირკვევია, ჩავრთო თუ არა ის საბოლოო განაცხადში. ყველა სხვა ფეხბურთელი სალსალამათია"*.

## ფაბიომ ბენფიკაზე უარი თქვა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ბრაზილიელმა განაპირა მცველმა **ფაბიო და სილვამ** ბევრი იფიქრა თუ ცოტა, "ბენფიკაში" ერთი წლით იჯარით წასვლაზე საბოლოოდ უარი თქვა. ინფორმაცია თავდაპირველად პორტუგალიურმა წყაროებმა დაწერეს, შემდგომ კი ის ინგლისურმა გაზეთებმაც დაადასტურეს. "დეილი მეილი", ფაბიოს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად "ქუინზ პარკის" წინადადებას ასახელებს. ლონდონურ კლუბში ის არენდით წავა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჭიდაობა. ანკარას ტურნირი


ლაშა ტალახაძე

# კიდევ 3 მედალი

**ანკარაში დასრულდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი - „ჩემპიონები".**

შეჯიბრების პირველ ორ დღეს ჩვენებმა ჯამში 13 მედალი მოიპოვეს, რასაც ბოლო დღეს კიდევ სამი ბრინჯაო დაუმატეს - 1 „თავისუფლებმა" და 2 - ბერძენ-რომაელებმა. „თავისუფალთაგან" მესამე პრიზიორი **ლაშა ბიტარაშვილი** (60) გახდა, ბერძენ-რომაელთაგან კი ანალოგიურ წარმატებას **ფირუზ წულუკიძემ** (60) და **რობერტ ქობლიაშვილმა** (84) მიაღწიეს.

შეგახსენებთ, რომ წინა დღეებში „თავისუფლებმა" 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს, ბერძენ-რომაელებმა - 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. „თავისუფალთაგან" ჩემპიონები **ლაშა ტალახაძე** (55), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74) და **ომარ გუსოშვილი** (96) გახდნენ, **ლევან ქელეხსაშვილი** (66) და **გიორგი მეშვილდიშვილი** (120) მეორეზე გავიდნენ, **ზურაბ იაკობაშვილი** (66) კი მესამე აღმოჩნდა. ბერძენ-რომაელთაგან ოქროს მედლები **იაკობ ქაჯაიამ** (96) და **ლევან არაბულმა** (120) მოიპოვეს, ვერცხლი - **შოთა გოგისვანიძემ** (120), ბრინჯაოს მედლებს კი **ბექა ბალანჩივაძე** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **ლაშა გობაძე** (74) და **კუკური კირცხალია** (96) დაეუფლნენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

## ქართველები გვერდი-გვერდ...

**ჩიკაგოში** მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის VI ტურში **თამაზ გელაშვილი** თურქმენ მესგენ ამანოვს დაუზავდა, ხოლო **გიორგი ყაჭეიშვილი** ამერიკელ ალეხანდრო რამირესს შეუთანხმდა ყაიმზე. ახლა ორივე ჩვენებური 4,5-4,5 ქულით VI-VII ადგილებს ინაწილებენ. ამდენივე ქულით მეხუთეა ინგლისელი მაიკლ ადამსი. 5-5 ქულით I-IV ადგილებზე არიან გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი), რობერტ ჰესი (აშშ), მილოშ პერუნოვიჩი (სერბეთი) და ვიქტორ მიხალევსკი (ისრაელი), სარგისიანმა და მიხალევსკიმ, შესაბამისად, ალექსანდრ შაბალოვი (აშშ), და ივან ივანიშევიჩი (სერბეთი) დაამარცხეს, ხოლო ჰესმა და პერუნოვიჩმა ქულა ერთმანეთში გაიყვეს. წარმატებას მიაღწიეს დიდოსტატმა **მიხეილ კეკელიძემ** (რუს ალექსანდრ კრეჩეტოვს მოუგო) და საერთაშორისო ოსტატმა **ნიკოლოზ მანაგაძემ** (ამერიკელ რობი ადამსონს გააჩერებინა საათი), რომლებსაც 6 ტურის შემდეგ 4-4 ქულა აქვთ.

VII ტურში ჩვენებურები ასე დაწყვილდნენ: თამაზ გელაშვილი - ნიკოლ მიტკოვი (მაკედონია), გიორგი ყაჭეიშვილი - მაიკლ ადამსი, მიხეილ კეკელიძე - ვარუჟან აკობიანი (აშშ), ნიკოლოზ მანაგაძე - ალექსანდრ შაბალოვი (აშშ).

**ვაჟა დანელია**

უნივერსიადა 2012

# სტუ მედლებით შორს წავიდა

**დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე გრძელდება 2012 წლის უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.**

ეროვნულ სტადიონსა და სასპორტო კომპლექს „არენაში" ასპარეზობა დაამთავრეს მძლეოსნებმა და მოცურავეებმა. 12 სახეობის შემდეგ 40 მედლით (16 ოქრო, 9 ვერცხლი, 15 ბრინჯაო) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ათლეტები დამაჯერებლად ლიდერობენ. 29 მედლით (6, 10, 13) მეორე ადგილზე არიან აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 22 ჯილდოთი (6, 7, 9) მესამე ადგილი უკავია. შემდეგ მოდიან: 4. გორის უნივერსიტეტი - 11 (5, 6, 0), 5. სამედიცინო უნივერსიტეტი - 20 (5, 2, 13), 6. საავიაციო უნივერსიტეტი - 5 (4, 0, 1), 7. სოხუმის უნივერსიტეტი - 14. (3, 4, 7), 8. ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტი - 11 (3, 3, 5), 9. თსუ - 19 (2, 10, 7), 10. ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტი - 8 (2, 3, 3), 11. სეუ - 3 (2, 1, 0), 12. ახალციხის უნივერსიტეტი - 2 (2, 0, 0,), 13. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 2 (2, 0, 0,) 14. სამედიცინო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე" - 2 (2, 0, 0,), 15. სასულიერო აკადემია - 7 (1, 4, 2), 16. გ. თავართქილაძის უნივერსიტეტი - 2 (1, 1, 0), 17. შავი ზღვის უნივერსიტეტი - 1 (1, 0, 0), 18. სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტი - 1 (1, 0, 0, ), 19. საქართველოს უნივერსიტეტი - 8 (0, 2, 6,), 20. ბათუმის საზღვაო აკადემია - 3 (0, 1, 2), 21. გ. რობაქიძის უნივერსიტეტი - 3 (0, 1, 2), 22. სდასუ - 2 (0, 0, 2), 23. თბილისის საერთაშორროისო უნივერსიტეტი - 2 (0, 0, 2), 24. თელავის ი. გოგებაშვილის უნივერსიტეტი - 1 (0, 0, 1).

**გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს სპორტის სახეობათა მიხედვით:**

### მძლეოსნობა

#### გოგონები

**100 მ.** 1 მაიკო გოგოლაძე (ჰიპოკრატე, 12,5), 2. ანჟელა ბანდური (სოხუმის უნივერსიტეტი, 15,4), 3. ნინო ლომიძე (სამედიცინო უნივერსიტეტი, 16,5). **200 მ.** 1. მაიკო გოგოლაძე (ჰიპოკრატე, 27,1), 2. ირინა სილანტევა (თსუ, 31,6), 3. აგაი ბჰად ჰინა (სამედიცინო, 32,3).

#### ვაჟები

**100 მ.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 11,0), 2. სოსო გოგოძე (ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტი, 11,2), 3. ბექა ქებურია (სოხუმი, 11,3). **200 მ.** 1. გიორგი ზილბერშტეინი (ახალციხის უნივერსიტეტი, 22,6), 2. სოსო გოგოძე (ქუთაისი, 22,8), 3. ბექა ასლანიშვილი (სტუ, 23,4). **400 მ.** 1. გიორგი ზილბერშტეინი (ახალციხე, 52,1), 2. მალხაზ რაშოიანი (სტუ, 55,6), 3. თეუბ შერემეთი (ბათუმის საზღვაო აკადემია, 57,1). **800 მ.** 1. დავით გორდელაძე (სოხუმი, 2.16,1), 2. სერგო პეტრიძე (ბათუმის საზ. აკად., 2.20,8), 3. ლაშა კაპანაძე (სამედიცინო, 2.26,4). **1500 მ.** 1. ბექა ჯლარკავა (სოხუმი, 4.41,9), 2. ნიკა იოსელიანი (ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტი, 4.47,5), 3. დიმიტრი ფიფია (ბათუმის საზღ. აკად., 4.54,1). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 6,73 მ), 2. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი, 6,37 მ), 3. თენგიზ ხუსკივაძე (სტუ, 5,84 მ).

### ცურვა

#### გოგონები

**თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. სოფო დეკანოსიძე (გ. თავართქილაძის უნივერსიტეტი, 33,56), 2. ქეთი სიხარულიძე (ილიას უნივერსიტეტი, 33,75), 3. ქეთი ჯაფარიძე (სტუ, 34,31). **ბრასი, 50 მ.** 1. ელენე გიორგობიანი (შავი ზღვის უნივერსიტეტი, 42,79), 2. სოფო დეკანოსიძე (გ. თავართქილაძის უნივერსიტეტი, 43,47), 3. ქეთი სიხარულიძე (ილიას უნივერსიტეტი, 44,37).



#### ვაჟები

**თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. ვაჟა ჭიოტაშვილი (სტუ, 26,40), 2. დავით მურჯიკნელი (საქართველოს უნივერსიტეტი, 27,16), 3. ცოტნე მაისურაძე (თსუ, 27,44). **ბრასი. 50 მ.** 1. ილია მანჯგალაძე (სამედიცინო, 32,78), 2. თორნიკე მაისურაძე (გ. რობაქიძის უნივერსიტეტი, 33,65), 3. გიორგი სირბილაძე (ილიას უნივერსიტეტი, 36,58). **გულაღმა ცურვა. 50 მ.** 1. გიგი მთვრალაშვილი (საავიაციო უნივერსიტეტი, 29,72), 2. გიორგი სირბილაძე (ილიას უნივერსიტეტი, 35,32), 3. გიგა აფციაური (სამედიცინო, 35,47). **ბატერფლაი. 50 მ.** 1. გიგი მთვრალაშვილი (საავიაციო, 27,75); 2. დავით მურჯიკნელი (საქართველოს უნივერსიტეტი, 28,94), 3. გიგა აფციაური (სამედიცინო, 30,06). **კომპლექსური. 100 მ.** 1. გიგი მთვრალაშვილი (საავიაციო, 1.08,54), 2. ცოტნე მაისურაძე (თსუ, 1.10,33), 3. დავით მურჯიკნელი (საქართველოს უნივერსიტეტი, 1.10,62).



### ჭადრაკი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში თავი მოიყარეს 2012 წლის უნივერსიადის მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების ბრძენთა თამაშის მოყვარულებმა. გოგონებში ყველას გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტმა **ნათია ჯალაბაძემ** აჯობა. მას მცირედით ჩამორჩა **სალომე ხაჟომია** (სტუ). **ნინო კეკელიძემ** (აგრარული უნივერსიტეტი) მესამე ადგილი დაიკავა.

ვაჟთა შორის დაძაბულ პაექრობაში **ნიკა პაიჭაძემ** (სტუ) იმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **რომან ჩიტაძე** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) და **დიმიტრი კვარაცხელია** (თსუ) გავიდნენ.



**ვაჟა დანელია**

*თამარ ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

ჭიდაობა. რეგიონი


გამარჯვებულები და პრიზიორები ორგანიზატორებთან ერთად

# ხაშურის ტრადიციული

**ხაშურის სპორტულ დარბაზში სასპორტო სკოლის (დირექტორი ზაზა აბრამაშვილი) თაოსნობით ქალაქის ტრადიციული ღია პირველობა ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში 1999 - 2000 წწ დაბადებულთა შორის.**

მასპინძელთა გარდა მონაწილეობდა გორის, ქარელის, კასპის, ხელვაჩაურის, საჩხერეს, ჭიათურის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოლნისის, ყვარელის, თბილისის 170-მდე სპორტსმენი. *„მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ბევრგან იმართებოდა ტურნირები, ჩვენთან გუნდები წამყვანი სპორტსმენებით ჩამოვიდნენ"* - გვითხრა ხაშურის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელმა **გია კვინიკაძემ.**

მასპინძლებმა 13 წონითი კატეგორიიდან 9-ში ფინალში გააღწიეს და საბოლოოდ გუნდური პირველობაც დაისაკუთრეს.

### კვარცხლბეკი

**26 კგ.** 1. ვაკო არუთიანიანი (გორი), 2. დავით გოგნიაშვილი, 3. სერაფიმ მეტრეველი (ორივე - ხაშური) და ბექა გიგაური (ქარელი); **29 კგ.** 1. ნიკა გოგრიჭიანი (ამბროლაური), 2. გივი ბლიაძე, 3. გიორგი გელაშვილი (ორივე - ხაშური) და გია მიქელაძე (ხელვაჩაური); **32 კგ.** 1. გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური), 2. გენო კაპანაძე, 3. ოთარ ბაგაური (ორივე - საჩხერე) და თორნიკე ასაბაშვილი (ყვარელი); **35 კგ.** 1. გიორგი ხაჩიძე (ხაშური), 2. ლადო გამყრელიძე, 3. გიგი მელაშვილი (ორივე - ამბროლაური) და ამირან ვახტანგაშვილი (გორი); **38 კგ.** 1. თემურ ვანიშვილი (გორი), 2. ავთო გოდელაშვილი (ხაშური), 3. ვასილ მამულაშვილი (თბილისი) და აკაკი ქემერტელაძე (საჩხერე); **42 კგ.** 1. ალეკო ლომიძე (ხაშური), 2. გიორგი გიორხელიძე (თბილისი), 3. მევლუდ კაკიაშვილი (კასპი) და ჯუმბერ კუსიანი (საჩხერე); **46 კგ.** 1. თორნიკე კვინიკაძე (ხაშური), 2. სიმონ ოსკანიანი, 3. აგილ მამადოღლი (ორივე - ქარელი) და ვალერი მიქელაძე (ხაშური); **50 კგ.** 1. ვანო გოდელაშვილი, 2. ცოტნე მიქელაშვილი (ორივე - ხაშური), 3. ლერი გოგიტაძე (ხელვაჩაური) და ჰაბიბი გაჯიევი (ქარელი); **54 კგ.** 1. იუნისი ბაირამოვი (ქარელი), 2. ლევან ხარშილაძე (ხაშური), 3. ნიკა სულაქველიძე (ხელვაჩაური) და თორნიკე კობახიძე (ყვარელი); **58 კგ.** 1. ლევან ქოქიაშვილი (ყვარელი), 2. ბექა ჭელიძე (თბილისი), 3. გუგა ნასყიდაშვილი (ბოლნისი) და გიორგი ბრეგვაძე (გორი); **63 კგ.** 1. დავით გერმანოზაშვილი (თბილისი), 2. მაგომედ აბდულაევი (ყვარელი), 3. ვაჟა ჟიჟიძე (კასპი) და მურმან გონგლაძე (ხაშური); **69 კგ.** 1. ლაშა ხუბაშვილი (თბილისი), 2. გიორგი აირაპეტიანი (გორი), 3. ლაშა ნაყიშაშვილი (ქარელი) და თამაზ კვესიაშვილი (კასპი); **+ 69 კგ.** 1. ზურიკო ბუჯიაშვილი (ყვარელი), 2. იური კრდჟანიანი (ახალქალაქი), 3. ნიკა ლომიძე (ხაშური).

**ვასილ ბალახაძე**
ხაშურიდან
*დავით ასპანიძის ფოტო*

# ნორიომ იმარჯვა

**ხაშურში ადგილობრივი სასპორტო სკოლის და მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ქალაქის ღია პირველობა გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის.**

შეჯიბრება ყოველი წლის მაისში ტარდება. შარშანდლიდან ტურნირმა კოლია ხვედელიძის მემორიალის სტატუსი მიიღო. ეს ადამიანი ხაშურში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფუძემდებელი გახლდათ. მისი გარდაცვალების შემდეგ კი საქმეს ყოფილი მოჭიდავე **კახა ლომიძე** უძღვება. საგულისხმოა, რომ შიდა ქართლის რეგიონში მხოლოდ ხაშურში ფუნქციონირებს ამ სტილით ჭიდაობის შემსწავლელი სექცია.

წლეულს შეჯიბრებაში ხაშურის, ქუთაისის, თერჯოლის, ზესტაფონის, ბორჯომის, ასპინძის, სართიჭალის, ნორიოს, რუსთავის და თბილისის გუნდები მონაწილეობდნენ 13 წონით კატეგორიაში. ყველაზე უკეთ ნორიოელმა მოჭიდავეებმა (მწვრთნელი **იმედა ფეწუაშვილი**) იასპარეზეს. სხვებთან შედარებით ისინი მცირერიცხოვანი გუნდით (15 მოჭიდავე) გავიდნენ ხალიჩაზე, მაგრამ ყველაზე მეტი გამარჯვებული და პრიზიორი სწორედ მათ რიგებში აღმოჩნდა. გუნდური მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ მასპინძლები. ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი ხაშურელ **ალეკო ლომიძეს** (38 კგ) გადაეცა.

**ვასილ ბალახაძე**
ხაშურიდან

## მილოცვა

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო", საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი, ევროპის სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად არჩევას ულოცავენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, „სპორტის რაინდისა" და ღირსების ორდენის კავალერს **ოლეგ იაძეს.**

ჭადრაკი

# სამოსანთა კვინტეტი

ბულგარულ ალბენაში გუშინ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველთაგან კარგად ითამაშა **ალექსანდრე ყაშაშვილმა,** რომელმაც თეთრი ფიგურებით ქალთა 2006 წლის ევროპის ჩემპიონი ეკატერინა ატალიკი (თურქეთი) დაამარცხა. წარმატებას მიაღწია **აკაკი შალამბერიძემაც** - ბულგარელ დეიან ნინოვს აჯობა. თანამემამულეებს, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბეს **თამაზ მგელაძემ** და **ვახტანგ ჩიქოვანმა,** რომლებმაც თეთრებით, შესაბამისად, ემანუელ შეინდორფთან (შვეიცარია) და რაფაელ გუნაჯისთან (პოლონეთი) წააგეს.

ორქულიანი ლიდერების ჯგუფიდან გათამაშების ცხრილში მესამე გამარჯვება ჩაიწერეს ივან ჩეპარინოვმა (ბულგარეთი), ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი), ჰანს ტიკანენმა (შვედეთი), მომჩილ ნიკოლოვმა (ბულგარეთი) და პონტუს კარლსონმა (შვედეთი).

დღეს მე-4 ტურში ქართველები ასევ დაწყვილდნენ: დეშენ სიუ (ჩინეთი)-ყაშაშვილი, არგიადიფ დასი (ინდოეთი)-შალამბერიძე, მატიას ვილი (გერმანია)-მგელაძე, დოჩო ივანოვი (ბულგარეთი)-ჩიქოვანი. მეწინავეთა ჯგუფში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: კარლსონი-ჩეპარინოვი, მელქუმიანი-ტიკანენი, აკოფიანი-ნიკოლოვი.

**ვაჟა დანელია**

ნიჩბოსნობა

# ოლიმპიური ჩემპიონის არდავიწყებისა

**ფოთის მერიის ორგანიზებითა და დაფინანსებით მერვედ გაიმართა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის - ვიქტორ კრატასიუკის მემორიალი საბაიდარო და კანოეთი ნიჩბოსნობასა და ფოთის „რეგატა-2012“ აკადემიურ ნიჩბოსნობაში.**

საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად თბილისის, ქუთაისისა და დუშეთის 140-მდე ახალგაზრდა სპორტსმენმა მოიყარა თავი. წლევანდელი ტურნირი გამორჩეული იყო როგორც ორგანიზებით, ასევე, მონაწილეთა მომზადების დონით, პრიზების სიუხვით. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის „ბილაინის“ ფოთის განყოფილებამ სპორტსმენებს სპორტული მაისურები და კეპები გადასცა საჩუქრად, გამარჯვებულები და პრიზიორები კი ქალაქის მერიასთან ერთად სპეციალური თასებით დააჯილდოვა.

ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:

**აკადემიური ნიჩბოსნობა. ჭაბუკები. ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავები.. 1000 მ.** გელა ქოიავა (ფოთი). **ერთიანი წყვილმოსასმელიანი, 2000 მ.** თორნიკე სინატაშვილი (ქუთაისი). **ორიანი უმესაჭო, 2000 მ.** გიორგი სინატაშვილი, ირაკლი უკლება (ქუთაისი). **ორიანი წყვილმოსასმელიანი, 1000 მ.** გელა ქოიავა, გიორგი კუჭავა (ფოთი). **ორიანი უმესაჭო, 1000 მ.** იონა ღურჯია, ლევან ბერიშვილი (ფოთი).

**კადეტები. ერთიანი წყვილმოსასმელიანი, 500 მ.** გიორგი ჯიქია (თბილისი). **ორიანი წყვილმოსასმელიანი, 500 მ.** პეტრე ქავთარაძე, ნიკა ქავთარაძე (ფოთი). **ორიანი გასაშლელი, 500 მ.** გიორგი ჩირაძე, დავით ფხაკაძე (ქუთაისი). **ერთიანი წყვილმოსასმელიანი, 500 მ.** გელა ქოიავა (ფოთი). **ერთიანი წყვილმოსასმელიანი, 500 მ.** პეტრე ქავთარაძე (ფოთი).

**ბაიდარა. ახალგაზრდები. ვაჟები. ერთადგილიანი, 500 მ.** გიორგი ტაბატაძე (ფოთი). **ორადგილიანი, 500 მ.** ემზარ კიკალიშვილი, გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი). **ერთადგილიანი, 200 მ.** გიორგი ტაბატაძე (ფოთი). **ორადგილიანი, 200 მ.** ლუკა სუხიტაშვილი, ბადრი ყაველაშვილი (თბილისი). **ერთადგილიანი, 100 მ.** ლაშა კვაჭაძე (ფოთი). **ორადგილიანი, 100 მ.** ბადრი ყაველაშვილი, თორნიკე თოთიაური (თბილისი).

**კანოე. ერთადგილიანი, 500 მ.** გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი). **ერთადგილიანი, 200 მ.** მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი). **ორადგილიანი, 200 მ.** ოთარ


ბადრი ყაველაშვილი

კაკულია, ლერი კონჯარია (ფოთი). **ერთადგილიანი. 100 მ.** მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი).

**კადეტები. ბაიდარა. ვაჟები. ერთადგილიანი, 200 მ.** ნიკოლოზ მაღლაფერიძე (ქუთაისი). **ორადგილიანი, 200 მ.** ემზარ კიკალეიშვილი, გიორგი გიგელაშვილი (ქუთაისი). **გოგონები. ერთადგილიანი, 200 მ.** 1. თეონა შაბურიშვილი, 2. მადონა ყარსიმაშვილი, 3. ნინო ჯიქურაული (სამივე - დუშეთი). **ერთადგილიანი, 100 მ.** 1. თეონა შაბურიშვილი, 2. ნინო ჯიქურაული, 3. რუსუდან ჯიქურაული (სამივე - დუშეთი). **კანოე, ვაჟები . ერთადგილიანი, 200 მ.** გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი). **ორადგილიანი. 100 მ.** ოთარ კაკულია, ლერი კონჯარია (ფოთი).

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ფოტომატიანე



თბილისის საერთაშორისო ტურნირები თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ძიუდოში იმთავითვე არა მარტო ავტორიტეტულ ფალავანთა მონაწილეობის სიუხვით და მაღალი ოსტატობით დამშვენებული ორთაბრძოლებით გამოირჩეოდა, არამედ ყოველი ტურნირი იყო მეგობრობის ჭეშმარიტი ზეიმი. აქ ერთმანეთის ნახვით ხარობდნენ სხვადასხვა თაობის სპორტსმენები და არა მხოლოდ ფალავნები.

სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ზემოთქმულის ნათელი დასტურია. ფოტო ზუსტად 45 წლის წინათ, 1967 წელსაა გადაღებული თბილისის სპორტის სასახლეში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

მარცხნიდან: ვლადიმერ ალთუნაშვილი, ნოშრევან უნიკაშვილი, ნოდარ მოდებაძე (ნოდარმა ტურნირი მოიგო), ანზორ ქიბრონაშვილი, არსენ მეკოკიშვილი, ანზორ კიკნაძე, და შოთა პაპაშვილი.

**გურამ სალარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

სპორტული მედიცინა

# გახსოვდეთ [illegible]...

## ერთი ახალი თეორიის მნიშვნელობა სპორტსმენთა ზოგიერთი სამედიცინო საკითხის თანამედროვე დონეზე გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ამას წინათ რუსეთის ერთ-ერთ ავტორიტეტულ სამედიცინო ჟურნალში „პათოლოგიური ფიზიოლოგია და ექსპერიმენტული თერაპია“, გამოქვეყნდა ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს **მიხეილ ხახანაშვილის** სტატია: „ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი მდგომარეობის თეორია“. ექსპერიმენტების საფუძველზე, ავტორი გვთავაზობს ახალ მონაცემებს ცოცხალ ორგანიზმში (იგულისხმება ადამიანიც) ე.წ გარდამავალი მდგომარეობის არსებობის შესახებ. მას მიაჩნია, რომ როდესაც ერთად ან ცალ-ცალკე განიხილება ორგანიზმის სამი - ჯანმრთელობის, დაავადებისა და სიკვდილის მდგომარეობა, აუცილებლად უნდა აღინიშნებოდეს მისი მეოთხე ანუ გარდამავალი მდგომარეობაც. ამ უკანასკნელში იგულისხმება პერიოდი ორგანიზმის ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის, რომლის დროსაც შესაძლებელია ორგანიზმში მოხდეს ფიზიოლოგიური პროცესების შეცვლა - დარღვევა (პირველ რიგში ნერვიულ სისტემაში), რაც კლინიკურად არ ვლინდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდამავალ მდგომარეობაში ორგანიზმს აქვს უნარი თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებით თვითონვე გამოასწოროს ეს მდგომარეობა, თუ რასაკვირველია შეექმნება სათანადო პირობა, რასაც სპორტსმენებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ პერიოდში სხვადასხვა მიზეზით ორგანიზმში მიმდინარე ერთი ან რამდენიმე ფიზიოლოგიური პროცესის დარღვევის დროს თვითრეგულირების მექანიზმების განვითარება საშუალებას იძლევა შემდეგში თავიდანვე ავაცილოთ სპორტსმენი (ადამიანი) ინტენსიურ მედიკამენტურ თერაპიის ჩატარებას, ვინაიდან, სამწუხაროდ, წამლებით მკურნალობა არცთუ იშვიათად სხვადასხვა გართულებას იძლევა. ამ დროს გამოყენებულ ბუნებრივ საშუალებებს (შესაბამისი კვება, მოძრაობის რეჟიმის დაცვა, ჰაერის, მზისა და წყლის ეფექტური მოქმედებით და სხვა) შეუძლიათ მნიშვნელოვანი სტიმულირება მოახდინონ ამ მარეგულირებელი მექანიზმების განვითარება-მოქმედებაზე. უნდა მივიჩნიოთ, რომ გარდამავალ მდგომარეობას სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ოჯახის ექიმები. ამიტომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ საოჯახო მედიცინის შემდგომი განვითარების პრობლემის წამოწევას, მოსახლეობის გაჯანმრთელების საქმეში უდავოდ ექნება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივ, ადამიანი მიმართავს ექიმს დახმარებისათვის მაშინ (სამწუხაროდ, ხშირად არა დროულად), როდესაც ის შეამჩნევს ორგანიზმის (ცალკეულ ორგანოთა - სისტემის) ფუნქციონირებაში რაიმე ცვლილებას (გადახრებს) - არასასიამოვნო შეგრძნებებისა და გამოვლინებების წარმოშობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ორგანიზმის ჯანმრთელ და უკვე განვითარებულ (დაწყებულ) პათოლოგიურ მდგომარეობას შორის პერიოდს, ანუ გარდამავალ მდგომარეობას, მედიცინის მიერ ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან კონტაქტი ადამიანსა და ექიმს შორის ამ დროს იშვიათადაა. მართალია, მოსახლეობის გარკვეულ კონტინგენტს (ჯგუფებს) უტარდება დისპანსერიზაცია, მაგრამ ეს ხშირად ვერ მოიცავს გარდამავალ მდგომარეობას. მართალია, გარდამავალი მდგომარეობის დროს მოსახლეობის კომპლექსური სამედიცინო შემოწმება ამ ეტაპზე მთელ მსოფლიოში მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდამავალ მდგომარეობაში ადამიანისთვის სამედიცინო შემოწმების საქმის მივიწყება, ჯანმრთელი ცხოვრების დამკვიდრებაზე ხელის აღებას ნიშნავს.

სპორტული მედიცინის მნიშვნელოვნად განვითარებამ, უდიდესი როლი შეასრულა სპორტსმენთა ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების (ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის) თანამედროვე დონეზე გამოკვლევის (შესწავლის) საქმეში. შეიძლება მთელი პასუხისმგებლობით ითქვას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის დისპანსერიზაცია, სათანადოდ მაღალ დონეზე, დღეს ჩვენს სპორტსმენებს უტარდებათ.

მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც უნდა ითქვას, რომ მთელი სპორტული სეზონის პერიოდში თვით მაღალი კლასის სპორტსმენებიც აღმოჩნდებიან ე.წ გარდამავალ მდგომარეობაში, იმ თვალსაზრისით, რომ გაღრმავებული სამედიცინო შემოწმების შემდეგ გადის გარკვეული დრო და შეჯიბრების წინ შეიძლება მწვრთნელმა და სპორტსმენმა არ იცოდეს, რა დონეზეა სპორტსმენის თუნდაც ფიზიკური მომზადების ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი (პარამეტრი), როგორიცაა გამძლეობა. სამწუხაროდ, ხშირად არ ხდება დინამიკაში ტესტირების წესით ფიზიკური მუშაობისუნარიანობის განსაზღვრა, რაც წელიწადში არანაკლებ ოთხისა, მაინც უნდა ტარდებოდეს. სპორტსმენის ფიზიკური თვისების - გამძლეობის არასათანადო დონე შეიძლება „პათოლოგიად“ იყოს მიჩნეული, ვინაიდან მიღწევები თანამედროვე სპორტში მნიშვნელოვნადაა გამძლეობაზე დამოკიდებული, რომლის ფონზეც წარმოებს სწრაფ-ძალოვანი კუნთური მუშაობის შესრულება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საშეჯიბრო პერიოდში სპორტის უმრავლეს სახეობის სპორტსმენებს საჭიროების მიხედვით უფრო ხშირად უნდა უტარდებოდეთ ტესტირება, ვიდრე ეს ხდება, რათა თავიდან ავიცილოთ განსაკუთრებით მათი გამოსვლების (შეხვედრების) დროს მეორე ნახევარში მოულოდნელად დაღლილობის შემჩნევა. სპორტსმენის გადაღლა, განსაკუთრებით კი გადაწვრთნა, ორგანიზმის პათოლოგიურ მდგომარეობას შეიძლება მივაკუთვნოთ, ამიტომ განსაკუთრებით მაღალი კლასის სპორტსმენებს ესაჭიროებათ გაცილებით ფართო მოცულობის სამედიცინო უზრუნველყოფა, რაც თვით სპორტსმენებმაც უნდა გაითვალისწინონ. მართალია, სპორტის სახეობების მიხედვით გუნდებში თვალსაჩინოდ ამაღლდა ექიმებისა და მასაჟისტების მუშაობის დონე, მაგრამ ისინი მაინც უფრო სპორტსმენების ტრავმების მკურნალობით (რეაბილიტაციით) არიან დაკავებული, ვიდრე საექიმო-პედაგოგიური ხასიათის დაკვირვებით ფიზიკური მომზადების საკითხების შესწავლით.

**რომანოზ სვანიშვილი**
პროფესორი, საქართველოში თანამედროვე სპორტული მედიცინის ფუძემდებელი.

ჩოგბურთი

# ოლიმპიადა საეჭვოა, მაგრამ შანსი რჩება

ყველგან უკუსვლა

გუშინ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტები განახლდა. მომდევნო ზუსტად ორი კვირის მერე არის მოსალოდნელი - 11 ივნისს. სწორედ, 11 ივნისისის რეიტინგის მიხედვით შეირჩევა ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე 64 ჩოგბურთელი. ახალ კლასიფიკაციაში საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** 3 საფეხურით უკან დაიხია. ანას 873 ქულა აქვს და მსოფლიოს 75-ე ჩოგანია.

სანამ სხვა ჩვენებურებზე გადავალთ, ვიტყვით, რომ კვირას ტატიშვილმა კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი წააგო. საკმარისი იყო „როლან გაროსის“ პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული **ალექსა გლატჩი** (აშშ, 190) დაემარცხებინა, რომ ოლიმპიადის საგზური გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ სამ სეტში წააგო - 3:6, 7:5, 4:6. დღეისათვის ტატიშვილი ლონდონში წამსვლელთა ალტერნატიულ სიაში მესამეა. მას კიდევ აქვს შანსი, თუკი ინგლისში 75-ათასიან ტურნირში იასპარეზებს (რომელიც ერთი კვირაში იწყება) და იქ გარკვეულ ქულებს მოაგროვებს, მოხვდეს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. არადა, უნდა ველოდოთ, იქნებ, რომელიმე ჩოგბურთელმა ტრავმა მიიღოს ან ოლიმპიადაზე თამაში იუაროს.

სხვა ქართველები რეიტინგებში: 207 (-4) **მაკა ჩახნაშვილი** - 296 ქულა; 285 (-4) **სოფიო შაფათავა** - 186; 428 (-5) **სოფიო ქვაცაბაია** - 87; 479 (-9) **ეკა გორგოძე** - 73; 496 (-5) **თათია მიქაძე** - 70; 528 (-4) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 61; 714 (-2) **ნათია გეგია** - 30; 1044 (-12) **ანი გოგვაძე** - 10. ვაჟები: 1 179 (-7) **გიორგი ცივაძე** - 4 ქულა; 1 505 (-13) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2. როგორც ხედავთ, ყველგან უკუსვლაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

● სერია A და ქართველები. ციფრული შეჯამება

# მანუჩარი, ვიქტორი, გიორგი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მერე, რაც მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე იტალიაში გადავიდნენ, მათმა გუნდებმა ყველაზე წარუმატებლად სწორედ წლეულს ითამაშეს. 2009-10 წლების სეზონის მეოთხედფინალში ვიქტორის „ვირტუსს" მანუჩარის „კანტუმ" აჯობა, თუმცა ნახევარფინალში „მონტეპასკის" გადაეყარა და ფინალს ვერ მიაღწია. სწორედ მაშინ მიიღო მარკოიშვილმა შეთავაზებები „ვირტუსიდან" და სიენას „მონტეპასკიდან", თუმცა „კანტუში" დარჩენა ამჯობინა და სწორადაც მოიქცა.

2010-11 წლებში, მეოთხედფინალში სანიკიძის „ვირტუსმა" სიენელებთან 1:3 დათმო. კანტუელებმა ფინალს მიაღწიეს და კვლავ „მონტეპასკის" შეეჭიდა. მანუჩარის გუნდმა ჩემპიონატში საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა და ევროლიგის საგზური მოიპოვა.

მიმდინარე, 2011-12 წლების სეზონში მარკოიშვილს „კანტუში" გიორგი შერმადინი შეუერთდა, იყო შარშანდელი შედეგის გამეორების იმედი, მაგრამ კანტუელებმა „პესაროსთან" მეოთხედფინალში 2:3 დათმეს. „ვირტუსმა" კი ნიკა მეტრეველის „დინამოსთან" წააგო - 0:3.

ასე რომ, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ერთი ქართველი შემოგვრჩა - მეტრეველი, რომლის გუნდი ნახევარფინალში ურთიერთობას „მონტეპასკისთან" არკვევს.



**მანუჩარ მარკოიშვილისთვის** მიმდინარე სეზონი მაინც წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა მისი გუნდი ჩემპიონატში მეოთხედფინალს ვერ გასცდა. მანუ ხომ „კანტუს" შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლდათ. არადა, წინა სეზონებთან შედარებით გუნდში არაერთი სახელიანი კალათბურთელი გამოჩნდა - **ჯანლუკა ბაზილე, დორონ პერკინსი...**

სერია A-ში მანუ 15-20 ქულამდე არაერთხელ ასულა, იტალიური სეზონის რეკორდი კი 22-ია („ვენეციასთან"). რაც შეეხება აბსოლუტურ რეკორდს, მანუჩარმა ის ევროლიგაზე დაამყარა: „ჟალგირისთან" 32 ქულა მიითვალა და „კანტუს" ლიტვაში გაამარჯვებინა. შედეგად იგი ევროლიგის ბოლო ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

## მანუჩარ მარკოიშვილი

**რეკორდები**

| კომპონენტი | 2012 | სულ სერია A-ში |
|---|---|---|
| ქულა | 22 ვს. ვენეცია (05/02/2012) | 25 ვს. მონტეგრანარო (14/02/2010) |
| რეალიზებული ორქულიანი | 7 ვს. პესარო (26/05/2012) | 9 ვს. ვარეზე (09/01/2010) |
| რეალიზებული სამქულიანი | 3 (4-ჯერ) | 5 (2-ჯერ) |
| რეალიზებული საჯარიმო | 6 (2-ჯერ) | 6 (3-ჯერ) |
| მოხსნა შეტევაში | 3 (3-ჯერ) | 4 ბენეტონი (30/01/2010) |
| მოხსნა დაცვაში | 6 (2-ჯერ) | 6 (4-ჯერ) |
| მოხსნა სულ | 8 ვს. ვარეზე (22/04/2012) | 8 (2-ჯერ) |
| პასი | 3 (9-ჯერ) | 6 ვს. მონტეპასკი (08/05/2010) |
| წუთი | 36 ვს. პესარო (21/03/2012) | 37 ვს. პესარო (28/02/2010) |
| მქქ | 29 ვს. ვენეცია (05/02/2012) | 36 ვს. ვარეზე (01/05/2[illegible]) |

**საერთო სტატისტიკა**

| წელი | გუნდი | თ | თ.სას. | ქ | წთ | ფ | ფ.მეტ. | 2ქ.ნას. | 2ქ.ჩაგ. | 2ქ% | 3ქ.ნას. | 3ქ.ჩაგ. | 3ქ% | 1ქ.ნას. | 1ქ.ჩაგ. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | დაფ. | დაუფ. | შ | ჩ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02/03 | ბენეტონი | 28 | 24 | 96 | 300 | 40 | 16 | 19 | 35 | 54.3 | 16 | 35 | 45.7 | 10 | 12 | 83.3 | 9 | 20 | 29 | 0 | 0 | 24 | 13 | 11 |
| 03/04 | ბენეტონი | 14 | 10 | 31 | 90 | 13 | 7 | 4 | 7 | 57.1 | 5 | 13 | 38.5 | 8 | 9 | 88.9 | 1 | 2 | 3 | 0 | 1 | 4 | 4 | 4 |
| 09/10 | კანტუ | 34 | 34 | 411 | 909 | 126 | 133 | 94 | 181 | 51.9 | 50 | 126 | 39.7 | 73 | 88 | 83.0 | 22 | 86 | 108 | 11 | 9 | 79 | 56 | 58 |
| 10/11 | კანტუ | 34 | 34 | 334 | 699 | 96 | 111 | 73 | 148 | 49.3 | 45 | 118 | 38.1 | 53 | 66 | 80.3 | 17 | 66 | 83 | 4 | 6 | 57 | 60 | 47 |
| 11/12 | კანტუ | 37 | 37 | 396 | 878 | 106 | 117 | 103 | 207 | 49.8 | 45 | 116 | 38.8 | 55 | 72 | 76.4 | 26 | 90 | 116 | 5 | 6 | 59 | 35 | 52 |
| ჯამი | | 147 | 139 | 1268 | 2876 | 381 | 384 | 293 | 578 | 50.7 | 161 | 408 | 39.5 | 199 | 247 | 80.6 | 75 | 264 | 339 | 20 | 22 | 223 | 168 | 172 |

**საშუალო მონაცემი**

| წელი | გუნდი | თ | თ.სას. | ქ | წთ | ფ | ფ.მეტ. | 2ქ.ნას. | 2ქ.ჩაგ. | 2ქ% | 3ქ.ნას. | 3ქ.ჩაგ. | 3ქ% | 1ქ.ნას. | 1ქ.ჩაგ. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | დაფ. | დაუფ. | შ | ჩ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02/03 | ბენეტონი | 28 | 24 | 4.0 | 12.5 | 1.7 | 0.7 | 0.8 | 1.5 | 54.3 | 0.7 | 1.5 | 45.7 | 0.4 | 0.5 | 83.3 | 0.4 | 0.8 | 1.2 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.5 | 0.5 |
| 03/04 | ბენეტონი | 14 | 10 | 3.1 | 9.0 | 1.3 | 0.7 | 0.4 | 0.7 | 57.1 | 0.5 | 1.3 | 38.5 | 0.8 | 0.9 | 88.9 | 0.1 | 0.2 | 0.3 | 0.0 | 0.1 | 0.4 | 0.4 | 0.4 |
| 09/10 | კანტუ | 34 | 34 | 12.1 | 26.7 | 3.7 | 3.9 | 2.8 | 5.3 | 51.9 | 1.5 | 3.7 | 39.7 | 2.1 | 2.6 | 83.0 | 0.6 | 2.5 | 3.2 | 0.3 | 0.3 | 2.3 | 1.6 | 1.7 |
| 10/11 | კანტუ | 34 | 34 | 9.8 | 20.6 | 2.8 | 3.3 | 2.1 | 4.4 | 49.3 | 1.3 | 3.5 | 38.1 | 1.6 | 1.9 | 80.3 | 0.5 | 1.9 | 2.4 | 0.1 | 0.2 | 1.7 | 1.8 | 1.4 |
| 11/12 | კანტუ | 37 | 37 | 10.7 | 23.7 | 2.9 | 3.2 | 2.8 | 5.6 | 49.8 | 1.2 | 3.1 | 38.8 | 1.5 | 1.9 | 76.4 | 0.7 | 2.4 | 3.1 | 0.1 | 0.2 | 1.6 | 0.9 | 1.4 |
| ჯამი | | 147 | 139 | 9.1 | 20.7 | 2.7 | 2.8 | 2.1 | 4.2 | 50.7 | 1.2 | 2.9 | 39.5 | 1.4 | 1.8 | 80.6 | 0.5 | 1.9 | 2.4 | 0.1 | 0.2 | 1.6 | 1.2 | 1.2 |

## გიორგი შერმადინი

**რეკორდები**

| კომპონენტი | 2012 |
|---|---|
| ქულა | 18 ვს. რომა (17/03/2012) |
| რეალიზებული ორქულიანი | 7 ვს. პესარო (21/03/2012) |
| რეალიზებული საჯარიმო | 9 ვს. მონტეგრანარო (11/01/2012) |
| მოხსნა შეტევაში | 5 (2-ჯერ) |
| მოხსნა დაცვაში | 10 ვს. მონფერატო (18/12/2011) |
| მოხსნა სულ | 12 (2-ჯერ) |
| პასი | 2 ვს. ტერამო (11/12/2011) |
| დაფარება | 2 (7-ჯერ) |
| წუთი | 29 ვს. მონფერატო (18/12/2011) |
| მქქ | 24 (2-ჯერ) |

**გიორგი შერმადინი** იტალიის ჩემპიონატში საშუალოდ 9 ქულასა და 5.2 მოხსნას აგროვებდა, ევროლიგის ტოპ-16-ში კი - 13.2 ქულასა და 6.3 მოხსნას. სხვაობა საგრძნობია. ამის მიზეზი მანუჩარმა აგვიხსნა: *„გიორგის იტალიის ჩემპიონატში ფოლების პრობლემა აქვს, ამიტომ, სათამაშო დრო ეზღუდება. მსაჯებმა შესაძლოა ზოგიერთი დარღვევისთვის ახალბედა დააჯარიმონ, ხოლო გამოცდილის იმავე სახის ფოლზე თვალი დახუჭონ. იტალიაში ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, მეც მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი."*

შერმადინმა სეზონის ბოლომდე ვერ ჩაამთავრა, აპრილში ფეხის თითის ძვალი გაუტყდა და მკურნალობდა. იგი გუნდს ნახევარფინალში აუცილებლად დაეხმარებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, „კანტუ" მეოთხედფინალს ვერ გასცდა.

მიმდინარე სეზონი შერმადინის აქტივში უნდა ჩავწეროთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგი იტალიის ჩემპიონატის ვარსკვლავთა მატჩში მიიწვიეს.



**საერთო სტატისტიკა**

| წელი | გუნდი | თ | თ.სას. | ქ | წთ | ფ | ფ.მეტ. | 2ქ.ნას. | 2ქ.ჩაგ. | 2ქ% | 3ქ.ნას. | 3ქ.ჩაგ. | 3ქ% | 1ქ.ნას. | 1ქ.ჩაგ. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | დაფ. | დაუფ. | შ | ჩ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11/12 | კანტუ | 23 | 22 | 199 | 405 | 82 | 73 | 69 | 107 | 64.5 | 0 | 0 | 0.0 | 61 | 71 | 85.9 | 31 | 84 | 115 | 21 | 7 | 46 | 18 | 7 |
| ჯამი | | 23 | 22 | 199 | 405 | 82 | 73 | 69 | 107 | 64.5 | 0 | 0 | 0.0 | 61 | 71 | 85.9 | 31 | 84 | 115 | 21 | 7 | 46 | 18 | 7 |

**საშუალო მონაცემი**

| წელი | გუნდი | თ | თ.სას. | ქ | წთ | ფ | ფ.მეტ. | 2ქ.ნას. | 2ქ.ჩაგ. | 2ქ% | 3ქ.ნას. | 3ქ.ჩაგ. | 3ქ% | 1ქ.ნას. | 1ქ.ჩაგ. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | დაფ. | დაუფ. | შ | ჩ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11/12 | კანტუ | 23 | 22 | 9.0 | 18.4 | 3.7 | 3.3 | 3.1 | 4.9 | 64.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2.8 | 3.2 | 85.9 | 1.4 | 3.8 | 5.2 | 1.0 | 0.3 | 2.1 | 0.8 | 0.3 |
| ჯამი | | 23 | 22 | 9.0 | 18.4 | 3.7 | 3.3 | 3.1 | 4.9 | 64.5 | 0.0 | 0.0 | 0 | 2.8 | 3.2 | 0.0 | 1.4 | 3.8 | 5.2 | 1.0 | 0.3 | 2.1 | 0.8 | 0.3 |



**ვიქტორ სანიკიძე** მესამე წელია, ბოლონიის „ვირტუსის" ღირსებას იცავს, თამაშს თანდათან აუმჯობესებს, თუმცა კლუბი ვერც ერთხელ ვერ გასცდა მეოთხედფინალს და სანიკიძეს ევროტურნირებზე თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემია. იგი გუნდს წლეულს დატოვებს და ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ესაა - უმაღლესი დონის ტურნირზე (ანუ ევროლიგაზე) თამაში სურს.

მას იტალიაში იმდენად ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა (საშუალოდ ორმაგი დუბლი: 12 ქულა, 10.9 მოხსნა), რომ მსურველები უკვე გამოუჩნდნენ. მაგალითად, სიენას „მონტეპასკი" სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს. ქართველი ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ვიქტორი „სან ანტონიოს" თვალთახედვის არეალშიცაა...

ვიქტორი იტალიელებმა უკვე აღიარეს: გამოცემა „ბასკეტინსაიდმა" იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდად და №1 ევროპელად დაასახელა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

## ვიქტორ სანიკიძე

**რეკორდები**

| კომპონენტი | 2012 | სულ სერია A-ში |
|---|---|---|
| ქულა | 27 ვს. დინამო (04/12/2011) | 27 ვს. დინამო (04/12/2011) |
| რეალიზებული ორქულიანი | 8 ვს. დინამო (04/12/2011) | 8 ვს. დინამო (04/12/2011) |
| რეალიზებული სამქულიანი | 3 (2-ჯერ) | 3 (4-ჯერ) |
| რეალიზებული საჯარიმო | 8 ვს. ვარეზე (13/11/2011) | 9 ვს. კასერტა (28/11/2009) |
| მოხსნა შეტევაში | 8 ვს. ბენეტონი (27/12/2011) | 8 (2-ჯერ) |
| მოხსნა დაცვაში | 17 ვს. მონტეპასკი (11/01/2012) | 17 ვს. მონტეპასკი (11/01/2012) |
| მოხსნა სულ | 19 ვს. მონტეპასკი (11/01/2012) | 19 ვს. მონტეპასკი (11/01/2012) |
| პასი | 4 (2-ჯერ) | 4 (2-ჯერ) |
| დაფარება | 3 (3-სჯერ) | 5 ვს. მონტეპასკი (24/01/2010) |
| წუთი | 41 ვს. დინამო (19/05/2012) | 41 ვს. დინამო (19/05/2012) |
| მქქ | 42 ვს. დინამო (04/12/2011) | 42 ვს. დინამო (04/12/2011) |

**საერთო სტატისტიკა**

| წელი | გუნდი | თ | თ.სას. | ქ | წთ | ფ | ფ.მეტ. | 2ქ.ნას. | 2ქ.ჩაგ. | 2ქ% | 3ქ.ნას. | 3ქ.ჩაგ. | 3ქ% | 1ქ.ნას. | 1ქ.ჩაგ. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | დაფ. | დაუფ. | შ | ჩ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09/10 | ვირტუსი | 33 | 33 | 221 | 698 | 89 | 84 | 65 | 107 | 60.7 | 14 | 37 | 37.8 | 49 | 78 | 62.8 | 70 | 116 | 186 | 28 | 3 | 46 | 34 | 15 |
| 10/11 | ვირტუსი | 30 | 30 | 228 | 698 | 81 | 67 | 58 | 97 | 59.8 | 21 | 54 | 38.9 | 49 | 71 | 69.0 | 68 | 148 | 216 | 15 | 3 | 52 | 23 | 20 |
| 11/12 | ვირტუსი | 33 | 33 | 383 | 1079 | 71 | 111 | 97 | 171 | 56.7 | 39 | 129 | 30.2 | 72 | 113 | 63.7 | 87 | 275 | 362 | 29 | 6 | 64 | 37 | 45 |
| ჯამი | | 96 | 96 | 832 | 2475 | 241 | 262 | 220 | 375 | 58.7 | 74 | 220 | 33.6 | 170 | 262 | 64.9 | 225 | 539 | 764 | 72 | 12 | 162 | 94 | 80 |

**საშუალო მონაცემი**

| წელი | გუნდი | თ | თ.სას. | ქ | წთ | ფ | ფ.მეტ. | 2ქ.ნას. | 2ქ.ჩაგ. | 2ქ% | 3ქ.ნას. | 3ქ.ჩაგ. | 3ქ% | 1ქ.ნას. | 1ქ.ჩაგ. | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | დაფ. | დაუფ. | შ | ჩ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09/10 | ვირტუსი | 33 | 33 | 6.7 | 21.2 | 2.7 | 2.5 | 2.0 | 3.2 | 60.7 | 0.4 | 1.1 | 37.8 | 1.5 | 2.4 | 62.8 | 2.1 | 3.5 | 5.6 | 0.8 | 0.1 | 1.4 | 1.0 | 0.5 |
| 10/11 | ვირტუსი | 30 | 30 | 7.6 | 23.3 | 2.7 | 2.2 | 1.9 | 3.2 | 59.8 | 0.7 | 1.8 | 38.9 | 1.6 | 2.4 | 69.0 | 2.3 | 4.9 | 7.2 | 0.5 | 0.1 | 1.7 | 0.8 | 0.7 |
| 11/12 | ვირტუსი | 33 | 33 | 11.6 | 32.7 | 2.2 | 3.4 | 2.9 | 5.2 | 56.7 | 1.2 | 3.9 | 30.2 | 2.2 | 3.4 | 63.7 | 2.6 | 8.3 | 11.0 | 0.9 | 0.2 | 1.9 | 1.1 | 1.4 |
| ჯამი | | 96 | 96 | 8.7 | 25.8 | 2.5 | 2.7 | 2.3 | 3.9 | 58.7 | 0.8 | 2.3 | 33.6 | 1.8 | 2.7 | 64.9 | 2.3 | 5.6 | 8.0 | 0.8 | 0.1 | 1.7 | 1.0 | 0.8 |

ბარბაროსები

# მამუკა გორგოძე - მეორე ქართველი ბარბაროსებში

**საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ ლიდერი, მესამეხაზელი მამუკა გორგოძე „ბარბაროსებში“ მიიწვიეს. ეს გუნდი წლეულს ახალზელანდიელი მწვრთნელის ჯონ ქირვანის თავკაცობით შეიკრიბა და ერთი შეხვედრა უკვე გამართა ინგლისის ნაკრებთან.**

გორგოძე მეორე ქართველი იქნება ფრანგული „ტულონის“ შერკინების ბურჯის, **დავით ქუბრიაშვილის** შემდეგ, რომელიც „ბარბაროსების“ შავ-თეთრ კვართს მოირგებს. გორგოძე და კომპანია დღეს გლოსტერში, „კინგსჰოლმზე“ ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. 2 ივლისს კი „ბარბაროსები“ კარდიფის „მილენიუმზე“ უელსის ნაკრებს ეთამაშებიან. გორგოძე, სავარაუდოდ, ორივე მატჩში იასპარეზებს.

აღსანიშნავია, რომ ბარბაროსთა გუნდი მეორე წელიწადია ქართველი მორაგბეების გარეშე არ იკრიბება. ეს კიდევ ერთი აშკარა დასტურია ჩვენი რაგბის გაზრდილი ავტორიტეტისა და მსოფლიო აღიარების. საგულისხმოა, რომ ორივე „ქართველი ბარბაროსი“ სარაგბო კლუბ „ლელოს“, კერძოდ კი მისი მთავარი მწვრთნელის **ლევან მაისაშვილის** აღზრდილია.

როგორც აღვნიშნეთ, „ბარბაროსებმა“ უკვე გამართეს ერთი შეხვედრა ლონდონში, „თვიქნემზე“ და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ - 26:57.

ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ თამაში უხვლელოიანი გამოდგა. გუნდებმა ჯამში 11 ლელო მიითვალეს, აქედან 7 ინგლისელების ანგარიშზეა. ყველაზე მეტი - 3 ლელო „პომების“ გარემარბმა **კრის ეშტონმა** გაიტანა, თავი ორჯერ გამოიჩინა შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ჯონათან ჯოზეფმა**.

„ბარბაროსებიდან“ გამორჩეული ახალზელანდიელი ფულბეკი მალილი მულიაინა იყო, რომლის ანგარიშზეც ორი ლელოა. ყველაზე მეტი ქულა კი ინგლისელთა შუამარბმა **ოუენ ფარელმა** დააგროვა, მან 7 გარდასახვა და 1 საჯარიმო მიითვალა (17 ქულა).



მამუკა გორგოძე მეტოქის ბოჭვისას

| ინგლისი-ბარბაროსები | 57:26 |
|---|---|

**ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. ბრედ ბარიტი, 12. ოუენ ფარელი, 11. კრისტიან ვეიდი, 10. ჩარლი ჰოჯსონი, 9. ლი დიკსონი. 1. მეთ სტივენსი, 2. დილან ჰართლი, 3. პაულ დორან ჯოუნზი, 4. მარიუს ბოთა, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ ჯონსონი, 7. კარლ ფერნსი, 8. ფილ დოუსონი.**

**16. ლი მეარსი, 17. მეთ მულენი, 18. ჯო ლანჩბური, 19. ჯიმი გიბსონი, 20. რიჩარდ ვაიგლსვორსი, 21. ჯონათან ჯოზეფი, 22. ალექს გუდი.**

**8ლ: ეშტონი (3), ჯოზეფი (2), ჰართლი, ვეიდი, ვაიგლსვორსი. 7გ,ს: ფარელი.**

**ბარბაროსები: 15. მალილი მულიაინა, 14. პაულ სასკი, 13. კესი ლაულალა, 12. მაიკ თინდოლი, 11. იან ბოლშო, 10. სტივენ დონალდი, 9. რორი ლოუსონი. 1. ნეემია ტიალატა, 2. ჯონ სმიტი, 3. ჯონ აფოა, 4. მაიკ ჩისლომი, 5. ენტონი ფან ზილი, 6. ერნსტ იუბერი, 7. ჯონ ბითი, 8. აკაპუსი ქერა.**

**16. ბენუა ოგუსტი, 17. დანკან ჯოუნზი, 18. პელუ ტაელე, 19. რაფაელ ლაკაფია, 20. ჟერომ ფილოლი, 21. ფელიპე კონტეპომი, 22. საილოსი ტაგიკაკიბაუ.**

**4ლ: მულიაინა (2), ტაელე პავიჰი, თინდოლი.**

მსაჯი: ჯონ ლესი (ირლანდია).

ლეგიონერები

# პოს ხელი მოეცარა, მასი მიზნამდე ერთ ნაბიჯშია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში პლეი ოფის ფინალური მატჩი გაიმართა, რომელშიც პირველი დივიზიონის მეორე საგზურის მფლობელი გამოვლინდა. შეგახსენებთ, რომ აქ რეგულარული გათამაშება გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლმა“ მოიგო და პირველ დივიზიონში ავტომატურად გადაბარგდა.**

მეორე საგზურისთვის კი **დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პო“ ფინალში „მონ დე მარსანს“ დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, ჩვენებურთა გუნდმა 20:29 წააგო და მომავალ სეზონში ისევ მეორე დივიზიონში იასპარეზებს. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

ამასობაში პლეი ოფის ნახევარფინალის პირველი შეხვედრები გაიმართა ფედერალ 1 დივიზიონში. **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ სტუმრად მინიმალური სხვაობით დაამარცხა **დავით ბოლღაშვილის** „ლილი“ 21:20 და ელიტურ, მეორე დივიზიონს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

პარიზელები, რომელთაც ქართველი მწვრთნელი **ვიქტორ დიდებულიძე** თავკაცობს, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ. 54-ე წუთისთვის ისინი მასპინძლებს 9 ქულით ჩამორჩნენ - 8:17. თამაშში გარდატეხის შეტანა მათ დასკვნით ხუთ წუთში მოახერხეს, როცა ერთ ლელოს ზედიზედ ორი საჯარიმოც მიაყოლეს და შინ გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა მომავალ უქმეებზე მასიში გაიმართება. წარმატების შემთხვევაში დიდებულიძე და კომპანია, ფინალის საგზურთან ერთად, მეორე დივიზიონში თამაშის უფლებასაც მოიპოვებს.

"ლილთან" შეხვედრაში აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილი თამაშში ექვსი წუთის შემდეგ ჩაერთო, ბოლღაშვილი განაცხადში არ იყო.

ნახევარფინალის მეორე წყვილში **დიმიტრი ბასილაიასა** და **გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენმა“ შინ წააგო „კოლომიესთან“ - 15:22. ვალანსელები, ფაქტობრივად, უშანსოდ არიან. ჩვენებურთა ამ გუნდს, სავარაუდოდ, თამაში მომავალ წელსაც ფედერალ 1 დივიზიონში მოუწევს. წესით, ქართველ მორაგბეებს ეს დიდად არ უნდა აღელვებდეთ, ვინაიდან ორივეს მომავალი გუნდი უკვე გარკვეულია. ბასილაია შოტლანდიის საუკეთესო კლუბის, „ედინბურგის“ კვართს მოირგებს. ნემსაძემ კი ახლახან საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის „ტარბთან“ გააფორმა ხელშეკრულება, სადაც უკვე ირიცხებიან პირველხაზელები, **ირაკლი მირცხულავა** და **მამუკა მაგრაქველიძე**.

კოლომიესთან მატჩში ბასილაიამ და ნემსაძემ სრულად ითამაშეს. ნემსაძე მატჩის არბიტრმა 59-ე წუთზე გაასინბინა.

| II დივიზიონი | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| პო-მონ დე მარსანი | 20:29 |
| **ფედერალ 1** | |
| **ნახევარფინალი** | |
| ლილი-მასი | 20:21 |
| ვალანს დაჟენი-კოლომიე | 15:22 |



ვიქტორ დიდებულიძე (მარცხნივ) და შალვა სუთიაშვილი (N18) გამარჯვებას ზეიმობენ

ზე რაგბი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასასრულისკენ დრამატიზმმა იმატა

**ზე რაგბის გათამაშების მე-14 ტური ფავორიტების ჰემილტონის „ჩიფსისა“ და პრეტორიის „ბლუ ბულზის“ დაპირისპირებით დაიწყო. მატჩის პირველ ნახევარში „ლურჯი ხარების“ შერკინებამ აშკარად დაჩაგრა მასპინძელთა, ჰემილტონელთა მორკინალები და, შესაბამისად, შესვენებაზე რვაქულიანი უპირატესობით წავიდა - 16:8.**

სტუმრებმა ერთადერთი ლელო შესანიშნავი, მრავალფაზიანი შეტევის შედეგად გაიტანეს. მორკინლების მოკლე დარტყმების შემდეგ ცხრა ნომერმა **ფრანუსა ჰუგარმა** ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე გაიტანა, სადაც გარემარბი **ბიორნ ბესონი** შესანიშნავად გაისარჯა და ჩათვლის მოედანში შეაღწია.

შესვენების შემდეგ პრეტორიელები ანგარიშში უპირატესობას 61-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ - 22:21. მასპინძლებმა თამაშის ტემპს უმატეს და 68-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა მესამეხაზელმა **სემ კეინმა** გამარჯვების ლელო გაიტანა - 28:22.

დამრტყმელების ორთაბრძოლაში მასპინძელთა მგეზავ **აარონ კრადენს**, რომელმაც გუნდს 13 ქულა შესძინა (2 გარდასახვა და 3 საჯარიმო) სამხრეთაფრიკელმა **მორნი სტეინმა** აჯობა. მის ანგარიშზე 17 ქულაა (4 საჯარიმო, თითო არეკნი და გარდასახვა).

B ჯგუფის მესამეადგილოსანმა დანიდინის „ჰაილენდერზმა“ სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი, ოქლენდის „ბლუზი“ - 27:20 და პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა. დანიდინელებმა მატჩის 60 წუთი შესანიშნავად ჩაატარეს და 21 ქულის სხვაობით იგებდნენ - 27:6.

დასკვნით 20 წუთში ოქლენდელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, თუმცა მხოლოდ ანგარიშის 7 ქულამდე შემცირება შეძლეს.

ამავე ჯგუფის მეოთხეადგილოსანმა ველინგტონის „ჰარიკენზმა“ შინ დაამარცხა „მელბურნ რებლზი“ - 66:24. საგულისხმოა, რომ მელბურნელები მე-16 წუთამდე იგებდნენ - 10:8. ამის შემდეგ ველინგტონელებმა ლელოების ფოიერვერკი მოაწყვეს — მეტოქეს 9 ლელო გაუტანეს, აქედან სამი გარემარბის **ჯულიან სავეას** ანგარიშზეა, ორ-ორი კი ფულბეკმა **ანდრე ტეილორმა** და გარემარბმა **ალაპატი ლეიუამ** მიითვალეს. მგეზავმა ბოდენ ბარეტმა 9 გარდასახვა და 1 საჯარიმო გაიტანა (21 ქულა).

**B ჯგუფი**

**ჩიფსი-ბლუ ბულზი 28:22, ჰარიკენზი-მელბურნ რებლზი 66:24, ბლუზი-ჰაილენდერზი 20:27.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 53 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 46, 3. ჰაილენდერზი - 44, 4. ჰარიკენზი - 40, 5. ბლუზი - 17.**

**XV ტური**

**კრუსეიდერზი-ჰაილენდერზი, ბლუზი-ჩიფსი**

A ჯგუფის ლიდერების კანბერას „ბრამბიზისა“ და ზე რაგბის შარშანდელი გამარჯვებულის ბრისბენის „რედსის“ დაპირისპირება, როგორც მოსალოდნელი იყო, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. „წითლებმა“ მატჩის მინიმალური სხვაობით მოგება შეძლეს - 13:12. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბრისბენელებს გაუმართლათ, რადგან მატჩის ბოლო წამებზე მასპინძელთა მგეზავმა **ზაკ ჰოლმსმა** ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

ამავე ჯგუფში აუტსაიდერმა პერთის „ფორსმა“ შინ დაამარცხა C ჯგუფის აუტსაიდერი იოჰანესბურგის „ლაიონზი“ - 17:11. ამ მატჩის შედეგმა სატურნირო ცხრილში გუნდების მდგომარეობაზე გავლენა არ იქონია.

**A ჯგუფი**

**ბრამბიზი-რედსი 12:13, ფორსი-ლაიონზი 17:11.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 45 ქულა, 2. რედსი - 40, 3. რებლზი - 29, 4. ვორათაზი - 28, 5. ფორსი - 23.**

**XV ტური**

**მელბურნ რებლზი-ბრამბიზი, ვორათაზი-ჰარიკენზი**

C ჯგუფში მესამეადგილისანმა დურბანის „ნატალ შარქსმა“ გათამაშების ლიდერს, კეიპთაუნის „სტორმერზს“ უმასპინძლა და 25:20 მოუგო. „ზვიგენებმა“ მეტოქის ერთის საპირწონედ სამი ლელო გაიტანეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით, პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს.

ამავე ჯგუფის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ბლუმფონტეინის „ჩიტაზმა“ შინ მინიმალური ხვაობით დაამარცხა სიდნეის „ვორათაზი“ - 35:34. აღსანიშნავია, რომ ეს ანგარიში მატჩის 58-ე წუთზე დაფიქსირდა და დარჩენილ 22 წუთში აღარ შეცვლილა. მასპინძელთა ხუთი ლელოდან ორი გარემარბის **ვილემ ლე რუს** ანაგარიშზეა. სტუმართაგან ამდენივე ლელო გაიტანა მეორეხაზელმა **სიტაკელი ტიმანიმ**.

**C ჯგუფი**

**ჩიტაზი-ვორათაზი 35:34, ნატალ შარქსი-სტორმერზი 25:20.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 50 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 48, 3. ნატალ შარქსი - 45, 4. ჩიტაზი - 32, 5. ლაიონზი - 15.**

**XV ტური**

**ლაიონზი-ნატალ შარქსი, ბლუ ბულზი-სტორმერზი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

გუშინ დიდი ბრძოლა იყო



# სპურსის ცხრიდან ცხრა

დასავლეთი კონფერენციის ფინალური სერია ძალიან დრამატული და სანახაობრივი დაპირისპირებით გაიხსნა და თუ ასე გაგრძელდა, კალათბურთის მოყვარულებს წინ შესანიშნავი დუელი ელით. ჯერჯერობით, "სან ანტონიომ" "ოკლაჰომასთან" სერიაში წაიყვანა ანგარიში.

მატჩის დიდი ნაწილი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. გუნდებმა განსხვავებული სტრატეგია აირჩიეს. "თანდერი", როგორც ყოველთვის, სწრაფ გარღვევებზე აკეთებდა აქცენტს და ამ ხერხით მან 17 ქულა დააგროვა. თანაც სტუმრებს ხელს უწყობდა "სპურსის" შეცდომები, განსაკუთრებით მატჩის დებიუტში. **ტონი პარკერი** კარგა ხანი ვერ გაერკვა, როგორ უნდა ემოქმედა მუდმივი ზეწოლის პირობებში - ფრანგს, როგორც წესი, ორი მეტოქე მეურვეობდა. შედეგად, "სპურსის" პლეიმეიკერმა სრულად ვერ წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები და 15-დან მხოლოდ ექვსი ტყორცნა მოათავსა კალათში, თანაც ოთხი შეცდომაც ჰქონდა. თუმცა "ოკლაჰომას" გამთამაშებელი **რასელ უესტბრუკიც** ბევრს სცოდავდა. მასაც ოთხი შეცდომა დაუგროვდა. ეს იმდენია, რამდენიც უესტბრუკს მთელი წინა სერიის განმავლობაში ჰქონდა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ რასელის ყოველი მესამე ტყორცნა აღწევდა მიზანს.

სტუმრებს **კევინ დურანტი** შველოდათ და კიდევ, მოულოდნელად "გამოღვიძებული" **დერეკ ფიშერი**. ვეტერანმა რვიდან ექვსი ბურთი ჩააგდო. სწორედ ამ დუეტის მონდომებით **ბრუქსის** შეგირდებმა მესამე მეოთხედში ლიდერობა იგდეს ხელთ და ბოლო მეოთხედის სტარტისთვის საკმაოდ კომფორტული - 9-ქულიანი უპირატესობა მიიღეს.

მაგრამ სტუმრებმა ვერ შეძლეს ამ სხვაობის შენარჩუნება. მატჩის შედეგზე დიდი გავლენა იქონია "სპურსის" უფრო ხარისხიანმა და ღრმა რეზერვმა. მასპინძლების სათადარიგოთა სკამმა 52 ქულა დააგროვა, რაც საერთო გუნდური მონაგარის ნახევარზე მეტი იყო. "თანდერის" რეზერვისტებმა კი 38 ქულა შესძინეს სტუმრებს. ბოლო მეოთხედში სწორედ სათადარიგოებმა დაიწყეს ანგარიშის შემცირება. თანაც, აღნიშვნის ღირსია არა მხოლოდ მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი **მანუ ჯინობილი**, არამედ **ნილი** და **სპლიტერი**. ბრაზილიელმა სასიამოვნოდ გააკვირვა "სან ანტონიოს" გულშემატკივრები, როცა თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ააცილა და სამი შედეგიანი პასი შეასრულა. სწორედ მისი ორი ორქულიანით გაიხსნა მეოთხე მეოთხედი, რის შემდეგაც საქმეში ჩაება მასპინძლების უკანა ხაზი. იგივე ნილი, პარკერი და ჯინობილი თანდათან უბრუნებდნენ "სპურსს" უპირატესობას.

**გრეგ პოპოვიჩის** გუნდი წინ სირენამდე შვიდი წუთით ადრე პარკერის სროლამ გაიყვანა. ფრანგი სამწამიანში შევარდა, მკვეთრად დაამუხრუჭა, **პერკინსს** პერსონალური მიაღებინა და თან ორქულიანი მოათავსა კალათში. მართალია, ტონიმ საჯარიმო ვერ ჩააგდო, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ პერკინსისთვის ეს მეხუთე პერსონალური გახლდათ. ცენტრი მოედანზე დარჩა, მაგრამ ცალკეულ ეპიზოდებში პასიური იყო იმის შიშით, რომ ვადაზე ადრე დაეტოვებინა მოედანი. შედეგად, ამ მომენტით ორჯერ ჯინობილიმ და ერთხელ **დანკანმა** კარგად ისარგებლეს, როცა ფარქვეშიდან ჩააგდეს. მასპინძლები არც პერიმეტრიდან შეტევებს ივიწყებდნენ. ბოლო ხუთ წუთში სამქულიანები ჩააგდეს ნილმა და **ჯექსონმა**. ამ უკანასკნელის ზუსტი ტყორცნის შემდეგ, "სან ანტონიოს" უპირატესობა შვიდ ქულამდე გაიზარდა. შეუჩერებელი ჯინობილის მორიგი წარმატების შემდეგ კი სხვაობა ორნიშნა გახდა, სათამაშო მხოლოდ ორი წუთი რჩებოდა.

"თანდერი" მაინც არ დანებდა და ბოლომდე იბრძოლა. როგორც იქნა, ათამაშდნენ **ჰარდენი** და უესტბრუკი. ამ დუეტმა მცირე დროში ოთხი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად. საბოლოო ანგარიშმა არ დაგაბნიოთ - ჰარდენმა ბოლო ტყორცნა სირენასთან ერთად ჩააგდო.

ასე რომ, "სპურსს" მიმდინარე პლეი ოფში ცხრიდან ცხრა მოგება აქვს. ასეთი შედეგი 2001 წელს "ლეიკერსს" ჰქონდა. ალბათ, არ ღირს იმის შეხსენება, რომ კალიფორნიელებმა ის სეზონი ჩემპიონის რანგში დაასრულეს.

**სან ანტონიო-ოკლაჰომა 101:98**

**24:18, 22:29, 16:24, 39:27**

**ს-ა:** ჯინობილი (26+5 მოხსნა+3 პასი), პარკერი (18+8 მოხსნა+6 პასი), დანკანი (16+11 მოხსნა), ნილი (12), სპლიტერი (9+6 მოხსნა+3 პასი), დიაო (8+4 პასი), ლეონარდი (7+7 მოხსნა), ჯექსონი (5).

**ოკლაჰომა:** დურანტი (27+10 მოხსნა+4 პასი+3 დაფარება), ჰარდენი (19+6 მოხსნა), უესტბრუკი (17+5 პასი+5 მოხსნა+2 დაფარება), ფიშერი (13), სეფოლოშა (7+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), იბაკა (5+7 მოხსნა+2 დაფარება), კოლისონი (5+7 მოხსნა), პერკინსი (5).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (45.8/42.2), სამქულიანები (33.3/39.1), საჯარიმოები (68/82.6).

**სერია:** 1-0

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# იტალიამ ჯირო წააგო

უცნაური შედეგით დასრულდა 2012 წლის სეზონის პირველი გრანდ-ტური. ჯირო დ'იტალია მოიგო იმან, ვინც თავიდან არ შეუყვანიათ ექვს მთავარ ფავორიტს შორის. აქამდე, კანადელი **რიუდერ ჰეშედალის** საუკეთესო შედეგი "გრანდ-ტურებზე" მეექვსე ადგილი იყო. ადრე მას უფრო მაუნტინბაიკიდან იცნობდნენ, ორი წლის წინ კი უფრო ფართო საზოგადოებას გააცნო თავი ტურ დე ფრანსზე გამოსვლის დროს. მაშინ ის ურთულეს სამთო ეტაპებზე ლიდერებს კვალში მისდევდა და გვერდიდან ადევნებდა თვალს **ალბერტო კონტადორისა** და **ანდი შლეკის** ეპიკურ ბრძოლებს. მაშინ ჰეშედალმა მეექვსე ადგილი დაიკავა გენერალურ კლასიფიკაციაში. წლევანდელი ჯიროს წინ კანადელი ამბობდა, რომ კარგი ფორმა აკრიფა და მზად იყო ამ შედეგის გასაუმჯობესებლად, თუმცა ვერ წარმოიდგენდა, ასე მაღლა თუ ავიდოდა.

ფავორიტები ჰეშედალს დიდი ხანი ყურადღებას არ აქცევდნენ. სამთო ეტაპების ოსტატები არც მაშინ შეშფოთებულან, როცა ერთ-ერთ ეტაპზე გაექცათ კანადელი და არც მაშინ, როცა მთებში მომავალი ტრიუმფატორი მათ გვერდით მყარად იდგა. ყველას ეგონა, რომ ჰეშედალი მათ ბოლო ორ სამთო ეტაპზე ჩამოშორდებოდა. მაგრამ ნორვეგიული წარმოშობის კანადელმა ბოლო ეტაპამდე დაიტოვა ჯიროს მოგების შანსი. ბოლო ეტაპი კი მისი შანსი იყო, რადგან უკანასკნელი 30 კილომეტრი დროზე ინდივიდუალური რბოლა გახლდათ.

ეს შანსი ჰეშედალმა კარგად გამოიყენა. ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ლიდერის ვარდისფერი მაისურის მფლობელ **ხოაკინ როდრიგესს** ინდივიდუალურ რბოლაში შანსი არ ჰქონდა და ასეც მოხდა. საბოლოოდ, 30 კილომეტრზე ჰეშედალმა ესპანელს 30 წამზე მეტი მოუგო და კარიერაში პირველად მოიგო იტალიური ველომარათონი.

ეს ჯირო იმითაც იყო გამორჩეული, რომ პირველად 1995 წლის შემდეგ, გენერალური კლასიფიკაციის პირველ სამეულში ვერ მოხვდა ვერც ერთი იტალიელი. როგორც ჩანს, 35 წლის **ივან ბასოს** დრო გადის და მას შემცვლელი სჭირდება. როგორც ამბობენ, ეს შეიძლება გახდეს ბასოს მარჯვენა ხელი **ვინჩენცო ნიბალი** ან იმედისმომცემი სამთო ველომრბოლი **დამიანო კარუზო**.

**საბოლოო შედეგები**

1. **რიუდერ ჰეშედალი** (კანადა, Garmin) - 91:39.02; 2. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა") - +0.16; 3. **ტომას დე გენტი** (ბელგია, Vacansoleil) - +1.39; 4. **მიკელე სკარპონი** (იტალია, Lampre) - +2.05; 5. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +3.44; 6. **დამიანო კუნეგო** (იტალია, Lampre) - +4.40; 7. **რიგობერტო ურანი** (კოლუმბია, Sky) - +5.57; 8. **დომენიკო პოცოვივო** (იტალია, Colnago) - +6.28; 9. **სერხიო ლუის ენაო** (კოლუმბია, Sky) - +7.50; 10. **მიკელ ნიევე** (ესპანეთი, Euskaltel) - +8.08...

რიუდერ ჰეშედალი



● კრივი

# ჯონის გიჟური ცხოვრება

## მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს

წარსულში ცნობილი მოკრივე, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ჯონი ტაპია** ალბუკერკში (ნიუ-მექსიკოს შტატი) საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. ის 45 წლის იყო. მას სხეულზე ამოსვირინგებული ჰქონდა წარწერა - Mi Vida Loca, რაც ყველაზე კარგად ასახავს მის განვლილ ცხოვრებას.

როგორც პოლიცია იტყობინება, მოკრივის ცხედარი ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა აღმოაჩინა. *"ის ხშირად იყო სიკვდილთან ერთ ნაბიჯში,* - განაცხადა ყოფილმა სპორტულმა მიმომხილველმა და ტაპიას ძველმა მეგობარმა **დენის ლატამ**. - *მახსოვს, ლას ვეგასში რამდენიმე დღის განმავლობაში კომაში იყო. არავის ეგონა, რომ გადარჩებოდა, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ეს ყველაფერი რთული დასაჯერებელია. მეგონა, რომ მას ვერაფერი დაამარცხებდა".*

ჯონი ტაპია 45 წლის იყო. ის ნიუ-მექსიკოში 1967 წელს დაიბადა. ხუთგზის ჩემპიონის ცხოვრებისეული გზა სავსე იყო ტრაგიკული მოვლენებით. მამა დაბადებამდე დაკარგა, რვა წლის ასაკში კი დედამისი მოიტაცეს. ბოროტმოქმედებმა გაუპატიურებული და დაჭრილი ქალი გზაზე დააგდეს. ვირჯინიამ 100 მეტრი ხოხვით გაიარა, სანამ პოლიციამ არ იპოვა და საავადმყოფოში არ გადაიყვანა. ოთხი დღის შემდეგ ის გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ამან ტაპიას ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია. მოკრივე მთელი ცხოვრება დეპრესიის გამო იტანჯებოდა.

ჯონიმ კრივში ვარჯიში 9 წლის ასაკში დაიწყო. 1983 და 1988 წლებში მან უმჩატეს წონაში "ოქროს ხელთათმანის" ტურნირი მოიგო, 1990 წელს აშშ-ის ჩემპიონი გახდა, თუმცა მალე კოკაინის მიღებისთვის დისკვალიფიკაცია მიიღო. კრივში დაბრუნების შემდეგ, 1994 წელს კოკაინთან დაკავშირებულ მორიგ სკანდალში გაეხვა - მის ჩანთაში ნარკოტიკები აღმოაჩინეს.

ტაპიამ პირველი საჩემპიონო ქამარი 1995 წელს დაიმსახურა - ქულებით დაამარცხა მეორე უმჩატეს წონაში WBO-ის ჩემპიონი **ხოსე რაფაელ სოსა**. ის ამ ტიტულს 1998 წლამდე ინარჩუნებდა, სანამ წონის შეცვლა არ გადაწყვიტა.

1997 წლის ივლისში ჯონიმ ქულებით მოუგო მეორე უმჩატეს წონაში IBF-ის ჩემპიონს **დენი რომეროს**, 1998 წლის დეკემბერში კი უმჩატეს წონაში WBA-ის ჩემპიონი **ნან კონადი** დაამარცხა. მაგრამ უკვე 1999 წელს დაკარგა WBA-ის ქამარი, როცა პროფესიულ რინგზე კარიერაში პირველი მარცხი იწვნია. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალმა "რინგმა" **პაულ აიალასთან** შეხვედრა "წლის ბრძოლად" მონათლა.

ამ მარცხიდან ცოტა ხნის შემდეგ ტაპიამ თავის მოკვლა სცადა - ნარკოტიკებს ზედმეტი დოზა მიიღო, მაგრამ ექიმებმა მალე დააყენეს ფეხზე და 2000 წელს WBO-ის ტიტული მოიპოვა.

2007 წლის 17 იანვარს ტაპიამ განაცხადა, რომ 23 თებერვალს ბოლო ბრძოლას ჩაატარებდა კარიერაში, მისი მეტოქე კი **ილიდო ჰული** იქნებოდა. ჯონიმ დანაპირები აასრულა და მოიგო, მაგრამ კრივიდან არ წასულა. იმავე წლის 12 მარტს, ნარკოტიკების მორიგი ზედმეტი დოზის მიღების შემდეგ, საკუთარ სახლში უგონო მდგომარეობაში იპოვეს. მომდევნო დღეს კი ავტოავარიაში დაიღუპნენ მოკრივის სიძე და ახლო ნათესავი, რის გამოც ტაპიას მდგომარეობა გაუარესდა.

ორი წლის შემდეგ, ჯონი ციხეში აღმოჩნდა იმის გამო, რომ პირობითი განთავისუფლების წესები დაარღვია. 2011 წლის ივნისში ტაპიამ კარიერაში ბოლო ბრძოლა ჩაატარა კოლუმბიელი **მაურისიო პასტრანას** წინააღმდეგ. მან მსაჯების გადაწყვეტილებით მოიგო. მას სხეულზე უამრავი სვირინგი ჰქონდა, მაგრამ ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა - Mi Vida Loca ("ჩემი არანორმალური ცხოვრება").

ჯონი ტაპია



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლეგენდა ლეგენდებში გაერია

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - საბერძნეთის რალი გაიმართა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ლოებმა** მისთვის ჩვეულ პირველ ადგილზე დაასრულა ეს სტარტი.

ლეგენდარული ფრანგის უპირატესობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ბოლო დღის წინ, მხოლოდ **პეტერ სოლბერგს** ჰქონდა ლოებთან ბრძოლის შანსი, მაგრამ ნორვეგიელმა ძალიან მოინდომა და ავარიაში მოხვდა, რამაც ბრძოლის შეწყვეტა აიძულა. ამის შემდეგ ტოპ-ათეულში დროში სხვაობები იმდენად დიდი იყო, რომ პილოტებს შორის პაექრობას აზრი არ ჰქონდა.

ერთ-ერთმა სპეცმონაკვეთმა ლოებს შეუქმნა პრობლემები: სებასტიანის მანქანაზე ერთი საბურავი გამოვიდა მწყობრიდან და თითქმის ორი წუთი დაიკარგა. თუმცა ფრანგის ლიდერობაზე ამას არ უმოქმედია: **მიკო ჰირვონენთან** უპირატესობა ორი წუთიდან 40 წამამდე შემცირდა, ეს იყო და ეს. ამასობაში, **იარი-მატი ლატვალამ** ორი სპეცმონაკვეთი მოიგო და საბოლოოდ დამკვიდრდა მესამე ადგილზე.



ეტაპის ტრიუმფატორები

ლოებმა ქულათა მაქსიმუმი (28) მოიპოვა და კარიერაში 71-ე ეტაპი მოიგო, საბერძნეთში კი მესამედ მივიდა პირველი ფინიშთან. ამით ფრანგი გაუტოლდა ისეთ ლეგენდებს, როგორებიც არიან **მიკი ბიაზონი, ვალტერ რიორლი** და **კარლოს საინსი.**

ექვსი ეტაპის შემდეგ, გენერალურ კლასიფიკაციას დამაჯერებლად ლიდერობენ "სიტროენის" საქარხნო გუნდის წევრები - ლოები 30 ქულით უსწრებს ჰირვონენს, "ფორდიდან" უახლოესი მდევარი კი ფრანგს 39 ქულით ჩამორჩება, თანაც ეს არა სოლბერგი ან ლატვალა, არამედ კერძო გუნდის წარმომადგენელი ოსტბერგი გახლავთ. რაც შეეხებათ სოლბერგსა და ლატვალას, ისინი მეოთხე და მეხუთე ადგილებზე არიან, ამასთან, იარი-მატის ლიდერზე თითქმის სამჯერ ნაკლები ქულა აქვს.

### VI ეტაპი. საბერძნეთის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 4:42.03,3; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - +40,0; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - +3.04,8; 4. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +6.16,4; 5. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, „ფორდი") - +7.46,5; 6. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, "სიტროენი") - +9.41,4; 7. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „შკოდა") - +12.59,9; 8. **იაზიდ ალ-რაჯი** (ს. აფრიკა, "ფორდი") - +20.12,2...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 119 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 89; 3. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 80; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 73; 5. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - 45; 6. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, „ფორდი") - 43; 7. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, „ფორდი") - 36; 8. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, „სიტროენი") - 23; 9. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, "სიტროენი") - 22; 10. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „შკოდა") - 22.

## ავტოსპორტი. ამერიკული სერიები

# ალეზი კუს ნაბიჯებით

ინდიკარის სერიაში გაიმართა ლეგენდარული რბოლა – "ინდიანაპოლისის 500 მილი", რომელიც "განასის" გუნდის წევრმა, "დალარას" ავტომობილით მოასპარეზე **დარიო ფრანკიტიმ** მოიგო. შოტლანდიელი პილოტისთვის ეს იყო კარიერაში მეოთხე ტრიუმფი აშშ-ის ყველაზე პრესტიჟულ რბოლაში.

ახალი სეზონის დასაწყისი არც ისე წარმატებული გამოვიდა ფრანკიტისთვის, რომელიც სერიის მოქმედი ჩემპიონი გახლავთ. იგივე ითქმის მის გუნდსა და ყველა იმ პილოტზე, რომელიც "ჰონდას" ძრავებს იყენებს. "ინდიანაპოლისი 500"-ის კვალიფიკაციაზეც ფრანკიტი და მისი თანაგუნდელი, სერიის კიდევ ერთი ექსჩემპიონი **სკოტ დიქსონის** მეორე ათეულის შუაში აღმოჩნდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ რბოლის დასაწყისში შოტლანდიელი საერთოდ ბოლო ადგილამდე დაქვეითდა, რადგან მომავალ ტრიუმფატორს პიტ-ლეინზე ერთ-ერთი კონკურენტი შეეჯახა.

და ყველაფრის მიუხედავად, ფინიშამდე ორი წრით ადრე, პირველ ორ ადგილს სწორედ "განასის" პილოტები იკავებდნენ, მათ კი ბრძოლა გაუმართა ფორმულა 1-ის ყოფილმა წევრმა **ტაკუმა სატომ**, რომელიც ასევე "ჰონდას" ძრავით აღჭურვილი მანქანით გამოდის ინდიკარში. ბოლო წრის პირველ მოსახვევში იაპონელი გაუსწორდა ლიდერ ფრანკიტის, მაგრამ ოვალურ ტრასებზე გამოსვლის ნაკლებმა გამოცდილებამ შეცდომა დააშვებინა – სატომ მეტად ოპტიმისტური ტრაექტორია აირჩია და გასწრების მცდელობა ბარიერთან შეჯახებით დასრულდა.

სეზონის ერთპიროვნულმა ლიდერმა, "პენსკეს" გუნდის წევრმა **უილ პაუერმა**, რომელმაც წინა ოთხი რბოლიდან სამი თავის სასარგებლოდ დაასრულა, ფინიშამდე მისვლა ვერ შეძლო, ოღონდ ეს მისი ბრალი არ იყო: რბოლის ერთ-ერთმა მონაწილემ საკუთარ ავტომობილზე კონტროლი დაკარგა და ავსტრალიელის მანქანას შეეჯახა.

ამ წარუმატებლობის მიუხედავად, პაუერი ინარჩუნებს ლიდერობას გენერალურ კლასიფიკაციაში. მის ანგარიშზე 200 ქულაა. ავსტრალიელს 36 ქულით ჩამორჩებიან **ჰელიო კასტრონევეში** და **ჯეიმს ჰინკლიფი**, ხუთეულში ვხედავთ სკოტ დიქსონსა და დარიო ფრანკიტის.

როგორც იცით, ამ რბოლაში მონაწილეობა უნდა მიეღო ცნობილ ფრანგ პილოტს **ჟან ალეზის**. ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი გავიდა ტრასაზე, მაგრამ მხოლოდ 10 წრე გაიარა. ალეზის მანქანა "ლოტუსის" ძრავით იყო აღჭურვილი, რომელიც ისეთი სუსტი აღმოჩნდა, რომ მსაჯებმა ალეზი მოხსნეს დისტანციიდან ძალიან ნელი ტემპის გამო.



რბოლის ფინიში

### საბოლოო შედეგი

1. **დარიო ფრანკიტი** - 200 წრე; 2. **სკოტ დიქსონი** - +0.0295; 3. **ტონი კანაანი** - +0.0677; 4. **ორიოლ სერვია** - +2.9166; 5. **რაიან ბრისკო** - +3.6721; 6. **ჯეიმს ჰინკლიფი** - +4.0962; 7. **ჯასტინ უილსონი** - +4.2430; 8. **ჩარლი კიმბელი** - +4.6056; 9. **თაუნსენდ ბელი** - +5.6168; 10. **ჰელიო კასტრონევეში** - +7.6352; 11. **რუბენს ბარიკელო** - +7.9240...

■ ■ ■

ასევე ამერიკაში გაიმართა ნასკარის სერიის მორიგი რბოლა - "კოკა-კოლა 600". ეს არის სერიის მოქმედ კალენდარში ყველაზე გრძელი ეტაპი. საფინალო რესტარტზე ლიდერობის მოპოვების შემდეგ, **კეისი კეინმა** დამაჯერებლად მიიყვანა რბოლა გამარჯვებამდე, რომელიც პირველი იყო მისთვის საჯინიბო "ჰენდრიკის" შემადგენლობაში.

ამ მოგებით კეინი მე-15 ადგილზე გადავიდა საერთო ჩათვლაში, ლიდერი კი ისევ **გრეგ ბიფლია** - მან ამ ეტაპზე თავისი "ფორდით" მეოთხე ადგილი დაიკავა.

### საბოლოო შედეგი

1. **კეისი კეინი** („შევროლე") - 3:51.14.000; 2. **დენი ჰემლინი** („ტოიოტა") - + 4.295; 3. **კაილ ბუში** („ტოიოტა") - + 10.676; 4. **გრეგ ბიფლი** („ფორდი") - + 16.010; 5. **ბრედ კასელოვსკი** („დოჯი") - + 19.174; 6. **დეილ ერნჰარდტი** („შევროლე") - + 22.533; 7. **ჯეფ გორდონი** („შევროლე") - + 24.561; 8. **კევინ ჰარვიკი** („შევროლე") - + 26.083; 9. **კარლ ედვარდსი** („ფორდი") - + 27.239; 10. **მეტ კენსეტი** („ფორდი") - 1 წრე...

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2012

#### UNDER 19

| | |
|---|---|
| ირლანდია-უკრაინა | 0:3 |
| პორტუგალია-ისრაელი | 7:1 |
| კვიპროსი-თურქეთი | 0:5 |
| დანია-საბერძნეთი | 0:2 |
| ბელგია-ესპანეთი | 1:2 |
| იტალია-სომხეთი | 4:1 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| უკრაინა-ესტონეთი | 4:0 |

#### დანია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აკადემისკი-ვეილე | 0:2 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ჰიონეფოსი-მიოლდე | 1:1 |
| სანდნესი-ჰაუგესუნდი | 0:2 |
| სტაბეკი-ლილესტრიომი | 4:1 |
| ტრომსიო-ბრანი | 2:0 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სტარტი-ბოდო გლიმტი | 3:0 |
| ბრინი-ულენსაკერი | 0:2 |
| ჰამ კამი-მიონდალენი | 1:1 |
| კონგსვინგერი-ნოტოდენი | 3:1 |
| სანდეფიორდი-ალტა | 2:2 |
| სარპსბორგი-ბორუმი | 1:0 |
| სტრიომენი-რანჰეიმი | 2:1 |
| ტრომსდალენი-ჰიოდი | 3:2 |

#### შვედეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| უმეა-ანგელჰოლმი | 1:3 |
| ჰამარბიუ-ფალკენბერგი | 2:2 |

#### შვეიცარია

#### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| არაუ-სიონი | 1:0 |

#### ირლანდიის თასი

| | |
|---|---|
| შელბურნი-ბრეი | 1:0 |

#### ურუგვაი

| | |
|---|---|
| რასინგი-რივერი | 4:2 |
| რამპლა-პენიაროლი | 1:7 |
| სერო-ბელა ვისტა | 0:2 |

### კალათბურთი

#### იტალია

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-სასარი | 91:68 |

## TV პროგრამა

### 29 მაისი. სამშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რაიო ვალეკანო.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ნაპოლი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ევიანი-პსჟ.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტური. ბოკა ხუნიორსი-გოდოი კრუსი.
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. I მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ჩელსი.
**17:00** რაგბი. ექსი ერის თასი. შოტლანდია-ინგლისი.
**18:45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**21:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**22:00** NBA Action.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. I მატჩი.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-ოკლაჰომა. II მატჩი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ფილადელფია-ბოსტონი.
**12:00** NBA Action.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. არლეკინსი-კონახტი.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა.
**17:00** სპორტ NEWS
**17:30** კალათბურთი. NBA.
**19:30** რაგბი. ჰეინეკენის თასი. მონპელიე-ლენსტერი.
**21:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა.
**23:30** კიკბოქსინგი.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 27 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 14 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 10 | 27 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 13 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 7 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 23 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 8 | 19 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0486 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6292 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5533 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1302 |

## ამბები

### კალათბურთი

### დენგს ლონდონში არ უშვებენ

ბრიტანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **კრის სპაისმა** "ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობა დაადანაშაულა **ლუოლ დენგზე** ზეწოლაში. კლუბს არ სურს, რომ ფორვარდმა ლონდონის თამაშებში მიიღოს მონაწილეობა. მიზეზად მაჯის ტრავმა სახელდება.

*"დენგი ნაკრების ერთგულია და კლუბის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, ამ განწყობას ბოლომდე ინარჩუნებს. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მისი მონდომებით. ლუოლი ნამდვილი პროფესიონალია და ეს აისახება კიდეც მის შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში"*, - ამბობს სპაისი ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

### ბოშმა ივარჯიშა, მაგრამ...

"მაიამი ჰიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **კრის ბოშმა** მუცლის კუნთის დაზიანების შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ამ ტრავმის გამო, ფორვარდმა თითქმის მთლიანად გამოტოვა "ინდიანასთან" სერია. თუმცა ვარჯიშების განახლების მიუხედავად, კრისი ვერ ითამაშებს "ბოსტონთან" სერიის პირველ მატჩში.

როგორც წერენ, ბოშის ვარჯიშს თვალს ადევნებდა "მაიამის" პრეზიდენტი **პეტ რაილი.**

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში კრისმა 57 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 18.0 ქულა და 7.9 მოხსნა დააგროვა.

### 14 წლის ვუნდერკინდი ბარსაში

ესპანურმა გრანდმა "ბარსელონამ" კონტრაქტი გააფორმა თურქეთის "გალათასარაის" მცველის **ნიჰად დედოვიჩის** უმცროს ძმასთან – **ნედიმ დედოვიჩთან.**

ეს კალათბურთელი მხოლოდ 14 წლისაა და კატალონიურმა კლუბმა მასთან სამწლიანი ხელშეკრულება დადო. ნედიმ დედოვიჩი ევროპული კალათბურთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. როლან გაროსი. II დღე

# როჯერის რეკორდი

გუშინ, როლან გაროსზე გამორჩეული დღე ჰქონდა ლეგენდარულ შვეიცარიელს, "დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონს **როჯერ ფედერერს**. მან მორიგი დიადი რეკორდი დაამყარა. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, როჯერმა გაიმეორა "დიდი სლემის" ტურნირებზე მოგებული მატჩების რეკორდი, რომელიც აქამდე ერთპიროვნულად ეკუთვნოდა **ჯიმი კონორსს**.

ფედერერმა 233-ე შეხვედრაში იმარჯვა და გაუთანაბრდა ლეგენდარულ ამერიკელს. ამასთან, შვეიცარიელს კონორსზე უკეთესი მოგებათა პროცენტი აქვს – მან "დიდი სლემის" ტურნირებზე 35 მატჩი წააგო, კონორსმა – 49, თანაც ამერიკელს მხოლოდ რვა ტიტული აქვს მოგებული. ორ დღეში კი როჯერი რეკორდის ერთპიროვნული მფლობელი გახდება, რადგან მეორე წრეში არ უნდა გაუჭირდეს რუმინელი **ადრიან უნგურის** დამარცხება.


როჯერ ფედერერი

პირველი წრის შეხვედრაში ფედერერის მეტოქე მსოფლიოს 78-ე ჩოგანი **ტობიას კამკე** იყო. მიუხედავად იმისა, რომ როჯერმა სამ სეტში გაიმარჯვა, დამაჯერებელი თამაში არ უჩვენებია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს თუნდაც ის, რომ გერმანელმა თითო სეტში თითო ბრეიკი აილო, გარდა ამისა, ფედერერმა 47 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც ასეთი დონის მეტოქის წინააღმდეგ საკმაოდ ბევრია.

მიუხედავად ამისა, შვეიცარიელმა საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა და მატჩის შემდეგ ჟურნალისტმა ჰკითხა – ახსოვს თუ არა პირველი მეტოქე, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირზე დაამარცხა. შვეიცარიელს მეხსიერებამ უღალატა და ეს ინფორმაცია ჟურნალისტისგან მიიღო: სადებიუტო გამარჯვება 2000 წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე ამერიკელი **მაიკლ ჩანგის** წინააღმდეგ შედგა და ამის შემდეგ დაიწყო მთელი ეპოქა, რომელიც დღემდე გრძელდება.

გუშინდელი მატჩი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ფედერერმა როლან გაროსზე საიუბილეო – 50-ე მატჩი მოიგო. ახლა, როჯერი ერთადერთია ისტორიაში, ვისაც ოთხივე "დიდ სლემზე" მინიმუმ 50 შეხვედრა აქვს მოგებული.

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6(3), 6:3, 6:1; **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 7:6(2), 6:3, 6:7(4), 6:3; **ანდრეას სეპი (იტა, 22)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:3, 7:6(5), 7:5; **მიხაილ კუკუშკინი (ყაზ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 7:6(4), 5:7, 2:6, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 11)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 3:6, 7:5, 6:4, 6:1; **ბრაიან ბეიკერი (აშშ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:3, 7:6(1), 7:6(5); **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 28)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 4:6, 6:3, 5:7, 6:3, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ტობიას კამკე (გერ) 6:2, 7:5, 6:3; **ადრიან უნგური (რუმ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:3, 5:7, 6:4, 7:5; **მარტინ კლიჟანი (სლოვაკ)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 4:0 უარი; **დავიდ გოფენი (ბელ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 23) 6:2, 4:6, 2:6, 6:4, 6:2; **არნო კლემანი (საფ)**-ალექს ბოგომოლოვი (რუს) 6:2, 3:6, 4:6, 7:6(2), 5:4 უარი; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 7:5, 6:2, 7:5; **ფლორან სერა (საფ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 15) 5:0 უარი; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 31)**-რუი მაშადო (პორ) 7:6, 6:7, 4:6, 6:1, 11:9; **ორასიო სებალიოსი (არგ)**-ერიკ პროდონი (საფ) 6:7(8), 6:3, 6:3, 6:2; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 7:6(5), 6:2, 3:6, 6:3; **ტომაშ ბერდიხი (სერ, 7)**-დუდი სელა (ისრ) 6:3, 6:1, 6:1; **მარსელ გრანოლერსი (ესპ, 20)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:2, 3:6, 6:3, 6:4; **მალეკ ჟაზირი (ტუნ)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:3, 7:5, 7:6(7); **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-ბიორნ ფაუ (გერ) 2:6, 4:6, 6:4, 6:3, 6:0; **ჯონ ისნერი (აშშ, 10)**-როჟერიო დუტრა სილვა (ბრა) 6:3, 6:4, 6:4; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა, 25)**-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია) 7:6(5), 6:3, 6:3; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 5:7, 6:2, 6:4, 7:6(4); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 24)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:4, 6:4, 7:6(4); **ლეონარდო მაიერი (არგ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:3, 6:4, 2:6, 6:4; **იესე ლევინი (აშშ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:5, 6:2, 6:4; **მილოშ რაონიჩი (კან, 19)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:4, 6:2, 6:2.

**ქალები**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:7(6), 6:4, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 31)**-ალიზ კორნე (საფ) 6:4, 6:4; **ვანია კინგი (აშშ)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:4, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 15)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:2, 6:1; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-საბინ ლისიცკი (გერ, 12) 6:4, 6:3; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:4, 7:6(6); **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ, 24)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:1, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 27)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:4, 2:6, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 6:0; **იუნ-იან ჩანი (ტაივ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 7:6(8); **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-რომინა ოპრანდი (შვეიც) 6:4, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 18)**-სუ-ვეი ჰსიე (ტაივ) 6:7(3), 6:4, 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 29)**-სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ) 6:2, 6:1; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:2, 7:5; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-კაროლინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 7)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:2, 6:1; **სტეფანი ფორეტცი (საფ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 7:5, 6:3; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-კიკი ბერტენსი (ჰოლ) 2:6, 6:4, 6:4; **ლორენ დევისი (აშშ)**-მონა ბარტელი (გერ, 30) 6:1, 6:1; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-რობერტა ვინჩი (იტა, 17) 6:2, 4:6, 6:3; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-მენდი მინელა (ლუქ) 6:3, 6:4; **კარლა სუარესი ნავარო (ესპ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:0, 6:3; **ხესილ კარატანჩევა (ყაზ)**-ტიმეა ბაბოში (უნგ) 6:1, 6:0; **ვარვარა ლეპჩენკი (აშშ)**-ქსენია პერვაკი (ყაზ) 6:2, 6:7(6), 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 19)**-პარტისია მეირი (ავსტრია) 1:6, 6:1, 7:5; **ნინა ბრატჩიკოვა (რუს)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ, 32) 0:6, 6:3, 6:3; **კლერ ფოიერშტეინი (საფ)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:4, 6:1.

# ასპროცენტიანი ამერიკელები

ქალთა ტურნირში კინაღამ როლან გაროსის ახალი ისტორია დაიწერა. არასოდეს საფრანგეთის ღია პირველობის ისტორიაში, პირველი წრიდან არ გამოვარდნილა კლასიფიკაციის პირველი ნომერი. და გუშინ, კინაღამ შევიდა ისტორიაში ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**.

ამ სეზონის ლიდერმა 32 წლის ვეტერანთან, იტალიელ **ალბერტა ბრიანტისთან** საშინლად ითამაშა. მთელი მატჩის განმავლობაში აზარენკას 60 უნებლიე შეცდომა ჰქონდა და ამან ის გამოიწვია, რომ ბელარუსი, რომელმაც ეს სეზონი 26-მატჩიანი მოგებათა სერიით დაიწყო, ძალიან ახლოს იყო ნაგებასთან.

ვიქტორიამ პირველი პარტია ტაიბრეიკზე დათმო, მეორეში კი 0:4 ჩამორჩა. და როცა მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, ბელარუსმა მომდევნო 14 გეიმიდან 12 თავის სასარგებლოდ დაასრულა და სამ სეტში მოიგო – 6:7(6), 6:4, 6:2.

*"ეს არ იყო ჩემი დღე. შესაძლოა, ზედმეტი ვივარჯიშე და გადავიწვი. შემდეგ რაუნდებში ყველაფერი წესრიგში იქნება"*, - ასე ახსნა ამ უცნაური მატჩის სცენარი აზარენკამ.

■ ■ ■

მრავალი წლის განმავლობაში მიჩვეული ვიყავით იმას, რომ ქალთა ტურში რუსი ჩოგბურთელები დომინირებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სიტუაცია იცვლება. ამის ნიშნები წლევანდელ როლან გაროსზე გამოჩნდა.

პირველი ორი დღის განმავლობაში საფრანგეთის ღია პირველობის სტარტზე 10 ამერიკელი ქალი ჩოგბურთელი გავიდა და ათივემ (!) შეძლო გამარჯვება. "დიდი სლემის" ტურნირებზე ასეთი შედეგი ამ ქვეყანას 2003 წლის შემდეგ არ ჰქონია: მაშინ მეორე რაუნდში 11 ამერიკელი გავიდა. ეს შედეგი სავარაუდოდ, დღეს გამეორდება, რადგან პირველი წრის შეხვედრა სათამაშო აქვს **სერენა უილიამსს**.

გუშინ, ამერიკელებთაგან ყველაზე მეტად გერმანელები დაზარალდნენ. **ბეტანი მატეკმა** ბრძოლას გამოთიშა მე-12 ნომრად განთესილი **საბინ ლისიცკი** – 6:4, 6:3. კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა 18 წლის **ლორენ დევისის** ძალიან დამაჯერებელი მოგება ასევე გერმანელი **მონა ბარტელის** წინააღმდეგ. დევისმა მხოლოდ ორი გეიმი გაიმეტა ჩოგბურთელისთვის, რომელმაც წელს კინაღამ ვიქტორია აზარენკა დაამარცხა. მატჩის ანგარიშია – 6:1, 6:1. დევისმა, რომელმაც შარშანდელი სეზონი 319-ე ჩოგანის რანგში დაასრულა, "დიდი სლემის" ტურნირებზე კარიერაში პირველი მატჩი მოიგო.


ლორენ დევისი


ანა ივანოვიჩი

## ამბები

**ჭადრაკი**

### ტაი-ბრეიკი გადაწყვეტს

მოსკოვში დასრულდა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ინდოელ **ვიშვანათან ანანდსა** და ისრაელელ **ბორის გელფანდს** შორის. გუშინ, ბოლო მე-12 პარტია 22-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ასე რომ, შეხვედრაში ფრე - 6:6 დაფიქსირდა.

წესების თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა ტაი-ბრეიკზე გაირკვევა, რომელიც სწრაფ ჭადრაკში ოთხი პარტიის ჩატარებას ითვალისწინებს.

**მძლეოსნობა**

### გებრე უსაგზუროდ დარჩა

ათი ათას მეტრზე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **ჰეილე გებრესელასიე** მონაწილეობას ვერ მიიღებს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.

39 წლის სტაიერმა მეშვიდე ადგილი დაიკავა ჰოლანდიის ქალაქ ჰენგელოში, სადაც ეთიოპიელი მორბენლებისთვის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი გაიმართა. 10-კილომეტრიანი დისტანცია ვეტერანმა 27 წუთსა და 20.39 წამში გაირბინა, რაც ცხრა წამით უარესია გარბენის გამარჯვებულის – **ტარიკა ბეკელეს** დროზე.

ლონდონის საგზურები პირველ ორ ადგილზე გასულმა მორბენლებმა მიიღეს – ბეკელემ და **ლელეისა დესის ბენტიმ**. კიდევ ერთი ადგილი **კენენისა ბეკელეს** ეკუთვნის, რომელმაც ტრავმა მოირჩინა და ოლიმპიადისთვის ინდივიდუალურად ემზადება.

# ყველაზე სექსუალური ანა ივანოვიჩი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, სერბი **ანა ივანოვიჩი** ყველაზე სექსუალურ ქალ ჩოგბურთელად აღიარეს. ასეთია ბრიტანული პორტალის - The Tennis Space-ის გამოკითხვის შედეგები.

მკითხველების აზრით, ამ რეიტინგში მეორეა ინდოელი **სანია მირზა**, მესამეზე გავიდა სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა**, მეოთხეზე – დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** და მხოლოდ მეხუთე პოზიცია უკავია რუს **მარია შარაპოვას**.

*"ანა ყველაზე ლამაზი ჩოგბურთელია, გარდა ამისა, კეთილშობილია, ელეგანტური და საკუთარ თავში დარწმუნებული. მისი ღიმილი მთელ მსოფლიოს აჯადოებს და ეს უფრო მეტად სექსუალურს ხდის მას"*, - ასე ახსნა თავისი არჩევანი The Tennis Space-ის ერთ-ერთმა მკითხველმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608